<i>Vaccinium mirtillus L</i> (იმერეთი)	მწიფე ნედლი ნაყოფი	1556,92	6227,68
	მშრალი ნაყოფი	1603,1	2003,875

**ცხრილი 3.** ანტოციანების შემცველობა მოცვის ნედლ და მშრალ ნაყოფში


ნიმუშის აღების ადგილი	მოცვის ნაყოფი	ანტოციანები, მგ/კგ. 3%HCl 40% C <sub>2</sub> H <sub>5</sub> OH	
		ნედლ მასაზე გადაანგარიშებით	მშრალ მასაზე გადაანგარიშებით
<i>Vaccinium mirtillus L</i> (შუაზევის რაიონი)	მწიფე ნედლი ნაყოფი	5210,38	20841,52
	მშრალი ნაყოფი	5351,46	6689,325
<i>Vaccinium mirtillus L</i> (იმერეთი)	მწიფე ნედლი ნაყოფი	4583,53	18334,12
	მშრალი ნაყოფი	4639,16	5798,95



**ნახაზი 1.** ანტოციანების HPLC ქრომატოგრამა - *Vaccinium mirtillus L.* სამომხმარებო სიმწიფის ნაყოფი დელფინიდინ-3-გალაქტოზიდი (9,849 წთ); პეტუნიდინ-3-გალაქტოზიდი (12,620 წთ); მალვიდინ-3-გალაქტოზიდი (14,7 წთ)



**ნახაზი 2.** ფლავონოლების HPLC ქრომატოგრამა *Vaccinium myrtillus L.* სამომხმარებო სიმწიფის ნაყოფი კვერცეტინ-3-გალაქტოზიდი (9,48 წთ); კვერცეტინ-3-გლუკოზიდი (14,27 წთ)



**ნახაზი 3.** ფენოლგარბონმჟავების HPLC ქრომატოგრამა

მოყვანილი ქრომატოგრამებიდან ჩანს, რომ მოცვის ნაყოფის ანტოციანებიდან დომინანტ ნივთიერებას წარმოადგენერ პეტუნიდინის, დელფინიდინის და მალვინიდინის გალაქტოზიდები. რაც შეეხება მოცვის ნაყოფის ფლავონოლებს, იდენტიფიცირებული იქნა კვერცეტინ-3-გალაქტოზიდი (9,48 წთ) და კვერცეტინ-3-გლუკოზიდი (14,27 წთ).

ფენოლური მჟავები მცენარეში წარმოდგენილი არიან, როგორც თავისუფალი ისე შეკავშირებული ფორმით. გაზრდილი ინტერესი ანტიოქსიდანტური აქტიურობის განსაზღვრისა დამოკიდებულია ფენოლურ მჟავებისა და მათი წარმოებულების განსაზღვრაზე. ფენოლგარბონმჟავებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, დომინირებს მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე ქლოროგენის მჟავა, რომელიც მათი საერთო შემცველობის მესამედზე მეტითაა წარმოდგენილი.

### **დასკნები**

შესწავლილია რეგიონში გავრცელებული მოცვის *Vaccinium myrtillus L.* ნაყოფის ანტოციანების, ფლავონოლერი გლიკოზიდების და ფენოლგარბონმჟავების თვისობრივი და რაოდენობრივი შემცველობა და დადგენილ იქნა, რომ რეგიონში *Vaccinium myrtillus L.* ნაყოფი მდიდარია ამ ნაერთებით. დადგენილ

იქნა, რომ ნაყოფში ფენოლკარბონმჟავები წარმოდგენილია ძირითადად ქლოროგენის მჟავას სახით, რომლიც ნარჩუნდება ნაყოფის გაშრობის შემდგომ და წარმოებულ პრეპარატში.

ფლავონოიდური გლიკოზიდებიდან იღენტიფიცირებულია კვერცეტინ-3-გალაქტოზიდი და კვერცეტინ-3-გლუკოზიდი, რომლებიც ნაყოფის გადამუშავებისას შენარჩუნებულია.

დადგენილია, რომ მოცვის ნაყოფში წარმოდგენილ ფენოლურ ნაერთაგან ყველაზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი კატექინები, ლეიკოანტოციანები და ფლავონოიდური გლიკოზიდები.

მოცვის ნაყოფში ფენოლურ ნაერთთა შორის დომინანტ ნივთიერებას წარმოადგენს ანტოციანური პიგმენტები, რომლებიც 50%-მდეა შენარჩუნებული გადამუშავების დროს.

ავტორები მადლობას უხდიან შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ფინანსური (გრანტი GNSF/ST8/513) უზრუნველყოფისათვის.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Mertz, C.; Gancel, A.; Gunata, Z.; Alter, P.; Dhuique-Mayer, C.; Vaillant, F.; Perez, A. M.; Ruales, J.; Brat, P. Phenolic compounds, carotenoids and antioxidant activity of three tropical fruits. *J. Food Compos. Anal.* 2009, 22, 381–387.
- Puupponen-Pimia, R.; Nohynek, L.; Alakomi, H.; Oksman-Caldentey, K. Bioactive berry compounds; *Appl. Microbiol. Biotechnol.* 2005, 67, 8–18.
- LESLIE WADA\*, BOXIN OU. Antioxidant Activity and Phenolic Content of Oregon Caneberries. *J. Agric. Food Chem.* 2002, 50, 3495-3500.
- Swain T., Hillis W.E. The phenolic constituents of *Prunus domestica*. 1. The quantitative analysis of phenoliss constituents. *J. sci food agric.* 1959. 10.63.
- E.X.Botinov, A.A.Drenin, A.B.Makarova. Chemistry of vegetative raw materials. 2006, №1, p. 45-48.
- Fresh Bilberry fruit, Ph Eur monograph 1602. Crown Copyright 2005.
- Shahidi, F.; Naczk, M. Phenolics in Food and Nutraceuticals; CRC Press: Boca Raton, FL, 2004; pp 131-155, 490.
- Rice-Evans, C. A.; Miller, N. J.; Papanga, G. Structureantioxidant activity relationships of flavonoids and phenolic acids. *Free Radical Biol. Med.* 1996, 20, 933-956.

### PHENOLIC COMPOUNDS IN BLUEBERRY FRUIT

Malvina Tatvidze, Varden Khvedelidze, Indira Djaparidze\*, Elene Qamadadze\*, Aleko Kalandia\*

*The Akaki Tsereteli Kutaisi State University*

\**The Shota Rustaveli State University (Batumi)*

### SUMMARY

The qualitative and quantitative composition of anthocyanins, flavonoids glycosides and phenol carboxylic acid in the fruit blueberry *Vaccinium mirtillus* L, growing in the western regions of Georgia, has been studied by liquid chromatography and atomic absorption spectroscopy. Composition of phenolic substances after drying and processing of fruits was established also.

### ФЕНОЛЬНЫЕ СОЕДИНЕНИЯ В ПЛОДАХ ЧЕРНИКИ

М.Татвидзе, В.Хведелидзе, И.Джапаридзе\*, Э.Камададзе\*, А.Каландия\*

*Кутаисский государственный университет им. Ак. Церетели*

\**Государственный университет Шота Руставели (Батуми)*

### РЕЗЮМЕ

Изучен количественный и качественный состав антоцианов, флаваноидных гликозидов и фенолкарбоновых кислот в плодах черники *Vaccinium mirtillus* L, распространенной в западных регионах Грузии. Для исследований применялись методы жидкостной хроматографии и атомно-абсорбционной спектроскопии. Установлен также количественный состав указанных веществ после сушки и обработки плодов.

**ვიზიტორი ძიმია**

**მანგანუმ-ამონიუმის სულფატის ხსნარებში მანგანუმის ჰიდრატზარმოქმნის pH-ის  
ტემპერატურისაბან დამოკიდებულების შესწავლა**

გორგი აგლაძე<sup>1,2</sup>, გიგლა წურწუმია<sup>1,2</sup>, ნანა ქოიავა<sup>1</sup>, ნათელა გოგიშვილი<sup>1</sup>, ლევან ბერიაშვილი<sup>1,2</sup>,  
ირაკლი ზარიძე<sup>1</sup>

<sup>1</sup>o. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რ. აგლაძის არორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

<sup>2</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**შესავალი**

მანგანუმის ორი მნიშვნელოვანი პროცესის – ელექტროლიზური ლითონური მანგანუმისა და აქტიური ელექტროლიზური მანგანუმის დიოქსიდის ერთდროული მიღებისას ანიონსელექტიური მემბრანით გაყოფილი ელექტროქიმიური რეაქტორის კათოლიტში ტემპერატურა შესაძლებელია მანგანუმის ელექტროგამოლექვისათვის ოპტიმალურ, 350C-ზე მაღალი იყოს [1,2]. კათოლიტის გაცხელებას იწვევს ცხელი (94-95°C) ანოლიტიდან მემბრანის გავლით სითბოს გადაცემა. შედარებით მაღალ (>40°C) ტემპერატურებზე სისტემაში MnSO<sub>4</sub> - (NH<sub>4</sub>)<sub>2</sub>SO<sub>4</sub> - H<sub>2</sub>O იცვლება როგორც ხსნარის pH, ასევე მანგანუმის ჰიდრატზარმოქმნის pH. ეს სიდიდეები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ლითონის დენით გამოსავალზე და მის სისუფთავეზე. ელექტროლიზური ლითონური მანგანუმის წარმოების ცნობილ სამრეწველო მეთოდებში [3, 4] კათოლიტის pH შენარჩუნებულია 8-8.25 ზღვრებში, რათა ხსნარში შემცირდეს წყალბადის იონების კონცენტრაცია და შესაბამისად, წყალბადის გამოყოფის თანაური რეაქციის წილი ლითონური მანგანუმის გამოლექვის პროცესში. აღსანიშნავია, რომ ნეიტრალურ და სუსტ ტუტე არები ლითონური მანგანუმი ხშირად არის გაჭუჭყანებული მანგანუმის ჰიდროქსიდებით [5]. მანგანუმისა და ამონიუმის მარილთა ხსნარების ნარევში ჰიდროქსიდების წარმოქმნის pH ტიტრაციის მეთოდით შესწავლილია სულფატებსა და ქლორიდებში [4, 6]. ამ სამუშაოებში ტიტრანტად გამოყენებული იყო 1 ნატრიუმის ტუტის ხსნარი და პროცესი ტარდებოდა ოთახის ტემპერატურაზე.

წარმოდგენილ სამუშაოში მოცემულია ტემპერატურის 25-70°C ფარგლებში მანგანუმ – ამონიუმის სულფატების სხვადასხვა შემცველობის ხსნარების pH-ისა და მანგანუმის ჰიდრატზარმოქმნის pH ექსპერიმენტალურად გაზომილი სიდიდეები ამასკის წყლით გატიტვრის პირობებში.


**ექსპერიმენტის ჩატარების მეთოდება**

მანგანუმ-ამონიუმის სულფატის ხსნარებში pH-ის ტემპერატურისაგან დამოკიდებულების და მათში სხვადასხვა ტემპერატურაზე მანგანუმის ჰიდრატზარმოქმნის pH-ის განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო პრეციზიული pH-მეტრი MP512 (ჩინეთი). მოცემულ ტემპერატურაზე მანგანუმ-ამონიუმის სულფატის ხსნარებში მანგანუმის ჰიდროქსიდების წარმოქმნის pH-ს ვაფიქსირებდით ვიზუალურად ხსნარის შემღვრევის დაწყების მომენტში მასზე ბიურეტიდან განსაზღვრული მოცულობის ამასკის წყალხსნარის დამატებისა და ინტენსიური მორევის პირობებში. ცდა ტარდებოდა ცილინდრული ფორმის პირექსის მინის ჭურჭელში, რომელშიც ზემოდან ჩაშესული იყო pH-მეტრის ელექტროდი. ხსნარის საჭირო ტემპერატურამდე გასაცხელებლად ჭურჭელს გარშემო ჰქონდა ჰერანგი თერმოსტატიდან განსაზღვრული ტემპერატურის წყლის მისაწოდებლად.

ექსპერიმენტში გამოყენებული იყო ერთჯერადად გადაკრისტალებული “სუფთა” კვალიფიკაციის მანგანუმის სულფატის მარილი და “ქიმიურად სუფთა” ამონიუმის სულფატი დამატებითი გასუფთავების გარეშე; ტიტრაციას ვახდებით ბიურეტიდან “სუფთა” კვალიფიკაციის ამასკიანი წყალის დამატებით. განსაზღვრული შედგენილობის მანგანუმ-ამონიუმის სულფატების ხსნარები მზადდებოდა დისტილირებული წყლის გამოყენებით. მანგანუმის იონებისა და ამონიუმის იონების კონცენტრაციების განსაზღვრისათვის გამოყენებული იყო, შესაბამისად, ფოლგარდის და კიელდალის ცნობილი ქიმიური ანალიზის მეთოდები [7-9].

### ექსპერიმენტის შედეგები და განხილვა



სხვადასხვა შედეგებით მანგანუმ-ამონიუმის სულფატების ხსნარების pH-ის ცვლილება ტემპერატურის ფართო ზღვრებში ( $25\text{--}75^{\circ}\text{C}$ ) მოცემულია ნახაზზე 1.



ნახ. 1. მანგანუმ-ამონიუმის სულფატების ხსნარების pH-ის დამოკიდებულება ტემპერატურისაგან

- 1} ♦ -  $15\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 30 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ; ■ -  $15\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 50 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ;
   
▲ -  $15\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 70 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ; ✕ -  $15\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 100 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$
- 2} ♦ -  $30\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 30 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ; ■ -  $30\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 50 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ;
   
▲ -  $30\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 70 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ; ✕ -  $30\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 100 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$
- 3} ♦ -  $45\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 30 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ; ■ -  $45\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 50 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ;
   
▲ -  $45\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 70 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ; ✕ -  $45\text{g/l}$   $\text{Mn}^{2+} + 100 \text{ g/l}$   $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$


ნახ.1-ზე მოტანილი გრაფიკებიდან ჩანს, რომ ტემპერატურის გაზრდით ( $25\text{--}40^{\circ}\text{C}$  ფარგლებში) მოცემული კონცენტრაციის მანგანუმ-ამონიუმის სულფატის ხსნარების pH დასაწყისში ჯერ მცირდებ იზრდება, ხოლო ტემპერატურის შემდგომი გაზრდით ( $>40^{\circ}\text{C}$ ) შესამჩნევად ეცემა. გრაფიკებიდან ასევე ჩანს, რომ მანგანუმის იონების კონცენტრაციის გაზრდით ხსნარის pH მცირდება. მანგანუმ-ამონიუმის სულფატის ხსნარებში pH-ის ასეთი ცვლილება ტემპერატურისაგან დამოკიდებულებით მიუთითებს ხსნარში არსებულ რთულ წონასწორულ პროცესებზე, რომლებიც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:



შედარებით დაბალ ტემპერატურებზე ( $25\text{--}40^{\circ}\text{C}$ ) სულფატ-იონის მაღალი კონცენტრაციის პირობებში შესაძლებელია მე-(4) რეაქციის წონასწორობის გადახრა მარჯვნივ იონური წყვილის –  $\text{HSO}_4^-$  წარმოქმნით. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ წონასწორული რეაქცია (4) წარმოადგენს გოგირგმულავას დისოციაციის მეორე საფეხურის შებრუნებულ რეაქციას ( $\text{HSO}_4^- \leftrightarrow \text{H}^+ + \text{SO}_4^{2-}$ ), რომლის დისოციაციის კონსტანტა ტოლია 0.01 [10]; ე.ი. ხსნარში  $\text{HSO}_4^-$  იონების არსებობა მაღალია. შესაბამისად, იონური წყვილის –  $\text{HSO}_4^-$ -ის წარმოქმნის გამო იღვევა (3) რეაქციის წონასწორობა და  $\text{OH}^-$ -ის სიჭარბე განაპირობებს pH-ის გაზრდას. ტემპერატურის შემდგომი მომატებით იზრდება

მანგანუმის და ამონიუმის იონების ჰიდროლიზის რეაქციების სიჩქარეები (5 და 6) და უკეცარი მანგანუმის იონების pH-ის მცირდება.

ყველა შესწავლილ მანგანუმ-ამონიუმის სულფატების ხსნარებში მანგანუმის იონების კონცენტრაციის ან ხსნარის ტემპერატურის გაზრდით ადგილი ჰქონდა მანგანუმის ჰიდრატურმოქმნის pH-ის შემცირებას. ერთ-ერთი ასეთი პოტენციომეტრული ტიტრაციის მრუდები  $70^{\circ}\text{C}$ -ზე მოცემულია ნახაზე 2, ხოლო სხვადასხვა ტემპერატურაზე მანგანუმის ჰიდრატურმოქმნის pH-ის მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 1.



ნაზ. 2. მანგანუმ-ამონიუმის სულფატების ხსნარების pH-ის ცვლილება  
ამიაკის წყალხსნარით ტიტრაციის პირობებში  $70^{\circ}\text{C}$ -ზე:

1 – 15 გ/ლ  $\text{Mn}^{2+} + 100$  გ/ლ  $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ; 2 – 30 გ/ლ  $\text{Mn}^{2+} + 100$  გ/ლ  $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$ ;  
3 – 45 გ/ლ  $\text{Mn}^{2+} + 100$  გ/ლ  $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$

ცხრ. 1. მანგანუმ-ამონიუმის სულფატის ხსნარებში მანგანუმის ჰიდრატურმოქმნის pH-ის მნიშვნელობები ტემპერატურის 25-70°C ფარგლებში

№	ხსნარის შედეგნილობა	მანგანუმის ჰიდრატურმოქმნის pH		
		25°C	40°C	70°C
1	15გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 30$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.77	7.35	7.1
	15გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 50$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.8	7.4	7.15
	15გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 70$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.83	7.35	7.2
	15გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 100$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.85	7.4	7.25
2	30გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 30$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.65	7.25	6.88
	30გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 50$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.6	7.3	6.92
	30გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 70$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.65	7.3	6.85
	30გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 100$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.65	7.3	6.92
3	45გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 30$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.55	7.15	6.73
	45გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 50$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.5	7.1	6.74
	45გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 70$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.5	7.05	6.76
	45გ/ლ $\text{Mn}^{2+} + 100$ გ/ლ $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$	7.45	6.95	6.75

ცხრ. 1-ის მონაცემებიდან ჩანს, მანგანუმ-ამონიუმის სულფატის ხსნარებში მანგანუმის ჰიდროქსიდების წარმოქნის pH სიდიდე დამოკიდებულია მანგანუმის იონების კონცენტრაციაზე და ნაკლებად ამონიუმის სულფატის კონცენტრაციაზე; რაც უფრო მაღალია მანგანუმის იონების კონცენტრაცია, მით უფრო დაბალია მანგანუმის ჰიდროქსიდების წარმოქნის pH სიდიდე. ეს ექსპერიმენტულად მიღებული შედეგი შესაბამისობაშია ზოგად განტოლებასთან, რომელიც ასახავს მეტალის ჰიდრატურმოქმნის pH-ის დამოკიდებულებას მეტალის ჰიდროქსიდის ხსნადობის ნამრავლზე, წყლის იონურ ნამრავლზე და მეტალის იონების აქტიურ კონცენტრაციაზე [7]:

$$\text{pH} = \frac{1}{n} \lg L_{\text{Me(OH)}_n} - \lg K_w - \frac{1}{n} \lg a_{\text{Me}^{n+}},$$

სადაც,  $L_{\text{Me(OH)}_n}$  – მეტალის ჰიდროქსიდის ხსნადობის ნამრავლია;  
 $K_w$  – წყლის იონური ნამრავლი;  
 $a_{\text{Me}^{n+}}$  – ხსნარში მეტალის იონების აქტიური კონცენტრაცია.

განტოლებიდან ჩანს, რომ მეტალის კონცენტრაციის გაზრდით (იონის აქტივობის კოეფიციენტის მუდმივობისას) მეტალის ჰიდრატარმოქმნის pH მცირდება.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ კათოდზე სუფთა მეტალური მანგანუმის მიღებისათვის ოპტიმალურ –  $35^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე აუცილებელია pH-ის შენარჩუნება  $7.0$ -მდე, ხოლო ტემპერატურის  $70^{\circ}\text{C}$ -მდე გაზრდის შემთხვევაში pH კათოლიტში არ უნდა აღემატებოდეს  $6.7$ -ს (მანგანუმის იონების მაღალი შემცველობის ხსნარებში); წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება გამოლექილი მეტალის გაჭუჭყინებას ჰიდროქსიდებით და მანგანუმის იონების დანაკარგს კათოლიტში.

### დასკვნები

1. მანგანუმ - ამონიუმის სულფატების  $[15-45 \text{ г/ლ } \text{Mn}^{2+} + 30-100 \text{ г/ლ } (\text{NH}_4)_2\text{SO}_4]$  ხსნარებში ტემპერატურის მომატებით pH-ის სიდიდე მცირდება, განსაკუთრებით მანგანუმის იონების კონცენტრაციის გაზრდისას.

2. ტემპერატურის გაზრდით  $20-70^{\circ}\text{C}$  ფარგლებში მანგანუმის ჰიდრატარმოქმნის pH მცირდება; დაღვენილია, რომ რაც უფრო მაღალია ტემპერატურა და მანგანუმის იონების კონცენტრაცია, მით უფრო დაბალია მანგანუმის ჰიდრატარმოქმნის pH და იგი პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული ამონიუმის სულფატის კონცენტრაციაზე.

### მადლობა

ავტორები მადლობას უხდიან შ. რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს ფინანსური მხარდაჭერისათვის (გრანტი № GNSF/ST 09-795 7-200; ხელშეკრულება № 1-7/62).

### **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. გ. აგლაძე. საქართველოს პატენტი 1999, № P 2273.
2. G.Agladze, N.Gogishvili, N.Kojava, I.Zaridze. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 2008, vol.2, №.4, pp.89-91.
3. R.S. Dean. Electrolitic Manganese and its Alloys. The Ronald Press Company, New York 1952. pp.39-45.
4. Р.И. Агладзе и Н.Т. Гофман. Электрохимия марганца. Изд. АН ГССР, Тбилиси, 1957, т.1. стр. 27-51.
5. Р.И. Агладзе и Э.М. Унгиадзе. Электрохимия марганца. Изд. АН ГССР, Тбилиси, 1957, т.1. стр. 439-461.
6. С.Н. Басманова. Сб. трудов “Исследования по переработке марганцевого и топливного сырья Грузии”. Изд. Мецниереба, Тбилиси, 1967, стр. 20-28.
7. 7. А.П. Крешиков. Основы аналитической химии, т. II, 1961, стр. 164-166, 176-179, 248-249, 252-260.
8. Физико-химические методы анализа. Издание 2-е, под редакцией В.Б. Алексовского и К.Б. Яцумирского; Л., Химия, 1971, стр. 245-246.
9. В. Н. Алексеев. Количественный анализ. Изд. 4-е, М., Химия, 1972, стр. 308-311.
10. D.J. Pickett. Electrochemical Reactor Design. Elsevier, Amsterdam-Oxford-New-York, 1979, p. 457.
11. А.Я. Шаталов и И.К. Маршаков. Практикум по физической химии. М., «Высшая школа», 1975, стр. 139-140.

## DEPENDENCE OF MANGANESE HYDROXIDE PRECIPITATION pH ON TEMPERATURE IN MANGANESE AND AMMONIA SULFATES SOLUTIONS

Giorgi Agladze<sup>1,2</sup>, Gigla Tsurtsunia<sup>1,2</sup>, Nana Koiava<sup>1</sup>, Natela Gogishvili<sup>1</sup>, Levan Beriashvili<sup>1,2</sup>, Irakli Zaridze<sup>1</sup>.

<sup>1</sup>*I. Javakhishvili Tbilisi State University R.Agladze Institute of Inorganic*

*Chemistry and Electrochemistry*

<sup>2</sup>*Georgian Technical University*

### SUMMARY

Dependences of pH and manganese hydrate formation on temperature change in range of 25-70°C of the solution containing different concentrations of MnSO<sub>4</sub> and (NH<sub>4</sub>)<sub>2</sub>SO<sub>4</sub> has been studied. The rise of temperature of mixture of manganese – ammonia sulfate solution (15-45 g/L Mn<sup>2+</sup> + 30-100 g/L (NH<sub>4</sub>)<sub>2</sub>SO<sub>4</sub> ) causes decrease of pH especially when concentration of manganese ions is increased. Manganese hydrate precipitation pH becomes lower in manganese – ammonia sulfate solutions at high temperatures. At high temperature, as higher is concentration of manganese ions as lower is manganese hydrate precipitation pH and it is practically independent from concentration of ammonia sulfate.

### ИЗУЧЕНИЕ ЗАВИСИМОСТИ РН ГИДРАТООБРАЗОВАНИЯ МАРГАНЦА ОТ ТЕМПЕРАТУРЫ В РАСТВОРАХ СУЛЬФАТОВ МАРГАНЦА И АММОНИЯ

Г.Р.Агладзе<sup>1,2</sup>, Г.С.Цурцумия<sup>1,2</sup>, Н.Ш.Коиава<sup>1</sup>, Н.Ш.Гогишвили<sup>1</sup>, Л.Д.Бериашвили<sup>1,2</sup>, И.Т.Заридзе<sup>1</sup>

<sup>1</sup>*Институт неорганической химии и электрохимии им.Р.И. Агладзе Тбилисского Государственного Университета им. И. Джавахишвили*

<sup>2</sup>*Грузинский Технический Университет*

### РЕЗЮМЕ

Изучено изменение pH растворов с различными концентрациями сульфатов марганца и аммония и pH гидратообразования марганца в интервале температур 25-70°C. Установлено, что с увеличением температуры растворов (15-45 г/л Mn<sup>2+</sup> + 30-100 г/л (NH<sub>4</sub>)<sub>2</sub>SO<sub>4</sub> ) уменьшается pH и особенно с возрастанием концентрации ионов марганца. С ростом температуры и концентрации ионов марганца в этих растворах pH гидратообразования марганца уменьшается и практически не зависит от концентрации сульфата аммония.

**ზოზიპური ძიმია****ელექტრონული კომუნიკაცია უეროცენილ ჯგუფებს შორის ოქრო-რენიუმის კლასტერებში**

როინ ჭედია, ოლიკო ლეგაშვილი, ციალა კაგულია, ლილი ჯანიაშვილი, მარინე ბეროშვილი,  
თამარ ქორქია, ფიოლონ ღოლგუშინი\*, ალექსანდრე სმოლიაკოვი\*,  
მარიამ ეზერნიცკაია\*, ავთანდილ ქორიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეტალორგანული ქიმიის ინსტიტუტი

\*ა.ნესმეიანოვის სახელობის ელექტრორგანული ნაერთების ინსტიტუტი,  
რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, მოსკოვი

შესწავლითა ელექტრონული კომუნიკაცია ფეროცენილ ჯგუფებს შორის ოქრო-რენიუმის კლასტერებში  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_2\text{Fc})(\text{CO})_8$  (1),  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})_2(\text{CO})_{12}$  (2),  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$  (3) და  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  (4). კლასტერები სინთეზირებულია  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{NCMe})_2$ -ის ურთიერთქმედებით  $\text{Au}(\text{PPh}_3)(\text{C}_n\text{Fc})$ -თან ( $n=2,4$ ) რიმატებული ნახშირწყალბადების არეში  $75-90^{\circ}\text{C}$ -ზე. ციკლური ვალტიმპეტრული და ახლო უბანში ინფრაწითელი სპექტროსკოპიული კვლევებით დადგენილია, რომ (1)-(3) კლასტერები მიეკუთვნებან II კლასის მოლეკულურ გამტარებს, ხოლო (4)-ის სპექტრში არ შეინშება IVCT ზოლები, როგორც ჩანს სპეისერის არ არსებობის გამო.

შერეული ვალენტობის ნაერთები [Mixed-valence (MV)] შეიძლება განვიხილოთ, როგორც მარტივი სისტემები ელექტროგამტარი მოდელების ტესტირებისათვის [1-3]. ფეროცენი ხასიათდება მაღალი შექცევადი რეალქს თვისებებით და მდგრადი (+1/0) წყვილის საფუძველზე იგი ძალიან ხშირად გამოიყენება მუხტის გადატანის შესასწავლად. მოლეკულური ფრაგმენტების (X) გავლით შერეული ვალენტობის ბუნების მქონე  $[\text{Fc-X-Fc}]^+$ -ის ( $\text{Fc}$ =ფეროცენილ) საფუძველზე, სადაც ეფექტური დაკავშირების (ძლიერი ურთიერთქმედების) შემთხვევაში ორი  $\text{Fc}$ -რგოლი საფეხურებრივად იუანგება, რომ დაუანგვას შორის პოტენციალთა სხვაობა შეიძლება გამოიყენებული იქნას ურთიერთქმედების ძალის შესაფასებლად [4,5]. ორი ექვივალენტური ფეროცენილ ჯგუფების შემცველ ცნობილ ნაერთებში მეტალ-მეტალ სპეისერები არ ახდენს ფეროცენის ერთეულებს შორის ელექტრონულ კომუნიკაციას [6-8]. რენიუმ-ოქროს კლასტერების უჩვეულო გეომეტრიამ და საინტერესო ელექტრონქიმიურმა თვისებებმა განაპირობა მათი ალკინილ და ბუტადინილ წარმოებულების სინთეზის აუცილებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის შესწავლა. ორი რეალქს-აქტიური ფეროცენილის ჯგუფის უნიგალური სივრცითი განლაგება (ორი ფეროცენული ერთეულის შედარებით ახლო მდებარეობა სივრცეში) საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ შიდამოლეკულური ელექტრონული ურთიერთქმედება სივრცეში. სიდებს შორის ელექტრონული ურთიერთქმედების შეფასებისათვის სინთეზირებული იქნა რენიუმ-ოქროს კლასტერები [4,5]. მსგავსი სისტემები გამოიყენება არახაზოვან ოპტიკურ მასალებში, მოლეკულურ სადენებში და მოლეკულურ ელექტრონიკაში [7,8].  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{NCMe})_2$ -ის ოქროს ალკინილურ კომპლექსთან  $\text{Au}(\text{PPh}_3)(\text{C}_2\text{Fc})$  ურთიერთქმედებით მიღებულა კლასტერები  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_2\text{Fc})(\text{CO})_8$  (1) და  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})_2(\text{CO})_{12}$  (2) [4,5]. ნაერთის (2) რენტგენოსტრუქტურულმა ანალიზმა აჩვენა, რომ კლასტერის აქვს უჩვეულო აღნაგობა; მასში ოთხი რენიუმის ატომი წარმოქმნის ჩონჩხს “პეპელას” კონფიგურაციით (თითოეული  $\text{Re}_3$  ფრთა დაფარულია  $\text{Au}(\text{PPh}_3)$  ფრაგმენტებით) და ორი ექვივალეტური ფეროცენილალკინური ჯგუფი  $\mu_3$ -კოორდინირებულია  $\text{Re}_3$  ფრთებით წარმოქმნილი ღრუს შიგნით [5]. (2) კლასტერის კიდევ ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის განიცდის ორ შექცევად რეალქს პროცესს ფეროცენული ბირთვების მონაცილეობით, რომლებიც განსხვავდება  $109 \text{ mV}$ -ით. ეს მიუთითებს ძალიან იშვიათ ელექტრონულ კომუნიკაციაზე კლასტერული ჩონჩხის საშუალებით [5]. მაგრამ ქმიურად ექვივალენტური ფეროცენილური ჯგუფების შემცველი გარდამავალი მეტალების კლასტერები იშვიათობას წარმოადგენს; ასევე ამ კლასტერთათვის არ იყო ნაჩვენები მნიშვნელოვანი ელექტრონული კომუნიკაცია ექვივალენტურ რეალქს ცენტრებს შორის [9]. მსგავსი სისტემებში ელექტრონული კომუნიკაციის ხელშემწყობი ფაქტორების შესწავლის მიზნით, სასურველი იყო კომპლექსის მონათესავე კლასტერების რიცხვის სერიის გაფართოება და დადგენა, თუ რა გავლენას ახდენს რეალქს-აქტიურ ცენტრებს შორის კომუნიკაციაზე უჯერი ნახშირბადოვნი ჯაჭვის სიგრძის გაზრდა და სახელდობრ, ალკინილური ჯგუფების ბუტადინილურით შეცვლა. სამუშაოს მიზნის მისაღწევად პირველ ეტაპზე

სინთეზირებულ იქნა ალკინილ- და ბუტადიინილფეროცენები, მათი ოქროტრიფენილ ნაწარმები, სამწვრა ჰეტერომეტალური დირენიუმ-ოქროს კომპლექსები და ტეტრარენიუმ-ოქროს კლასტერები. მათი სტრუქტურა დადგენილია რენტგენოლიფრაქციული და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის (ბმრ) მეთოდებით. მეორე ეტაპზე სინთეზირებულ კომპლექსებში მუხტის დელოკალიზაცია შესწავლილი იქნა ციკლური ამბერმეტრიისა და ახლო უბანში ინფრაწითელი სპექტროსკოპიის მეთოდებით.

$\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\text{CO})_8(\mu\text{-C}_2\text{Fc})(1)$  სინთეზი განხორციელდა  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{CH}_3\text{CN})_2$  და  $\text{Au}(\text{C}_2\text{Fc})\text{PPh}_3$  ურთიერთქმედებით ტოლუოლში. გამოყოფები ნარინჯისფერ ნივთიერებას 70% გამოსავლით. ანალიგიურად სინთეზირებულია  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\text{CO})_8(\mu\text{-C}_4\text{Fc})$  (3) [10,11]. ფეროცენილალკინილ ლიგანდიანი ტეტრარენიუმ-დიოქროს  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\text{CO})_{12}(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})_2$  (3) და ფეროცენილბუტადინის ლიგანდის შემცველი კლასტერები  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\text{CO})_{12}(\mu_3\text{-C}_4\text{Fc})_2$  (5) სინთეზირებულია  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_n\text{Fc})(\text{CO})_8$  ( $n=2, 4$ ) კომპლექსების თერმოლიზისა და  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{NCMe})_2$  და  $\text{Au}(\text{PPh}_3)(\text{C}_4\text{Fc})$  შორის რეაქციის პირობების ვარირებით. მისი წარმოქმნა დამტკიცებულია ბმრ მეთოდით:  $^{31}\text{P}\{^1\text{H}\}$  ბმრ სპექტრში რეგისტრირებულია სიგნალი  $\delta$  90.26 მ.ნ., რომელიც პრაქტიკულად ემთხვევა ბის-ალკინილური კლასტერ (3) სიგნალს ( $\delta$  90.40 მ.ნ.). აცეტონიტრილ ლიგანდის შემცველი კლასტერი -  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  (4) მიღებულია  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$ -ის ურთიერთქმედებით დირენიუმის აცეტონიტრილიან კომპლექსთან. დადგენილია, რომ ფეროცენილაცეტილიდის ლიგნდი  $\text{Re}(1)$  ატომთან წარმოქმნის ს-ბმას, ხოლო  $\text{Re}(2)$ -თან π-ბმას. სინთეზირებული კლასტერების მოლეკულური სტრუქტურა და ძირითადი კრისტალოგრაფიული პარამეტრები მოცემულია შრომებში [4,5,10,11].

მიღებული რენტგენ-ოქროს კლასტერები შესწავლილია ციკლური ამბერმეტრიისა და ახლო უბანში ინფრაწითელი სპექტროსკოპიის (Near-infrared spectroscopy, NIRS) მეთოდებით. მუხტის შიდამოლეკულური გადატანის (inter-valence charge transfer, IVCT) ზოლების პარამეტრები (სიხშირე, ექსტინქცია, ნახევარსიგანე) ხიდური სპეისერით დაკავშირებული განსხვავებული დაფანგულობის ხარისხის მქონე მეტალის ორ ატომს შორის მუხტის დელოკალიზაციის ხარისხის შეფასების საშუალებას იძლევა. თეორია და ამ ზოლების აღწერის ფორმალიზმი დამუშავებულია ხაშის (N.S.Hush) მიერ [12]. ექსპერიმენტული მონაცემებიდან გაანგარიშებული იქნა ელექტრონული სიმკვრივის გადატანის შიდამოლეკულური ენერგია და დელოკალიზაციის პარამეტრი შემდეგი ფორმულებით:

$$\nu^2(\text{cm}^{-1}) = 4.2 \cdot 10^4 \cdot \nu_{\text{max}} \varepsilon_{\text{max}} \Delta\nu_{1/2} / d_{\text{MM}}^2 \quad \text{I}$$

$$\alpha^2 = 4.2 \cdot 10^4 \varepsilon_{\text{max}} \Delta\nu_{1/2} / \nu_{\text{max}} d_{\text{MM}}^2 \quad \text{II}$$

IVCT ზოლის ნახევარსიგანე გამოთვლილია შემდეგი ფორმულით:


$$\Delta\nu_{1/2} = \sqrt{2310} \nu_{\text{max}}, \quad \text{III}$$

ექსპერიმენტულად განსაზღვრული ზოლის შევიწროება III ფორმულით გამოთვლილთან შედარებით, მიუთითებს მუხტის დელოკალიზაციას. ორ მეტალურ ცენტრს შორის სპეისერის საშუალებით ელექტრონული კომუნიკაციის კრიტერიუმებია: 1. ახლო იწ სპექტრში ექსტინქციის ფართო ზოლის წარმოქმნა; 2. ამ ზოლის ნახევარსიგანის უფრო დაბალი მნიშვნელობა გამოთვლილთან შედარებით; 3. ზოლის პარამეტრების დამკიდებულება გამსხველებზე (სოლვატოერომიზმი). დელოკალიზაციის პარამეტრის მნიშვნელობა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას რობინისა და დეის კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით ყველა გამტარი იყოფა სამ კლასად: I კლასი ( $\alpha \sim 0$ ), არ არის ელექტრონული კომუნიკაცია მეტალის ატომებს შორის; II კლასი ( $0.707 > \alpha > 0$ ) და III კლასი ( $\alpha = 0.707$ ), მეტალურ ცენტრებს შორის არ არის მუხტების გაყოფა [13].

(1) და (2) კლასტერებში ელექტრონული კომუნიკაცია დადგენილია და მოცემულია შრომებში [4,5]. (3) და (4) კლასტერების NIR სპექტრი გადაღებული იქნა ქლორმეთილენისა და დიეთილის ეთერის ხსნარებში (ნახ.1 და 2). ზემოაღნიშნული ფორმულებით გამოთვლილი ზოლების პარამეტრები მოცემულია ცხრილში 1. ნეიტრალური კომპლექსების ხსნარებში არ შეინიშნება ზოლები ახლო იწ უბანში, ხოლო კომპლექს (1) რკინის ატომის დაფანგვა იწვევს სპექტრში ძალიან ინტენსიური ფართო ზოლის, ეწ. IVCT წარმოქმნას. დაფანგული რკინის ატომის შემცველი კომპლექსი მიღებულია ნეიტრალური კომპლექს (3) ექვიმოლური რაოდენობის  $[\text{FcAc}] \text{BAr}_4$  ( $\text{Ar}^F = 3,5\text{-}(\text{CF}_3)_2\text{C}_6\text{H}_3$ ) დამატებით.

დადგენილია, რომ დაფანგული რკინის ატომის შემცველი კომპლექსში არის საკმაოდ ძლიერი ელექტრონული ურთიერთქმედება რკინის ატომსა და  $\text{Re}(2)$  ატომს შორის (ნახ. 3). მიღებული პარამეტრები შეესაბამება ყველა კრიტერიუმს, რათა დაფანგული კომპლექსი II ტიპის მოლეკულურ გამტარებს მოვაკუთვნოთ. კომპლექსისათვის  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})_2(\text{CO})_{12}$  შემჩნევა ორი შექმნავადი რედოქს პროცესი განსხვავებული 0,099 V, რაც მიუთითებს ელექტრონული კომუნიკაციის არსებობაზე


ორ ფეროცენილურ რგოლს შორის. ფეროცენშემცველი რენიუმის კომპლექსების  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$  და  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  ფორმალური ულექტრონული პოტენციალები შესაბამისად 0,21 და 0,27 V ტოლია. ეს პოტენციალები განპირობებულია კომპლექსების ფეროცენული რგოლების (ბირთვების) შექცევადი 13 დაუანგვით.  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{CO})_8$  კომპლექსის  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$ -ში გადასვლისას ანუ ნახშირბადის ხიდის გაგრძელებისას  $\text{C}_2$ -დან  $\text{C}_4$ -მდე, გაადვილებულია ფეროცენილური ჯგუფის დაუანგვა 0,28 V-ით (შეადარეთ პოტენციალი 0,49 და 0,21 V). კლასტერის (4) (რომელიც შეიცავს დაუანგულ რენიის ატომს) ახლო უბნის იწ-სპექტრში არ შეინიშნება IVCT ზოლები, როგორც ჩანს სპეისერის არ არსებობის გმო. ეს ფაქტი აიხსნება მისი სტრუქტურით (ნახ.4): რეტგენოსტრუქტურული ანალიზით დადგენილია, რომ კლასტერ (4) მოლეკულა შეიცავს  $\text{Re}(1)$ ,  $\text{Re}(2)$  და  $\text{Re}(3)$  ატომებისგან შედგენილ ტრირენიუმის ჩონჩხს. მანძილები  $\text{Re}(1)\text{-Re}(2)$  და  $\text{Re}(1)\text{-Re}(3)$  შესაბამისად 2.9823(5) და 2.8917(5) Å-ია და წარმოადგენს დამაკავშირებელს (უფრო დაშორებული ატომები  $\text{Re}(1)\text{-Re}(2)$  დაკავშირებულია ხიდური  $\text{Au}(\text{PPh}_3)$  ფრაგმენტთან); მანძილი  $\text{Re}(2)\dots\text{Re}(3)$  (3.5909(5) Å) არ არის დამაკავშირებელი, მაშინ როდესაც  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\mu\text{-C}_2\text{Fc})_2(\text{CO})_{12}$  ოთხივე რენიუმის ატომი წარმოადგენს დამაკავშირებელებს [5].  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  კომპლექსის  $\mu_3\text{-C}_2\text{Fc}$  ლიგანდის ფეროცენილური ბირთვის დაუანგვის პოტენციალი (0,27 V), რამდენადმე აჭარბებს  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\mu\text{-C}_2\text{Fc})_2(\text{CO})_{12}$  კომპლექსის ერთ-ერთი  $\mu_3\text{-C}_2\text{Fc}$  აკლილინური ჯგუფის პირველადი დაუანგვის პოტენციალს - 0, 156 V. კომპლექსი (3) იუანგება უფრო ადვილად, ვიდრე შესაბამისი კომპლექსი (1) ( $\Delta E^0=0.28$  V). კლასტერი (4) დაუანგვა რამდენადმე გაძნელებულია (3) შედარებით ( $\Delta E^0=0.06$  V). მათი დაუანგვის პოტენციალების მცირედ განსხვავებული მნიშვნელობები მიგვანიშნებს ახლო ელექტრონულ სიმკვრივეზე  $\text{Fc}$ -ფრაგმენტებს შორის ორივე კლასტერში. (4) კლასტერში ლიგანდის  $\mu_3\text{-}\eta^1\text{:}\eta^2\text{-C}_2\text{Fc}$  ფეროცენის ჯგუფის დაუანგვა მიმდინარეობს 0.27 V, ე.ი. რამდენადმე უფრო ძნელად, ვიდრე ადრე შესწავლილი კლასტერ (2) პირველი  $\mu_3\text{-}\eta^1\text{:}\eta^2\text{-C}_2\text{Fc}$  ჯგუფის დაუანგვა (0.156 V). დაუანგული რენიის შემცველი კომპლექსი მიღებულია ნეიტრალურ კლასტერ (4) ექვიმოლური რაოდენობის  $[\text{FcAc}] \text{BAr}_4^F$  ( $\text{Ar}^F=3,5\text{-}(\text{CF}_3)_2\text{C}_6\text{H}_3$ ) დამატებით.




**ნახ. 1.** საწყისი (ქვედა სპექტრი) და დაუანგული (ზედა სპექტრი)  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\text{CO})_8(\mu\text{-C}_4\text{Fc})$  კომპლექსის NIR სპექტრი ( $\text{CH}_2\text{Cl}_2$ ).

**ცხრილი 1.** IVCT-ზოლების პარამეტრები კატიონურ კომპლექს  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\text{CO})_8(\mu\text{-C}_4\text{Fc})$  NIR-სპექტრებში



გამხსნელი	$\nu$ (სმ <sup>-1</sup> )	$\varepsilon$	$\Delta\nu^{1/2}$ ექ-სპ.(სმ <sup>-1</sup> )	$\Delta\nu^{1/2}$ გამოთ.(სმ <sup>-1</sup> )	$\Delta\nu^{1/2}$ ექსპ.-/ $\Delta\nu^{1/2}$ გამთ.	$V$ (სმ <sup>-1</sup> )	$V$ ვB	$\alpha$
$\text{CH}_2\text{Cl}_2$	9951	2690	3845	4794	0.8	990.195	0.123	0.099
$\text{Et}_2\text{O}$	9632	1957	2689	4717	0.57	592.79	0.073	0.072



**ნაზ.2.** საწყისი (ქვედა სპექტრი) და დაუანგული (ზედა სპექტრი)  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\text{CO})_8(\mu\text{-C}_4\text{Fc})$  კომპლექსის NIR სპექტრი ( $\text{Et}_2\text{O}$ )



**ნაზ. 3.**  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\text{CO})_8(\mu\text{-C}_4\text{Fc})$  კომპლექსის მოლეკულური სტრუქტურა

ნახ. 4.  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  კლასტერის მოლეკულური სტრუქტურანახ. 5. საწყისი (ქვედა სპექტრი) და დაფანგული (ზედა სპექტრი) კლასტერის  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  NIR სპექტრი ( $\text{Et}_2\text{O}$ ).

**ექსპერიმენტული ნაწილი.** რეაქციები ტარდებოდა არგონის ატმოსფეროში; პროდუქტების გამოყოფა კი ხდებოდა ჰაერზე. ქრომატოგრაფიული დაყოფა ხორციელდებოდა სილიკაგელზე (100/250 "Chemapol"). გამსხველების გაშრობა და დეგაზირება ტარდებოდა არგონის ატმოსფეროში სტანდარტული მეთოდებით. დეიტერირებული გამსხველები დეგაზირდებოდა არგონით. ბმრ  $^1\text{H}$  და  $^{31}\text{P}\{^1\text{H}\}$  სპექტრები რეგისტრირდებოდა (შესაბამისად 400.13 და 161.8 მჴ) სპექტრომეტრ Bruker

AMX-400 გამოყენებით. ბმრ  $^1\text{H}$  ქიმიური ძვრადობა მოტანილია მემილიონედ ნაწილებში ტეტრამეთილსილანთან მიმართებაში. ბმრ  $^1\text{H}$  ქიმიური ძვრადობები გაზომილია დეიტერიუმეული გამხსნელების წყალბადის ნარჩენი სიგნალის მიმართ.  $^{31}\text{P}\{^1\text{H}\}$  ბმრ ქიმიური ძვრადობები მოცემულია  $\text{H}_3\text{PO}_4$ -ის მიმართ მემილიონედ ნაწილებში, და გაზომილია 85% ფოსფორმეტას ხსნარიდან  $\text{D}_2\text{O}$ -ში. იწ სპექტრები რეგისტრირებულია სპექტრომეტრ FTIR Magna 750 IR (Nicolet) გამოყენებით.

მონოკრისტალების რენტგენოსტრუქტურული ანალიზი ჩატარდა დიფრაქტომეტრზე BRUKER SMART APEX II (გრაფიტის მონოქრომატორი, Mo-K $\alpha$  გამოსხივება,  $\lambda = 0.71073 \text{ \AA}$ , ო-სკანირების ტექნიკა,  $T=100$  (2)K). პროგრამა APEX II გამოყენებულია სტრუქტურული მონაცემების დაჯამების, არეკვლის ინდექსაციის, მესრის კონსტრუქტების განსაზღვრის, არეკვლის ინტენსივობის ინტეგრირების, შთანთქმის მასშტაბირებისა და კორექციისათვის [14]. პროგრამა SHEXTL კი სივრცით ჯგუფებისა და სტრუქტურის განსაზღვრის, დაზუსტების, გრაფიკული გამოსახულების და სტრუქტურის აღწერისათვის [15].

კლასტერების ციკლური ვოლფაბერმეტრული გაზომვები ტარდებოდა პოტენციოსტატზე IPC-P<sub>20</sub>M გულდასმით გასუფთავებულ  $\text{CH}_2\text{Cl}_2$ -ის  $10^{-3} \text{ M}$  ხსნარში, სტანდარტულ სამელექტროდიან უჯრედში, რომელიც აღჭურვილია მბრუნვავი მინა-ნახშირადის სამუშაო ელექტროდით ( $S=2 \text{ m}^2$ ), პლატინის ფირფიტით, როგორც საწინააღმდეგო ელექტროდი და ნაჯვრი კალიმელის ელექტროდით, როგორც სტანდარტული ელექტროდი. სკანირების სიჩქარე შეადგენდა  $200 \text{ mVs}^{-1}$ , ხსნარში შეიცავდა  $0,1 \text{ M}$   $\text{Bu}_4\text{NPF}_6$ , როგორც შიდა ელექტროლიტს. ახლო უბანში იწ სპექტრი რეგისტრირდებოდა სპექტრომეტრ JSD-205 ფურიეს გარდაქნით. შიდა სტანდარტის სახით გამოიყენებოდა ფეროცენ-ფერიცინიუმის წყვილი ( $E^\circ=0,47 \text{ V}$ ).

#### ლიტერატურა - REFERENCES -ЛИТЕРАТУРА

1. D.J. Low, M.I. Bruce, Adv. Organomet. Chem. 2001, 48 , 71.
2. A.A. Koridze, Russ. Chem. Bull., Int. Ed. 2000, 49, 1135.
3. A.A. Koridze, Russ. Chem. Bull., Int. Ed. 2000, 49, 1.
4. A.A. Koridze, V.I. Zdanovich, A.M. Sheloumov, F.M. Dolgushin, M.G. Ezernitskaya, P.V. Petrovskii, Russ. Chem. Bull., Int. Ed. 2001, 50, 2441.
5. A.A. Koridze, A.M. Sheloumov, F.M. Dolgushin, M.G. Ezernitskaya, E. Rosenberg, A. Sharmin, M. Ravera, Organometallics 2008, 27, 6163.
6. P.J. Low, N.J. Brown, J. Cluster Sci. 2010, 21, 235.
7. S.C. Jones, S. Barlow, D. O'Hare, Chem.-Eur. J. 2005, 11, 4473.
8. G.L. Xu, R.T. Crutchley, M.C. De Rosa, Q.J. Pan, H.X. Zhang, X. Wang, T. Ren, J. Am. Chem. Soc. 2005, 127, 13354.
9. A. Albinati, F. Fabrizi de Biani, P. Leoni, L. Marchetti, M. Pascuali, S. Rizatto, P. Zanello, Angew. Chem., Int. Ed. 2005, 44, 5701.
10. რომ ჭედია, ოლიკო ლეკაშვილი, ციალა კაკულია, ლილი ჯანიაშვილი, მარინე ბეროშვილი, თამარ ქორქა, ქეთუვან სარაჯიშვილი, ალექსეი შელოუმოვი, ფიოდორ დოლგუშინი, მარიამ ეზერნიცკაია. საქ. მეცნ. ეროვნ. აკად. მაცნე, ქმიის სერია, 2011, 1, 12-17.
11. R.V. Chedia, F.M. Dolgushin, A.F. Smolyakov, O I. Lekashvili, T.V. Kakulia, L.K. Janiashvili, A. M. Sheloumov, M. G. Ezernitskaya, S. M. Peregudova, P. V. Petrovskii, A. A. Koridze. Inorganica Chimica Acta, 2011, 378, 264-268.
12. N.S.Hush. Progr. Inorg. Chem. 1967, 8, 391.
13. M.B.Robin, P. Day. Advan. Inorg. Chem. Radiochem. 1967, 10, 247.
14. APEX II Software Package, Bruker AXS Inc., 5465, East Cheryl Parkway, Madison, WI 5317, 2005.
15. G.M. Sheldrick, Acta Cryst. 2008, A64, 112.

## ELECTRONIC COMMUNICATION BETWEEN FERROCENYL GROUPS IN GOLD-RHENIUM CLUSTERS

Roin V. Chedia, Oliko I. Lekashvili, Tsiala V. Kakulia, Lili K. Janiashvili, Marine G. Beroshvili,  
Tamar V. Korkia, Fedor M. Dolgushin\*, Alexander F. Smolyakov\*,  
Mariam G. Ezernitskaya\*, Avthandil A. Koridze

*Institute of Organometallic Chemistry, I. Javakhishvili Tbilisi State University,  
\*A.N. Nesmeyanov Institute of Organoelement Compounds, Russian Academy of Sciences, Moscow*

### SUMMARY

Electronic communication between ferrocenyl groups in gold-rhenium clusters  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_2\text{Fc})(\text{CO})_8$  (1),  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})_2(\text{CO})_{12}$  (2),  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$  (3) and  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  (4) was studied. Clusters were synthesized by the reaction of  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{NCMe})_2$  with  $\text{Au}(\text{PPh}_3)(\text{C}_n\text{Fc})$  ( $n=2,4$ ) in medium of aromatic hydrocarbons at  $75\text{--}90^\circ\text{C}$ . By means of cyclic voltamperometric and NIR spectrometric investigations it is established that upon lengthening of carbon bridge from  $\text{C}_2$  to  $\text{C}_4$  that is when  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{CO})_8$  complex transforms to  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$  the process of oxidation of ferrocenyl group with  $0,28$  V is simplified (compare  $0,49$ V and  $0,21$ V potentials). (1)-(3) clusters belong to II class molecular conductors and in NIR spectrum of 4 the IVCT bands does not appear, seemingly because of absence of spacer.

### ЭЛЕКТРОННАЯ КОММУНИКАЦИЯ МЕЖДУ ФЕРРОЦЕНИЛЬНЫМИ ГРУППАМИ В КЛАСТЕРАХ ЗОЛОТА-РЕНИЯ

Р.В.Чедия, О.И.Лекашвили, Ц.В.Какулия, Л.К.Джаниашвили, М.Г.Берошвили, Т.В.Коркия,  
Ф.М.Долгушин\*, А.Ф.Смоляков\*, М.Г.Езерницкая\*, А.А.Коридзе

*Институт металлоорганической химии, Тбилисский государственный университет им.  
И.Джавахишвили*

*\*Институт элементоорганических соединений им. А.Несмейанова, Российская Академия Наук,  
Москва*

### РЕЗЮМЕ

Изучена электронная коммуникация между ферроценильными группами в кластерах золота-рения  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_2\text{Fc})(\text{CO})_8$  (1),  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)_2(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})_2(\text{CO})_{12}$  (2),  $\text{Re}_2(\text{AuPPh}_3)(\mu\text{-C}_4\text{Fc})(\text{CO})_8$  (3) и  $\text{Re}_4(\text{AuPPh}_3)(\mu_4\text{-C}_2)(\mu_3\text{-C}_2\text{Fc})(\text{NCMe})(\text{CO})_{13}$  (4). Кластеры синтезированы при взаимодействии  $\text{Re}_2(\text{CO})_8(\text{NCMe})_2$  с  $\text{Au}(\text{PPh}_3)(\text{C}_n\text{Fc})$  ( $n=2,4$ ) в среде ароматических углеводородов при  $75\text{--}90^\circ\text{C}$ . При помощи циклической вольтамперметрии и инфракрасной спектроскопии в ближней области установлено, что (1)-(3) кластеры принадлежат к молекулярным проводникам II класса, а в спектре (4) не наблюдаются полосы IVCT, повидимому, из-за отсутствия спейсера.

სამუშაო შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი № 407).

**ზოზიპური ძიმია****ანიზოლის აცილირება ძმარმშავას ანალიზიდით მოდიფიცირებულ  
კლინოკტილოლიტზე**

გულნარა ბალარჯიშვილი, ლია სამხარაძე, ნელი ყალაბეგაშვილი, დალი იოსელიანი

ივ. ჯავახიშვილის სახელმისამართის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ბოლო დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნეს გამოკლევები, რომლებიც მიმართულია კატალიზის (ჰომოგენური, ჰეტეროგენური და ფერმენტული) უფრო ფართო გამოყენებისაკენ ფაქტოზოგანულ სინთეზში. მამოძრავებელ ფაქტორს აღნიშნულ შემთხვევებში წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების შექმნა, რაც ნიშნავს სამრეწველო ნარჩენების მინიჭებულებების დაყვანას, ან რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათი წარმოქმნის მიზეზების აღმოფხვრას, ასევე ტოქსიკური ნაერთების, საწვავი რეაგებულების და გამხსნელებისაგან თავის არიდებას [1-4]. ამ ტენდენციამ, რომელიც „მწვანე ქიმიის“ სახელითაა ცნობილი [5,6], მიგვიყვნა არსებული ორი კონცეფციის შერწყმამდე. კერძოდ, ტრადიციული კონცეფციის, რომელიც ითვალისწინებს მიზნობრივი ქიმიური პროდუქტების გამოსავლის გაზრდას და ახალი კონცეფციის, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნარჩენების აღმოფხვრის პრობლემას, ანუ, ეკოლოგიური ფაქტორის შემცირებას. ეკოლოგიური ფაქტორის სიდიდე მცვეთრად იზრდება მრავალტონაჟიანი პროდუქტებიდან ფაქტიზი თრგანული სინთეზის პროდუქტებზე გადასვლისას. ეს ნაწილობრივ ასესწება იმით, რომ მცირებულობა ქიმიის თრგანული პროდუქტების წარმოება მოიცავს მრავალსაფეხურიან სინთეზებს, რომლებსაც სტექიომეტრული და ხშირად ჭარბი რეაგენტების გამოყენებით ატარებენ. ამ დროს გარდაუვალია სხვადასხვა გამხსნელებით და გვერდითი პროცესების დროს წარმოქმნილი ნივთიერებებით გარემოს დაბინძურება.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია სტექიომეტრული მეთოდების შეცვლით ალტერნატიული, უფრო სუფთა კატალიზური მეთოდებით.

კატალიზურ პროცესებში ხშირად იყენებენ არაორგანულ ( $H_2SO_4$ ,  $H_3PO_4$  და სხვ.) და ლუისის ( $AlCl_3$ ,  $ZnCl_2$  და სხვ.) მჟავებს, რომლებიც რეაქციაში შედიან სტექიომეტრული რაოდნობით, მაგრამ როგორც წესი, ისინი ძნელად რეგენერირდებიან პროცესში ხელმორედ შევანის მიზნით. აქედან გამომდინარე, არსებობს მათი შეცვლის ტენდენცია ისეთი მყარი მჟავებით, როგორიცაა ცეოლითები, თიხების მჟავური ფორმები და ჰეტეროპოლიმერები, რომლებიც ვარგისა მრავალჯერადი გამოყენებისათვის [7].

ახალ მჟავურ კატალიზატორებზე გადასვლის მაგალითია ფრიდელ-კრაფტსის მიხედვით ალკილირების და აცილირების რეაქციები. მათგან ალკილირების რეაქციებში არაორგანული და ლუისის მჟავების ნაცვლად უკვე ფართოდ გამოიყენება ცეოლითები, რომელიც კატალიზურ აცილირების რეაქციებში უფრო ნაკლებ წარმატებული აღმოჩნდენ. საერთოდ, აცილირების კლასიკური პროცესი მიმდინარეობს ან აცეტილქლორიდის, ან ძმარმჟავანაპილრიდის და ჭარბი ლუისის მჟავას გამოყენებით გამსხნელის არში (აცეტილქლორიდთან რეაქციისათვის ერთ ექვივალენტზე მეტი  $AlCl_3$ -ია საჭირო, ხოლო ანპილრიდის შემთხვევაში – ორ ექვივალენტზე მეტი). ცეოლითურ კატალიზატორზე აცილირებისათვის მაცილირებელ აგენტად ძმარმჟავას ანპილრიდის გამოყენების შემთხვევაში გამხსნელი საჭირო არ არის. ამ დროს გამორიცხულია აგრეთვე  $HCl$ -ის წარმოქმნაც. როგორც გამხსნელი, ასევე გამოყოფილი  $HCl$  მცვეთრად აუარესებს ეკოლოგიური ფაქტორის სიღიდეს.

მიუხედავად კატალიზური აცილირების რეაქციებში ცეოლითების გამოყენების სინელეებისა, ფირმა „Phone Poulence“-მა მაინც შეძლო განეხორციელებინა არომატული ნაერთების, კერძოდ, ანიზოლის აცილირება ცეოლითურ *Beta*-კატალიზატორზე [8].

ანიზოლის აცილირების რეაქციები შესწავლილია ორგანული მჟავებით [9] და ბენზოილქლორიდით [10] ფოფაზიტზე და მორდენიტზე, ხოლო ძმარმჟავა ანპილრიდით ჰიდროქსილაპატიტზე და  $HAP-ZrBr_2$ -ზე [11]. გამოქვეყნებულია აგრეთვე შრომები [12], სადაც ანიზოლის აცილირების რეაქციებში კატალიზატორებად გამოყენებულია მეზოფორმული სილიკატები და მათზე დაფენილი ცეზიუმის მარილის შეცველი ფორმები.

ცნობილია, რომ [13] ანიზოლის აცეტილირების პროცესში  $AlCl_3$ -ის მონაწილეობისას ყოველი 1 კგ პეტოქსიაცეტოფენონის წარმოქმნება 4,5 კგ ჩამდინარე წყალი, რომელიც შეიცავს  $AlCl_3$ ,  $HCl$ , გამხსნელს და ძმარმჟავას ნარჩენ რაოდნობას. ალტერნატიულ კატალიზურ პროცესში კი 1 კგ მიზნობრივ პროდუქტზე წარმოიქმნება 0,035 კგ ჩამდინარე წყალი (ე.ი. 100-ჯერ ნაკლები) რომელიც შეიცავს 99%  $H_2O$ -ს, 0,8%  $CH_3COOH$  და 0,2%-ზე ნაკლებ სხვა ორგანულ ნივთიერებებს. გარდა ამისა, კატალიზატორი შეიძლება გამოყენებული იქნეს ხელმეორულ, ასევე მცირდება ტექნოლოგიური ოპერაციების რიცხვი.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ანიზოლის თხევადფაზური აცეტილირება ბუნებრივი ცეოლითის კლX (ხეკორმულას ადგილმდებარეობა) სხვადასხვა ფორმებზე.

### ექსპერიმენტული ნაწილი

კატალიზატორის მოსამზადებლად ბუნებრივ კლინოპტილოლიტს კლX ვაფხვიერებდით სპეციალურ წისქვილში, ვიღებდით 0,1-0,2 მმ ზომის ფრაქციას, ვრეცხავდით გამოხდილი წყლით, ვამუშავდებდით სამჯერადად 1N HCl-ით და ვახურებდით 400°C ტემპერატურაზე 4 სთ განმავლობაში ჰაერის ნაკადში. ნაწილობრივ დეკატიონირებულ და დეალუმინირებულ კლინოპტილოლიტის მიღებულ წყალბადურ ფორმას ვათავსებდით სამყელა უუმაცივრიან კოლბაში ანიზოლის და ძმარმჟავას ანზიდრიდის ნარევთან ერთად. ნარევის თანა-ფარდობა შესაბამისად შეადგენდა 5:1. ცდები ტარდებოდა მუდმივი მორევის პირობებში 70°C ტემპერატურაზე 0,5სთ განმავლობაში. პროცესის დამთავრების შემდეგ კოლბას ვათავსებდით ყინულიან წყალში. წარმოქმნილ პ-მეტოქსიაცეტოფენის გამოვყოფდით ბენზოლის ექსტრაქციით, ვრეცხავდით განზავებული NaOH-ის ხსნარით, წყლით და ვაშრობდით უწყლო ნატრიუმის სულფატზე. შემდეგ ვფილტრავდით და ვხდიდთ. აღნიშნულ პირობებში გამოსავალი შეადგენდა 55%-ს.

მიღებული შედეგი საგულისხმოა და ცდები გაგრძელდება აღნიშნული მიმართულებით.

### **ლიტერატურა - REFERENCES -ЛИТЕРАТУРА**

1. R.A. Sheldon. CHEMTECH, 1994, Ma. ch. p. 38-47.
2. R.A. Sheldon. Chem. and Ind. 1997, p. 12.
3. R.A. Sheldon. Chem. Tech. Biotechnol., 1997, v. 68, p. 381.
4. R.A. Sheldon. Mol. Catal. A: Chem. 1996, v. 107, p. 75.
5. P.T. Anastas, I.C. Wamer, Green chemistry Theory and Practice, Oxford Univ. Press, 1998.
6. Benign by Design Alternative Synthetic Design for Pollution Prevention. Eds. P.T. Anasta. C.A. Farris. Acs Symp Ser. nr. 577. Acs. Washington D.C. 1994.
7. R.S. Downing, van Rekkum H., Cheldon R.A. Cattech, 1997, v. 2, p. 95.
8. S. Ratton. Chem. Today, 1997, March/April, p. 33-37.
9. S.G. Waghlikar, P.S. Niphadkar, S. Mayadevi, S. Sivasanker. Acylation of anisole with long-chain carboxylic acids over wide pore zeolites. Applied Catalysis A: General, v. 317, issue 2, 2007, p. 250-257.
10. F. Guenadil, H. Aichaoui, D.M. Lambert, C.R. Mocurdy, J-H. Poupaert. Highly Selective Catalytic Friedel-Crafts Acylation of activated Aromatic Compounds Using the Ir. DMF Complex as Catalyst. Letters in Organic Chemistry, 2008, 5, 665-668.
11. Friedel-Crafts. Acylation of Anisole catalyzed by Green, reusable hydrofayapatite – ZnC. Bromide Catalyst. Advanced materials Research, 2010, v. 113-114, p. 18-21.
12. K.M. Parida, S. Rana, S. Mallock, D. Rath. Cesium salts of heteropoly acid immobilized mesoporous silica: an efficient catalyst for acylation of anisol. Journal of colloid and inter face science. 2010, v. 350, issue 1, p. 132-139.
13. Р.А. Шелдон. Катализ и тонкий органический синтез: на пути в новое тысячелетие. Российский химический журнал, 2000, 2, т. 44.

### **ANISOLE ACYLATION BY ACETIC ANHYDRIDE ON MODIFIED CLINOPTIOLITE**

G.Balarjishvili, L.Samkharadze, N.Kalabegashvili, D.Ioseliani

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

### **SUMMARY**

Anisole acylation by acetic anhydride is carried out under stationary conditions at 70°C temperature and following ratio of anisole:acetic anhydride 5:1 during 0,5 hour. Output of n-methoxyacetophenone comprised of 55%.

### **АЦИЛИРОВАНИЕ АНИЗОЛА УКСУСНЫМ АНГИДРИДОМ НА МОДИФИЦИРОВАННОМ КЛИНОПТИЛОЛИТЕ**

Г.И.Баларджишвили, Л.О.Самхарадзе, Н.Г.Калабегашвили, Д.К.Иоселиани

Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили

Тбилисского государственного университета им. Ив.Джавахишвили

### **РЕЗЮМЕ**

Проведено ацилирование анизола уксусным ангидридом в стационарных условиях при температуре 70°C и соотношении анизол:уксусный ангидрид 5:1 в течение 0,5 ч. Выход н-метоксицетофенона составлял 55%.

**ზოზიპური ძიგი****ულტრაიისური ბამოსხივების ბაზლუნის შესრაგლა ზოგიერთი ორგანულ საღებარზე  
მათი ფოტომედებობის გაზრდის მიზნით**

რიმზეტ თუშურაშვილი, ციური ბასილაძე, გივი ზიდეშვილი, მერაბ ფანჩვიძე  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რაფიელ ავლაძის არაორგანული ქმითსა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ხელოვნების ნიმუშების შენახვა-  
რესტავრაციისადმი. სულ უფრო ცხადი ხდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენების  
აუცილებლობა ამ საკითხის გადასაჭრელად. მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება კვლევის  
თანამედროვე ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები.

კლიმატური პირობები, როგორიცაა ტემპერატურა, ნესტიანობა, ჰაერის ქიმიური შემადგენლობა  
და სხვ., მნიშვნელოვანილად მოქმედებს ხელოვნების ნაწარმოებთა შენახვის ვადაზე. კერძოდ,  
მკვეთრად უარესდება ნახატების და ფრესკების პირვანდელი მდგომარეობა, ძირითადად, გაუფერულების  
გამო.

ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც განაპირობებს საღებავების დაშლას, წარმოადგენს  
სინათლის გამოსხივება, რადგანაც, როგორც ცნობილია, ორგანული და არაორგანული ნივთიერებები  
მეტად მგრძნობიარეა ფოტოქიმიური გარდაქმნების მიმართ. განსაკუთრებით ძლიერ ეფექტს იწვევს  
დღის სინათლე, რადგანაც ღრუბლიანობის დროსაც კი დიფუზიური სინათლე 10-ჯერ უფრო  
დამანგრეველია, ვიდრე ვარგარების ნათურის სინათლე.

სინათლის ზემოქმედება ორგანულ მასალებში იწვევს ფოტოქიმიურ რეაქციებს, რომლებიც  
სინათლის ენერგიის ქიმიურ ენერგიად და სითბოდ გარდაქმნის შედეგია. ნებისმიერი ტალღის სიგრძის  
სინათლე ხასიათდება დესტრუქციული თვისებებით. მაგალითად, ხილული სინათლე,  $\lambda = 400 - 500$  ნმ  
დაიაპაზონში ინიცირებს ქიმიურ და ფოტოქიმიურ გარდაქმნებს.

სამუზეუმო ექსპონატებისათვის განსაკუთრებით საშიშია ულტრაიისური გამოსხივება, რომელიც  
 $\lambda = 200 - 400$  ნმ დიაპაზონში იწვევს ინტენსიურ ფოტოქიმიურ რეაქციებს; შედეგად, ადგილი აქვს  
ქიმიური ბმების გახლებას მთელ რიგ ორგანულ ნაერთებში [1].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელოვნების ნიმუშებში სინათლის ზემოქმედებით  
გამოწვეული ფოტოქიმიური პროცესების შესწავლა მეტად აქტუალური საკითხია.

აღრე გამოქვეყნებულ ნაშრომებში ჩვენს მიერ შესწავლილია ზოგიერთი საღებრის გარდაქმნა  
სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით, როგორიცაა მაღალი ენერგიების გამოსხივება, ფოტოგამოსხივება,  
ოზონი. დაღვენილია, რომ ყველა შემთხვევაში მიმდინარეობს საღებრების ინტენსიური გაუფერულების  
პროცესი [2].


წარმოდგენილი სამუშაოს მიზანია სხვადასხვა ორგანული საღებრის წყალხსნარების  
სტაბილიზაციის შესაძლებლობის დადგენა მათზე ფოტოგამოსხივების ზემოქმედებისას. შესწავლილია  
საღებრების – მეთილნარინჯის და პირდაპირი წითელი – 2C-ს მოდელური წყალხსნარების  
ფოტოლიზი. ულტრაიისური სხივების წყაროდ გამოიყენებოდა ПРК-7 მარკის ვერცხლისწყალ –  
დამუშავებულია საწარმოს ჩამდინარე წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის შემდეგი სქემა (ნახ. 2): წარმოებიდან გამოსული ჩამდინარე წყალი შეწონილი ნაწილაკების მოსაცილებლად გაივლის ფრაქციონატორის (1), რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად ვერტიკალური ბადის (3) საშუალებით, ბადის ფორმების დიამეტრია 60-100 მმ. ჩამდინარე წყალი საქმენით (2) შედის ფრაქციონატორში, სადაც იყოფა უხეშ და წმინდა ფრაქციებად. შეწონილი ნაწილაკების 50-80% რჩება უხეშ ფრაქციაში. შეწონილი ნაწილაკებისაგან გაწმენდილი წყალი შედის ჰორიზონტალური ცხიმსაჭერის შესასვლელი არხით (4) დასალექ ნაწილში (5), რომლის ფსკერი საგარცხლისებურია. საგარცხლებშორისო ღრმულებში განლაგებულია ფილტროსები (ფორმვანი ფირფიტები) (7), რომელთა ქვეშ უბერავენ ჰაერს მთავარი ჰაერსადენიდან (8) განშტოებული საპარო დგარების (9) საშუალებით. ამოტივტივებული ცხიმი შედის ჩასასხმელ ძაბრში (10) და მილით (11) გადადის ცხიმის შემკრებში. განივი კედელი (12) ხელს უწყობს ცხიმის ნაწილაკების ამოტივტივებას ჩასასხმელი ძაბრისაკენ (10). ცხიმმოცილებული ჩამდინარე წყალი გამოსასვლელი კამერის (6) გავლით და მილით (13) გამოდის ცხიმსაჭერიდან. გაწმენდილ წყალს აბრუნებენ საწარმოში ან უშვებენ საკანალიზაციო ქსელში.



ნახ. 2. ჩამდინარე წყლის გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სქემა:

1 – ფრაქციონატორის კორპუსი; 2 – საქმენი; 3 – ბადე; 4 – არხი;

5 – დასალექი ნაწილი; 6 – გამოსასვლელი კმერა; 7 – ფილტროსები;

8 – ჰაერსადენი; 9 – საპარო დგარები; 10 – ძაბრი;

11 – ცხიმის გამოსაყვანი მილი; 12 – განივი კედელი; 13 – გამოსასვლელი მილი.

ტექნიკური მონაცემების მიხედვით ცხიმსაჭერში ჩამდინარე წყლის დაყოვნების ხანგრძლივობა არის 5-7 წელი წყლის ხარჯის მაქსიმალური მოდინების დროს. ჰაერის ხარჯი 1 მ<sup>3</sup> გასაწმენდ ჩამდინარე წყლის ხარჯზე 0,3 მ<sup>3</sup> აიღება. ჩამდინარე წყლის მოძრაობის სიჩქარეა 4÷6 მმ/წმ, ცხიმის ამოტივტივების სიჩქარე – 0,4÷0,6 მმ/წმ.

გამოყოფილი ცხიმის გამოყენება შეიძლება ტექნიკური მიზნებისათვის, მაგალითად, საპნისა და სანთლის დამზადებისათვის.

#### **ლიტერატურა – REFERENCES**

1. 6. ჩხუბიანიშვილი, ლ. გვერდწითელი. გარემოს დაცვა სამრეწველო გაჭუჭყიანებისაგან. მეთოდური მითითება. თბილისი, სტუ, 2006, 56 გვ.
2. წყლის ტექნიკური რეგლამენტი. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 17.12.2007 წლის № 349/6 ბრძანება, 124 გვ.
3. А.И. Родионов, В.Н. Клужин, Н.С. Торочешников. Техника защиты окружающей среды. Москва, «Химия», 1989, 509 с.
4. ი. გეგელაშვილი, ე. ნიჟარაძე. სამრეწველო საწარმოთა კანალიზაცია. თბილისი, „განათლება“, 1987, 33-39 გვ.

#### **DEVELOPMENT OF TECHNOLOGICAL PROCESS SCHEME FOR CLEANING OF MEAT PRODUCTS PRODUCTION WASTEWATER**

Leila Gverdtsiteli, Julieta Gugeshidze, Izolda Bazgadze  
*Georgian Technical University*

#### **SUMMARY**

The composition is studied and the technological process scheme is worked out for purification of wastewater in meat products production.

#### **РАЗРАБОТКА СХЕМЫ ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОЧИСТКИ СТОЧНЫХ ВОД ПРОИЗВОДСТВА МЯСОПРОДУКТОВ**

Л.В.Гвердцители, Дж.Э.Гугешидзе, И.Б.Базгадзе  
*Грузинский технический университет*

#### **РЕЗЮМЕ**

Изучен состав и разработана схема технологического процесса очистки сточных вод производства мясопродуктов.

## პიმიური ეპოლობია

## მდინარე არაგვის ჰიდროლოგიური რეზიმის შესფავლის შედეგები

თამარ შარაშიძე, გიორგი მეტრეველი, ლეილა გვერდწითელი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კლიმატის მიმდინარე ფლუქტუაციები ხელს უწყობს სხვადასხვა პროცესების განვითარებას, კერძოდ, კლიმატის კონტრასტულობის გაძლიერებას, ხმელეთზე ტენიანობის განაწილების არსებული მდგომარეობის დარღვევას და სხვ. საქართველოში ეს პროცესები მულავნდება სხვადასხვა ინტენსივობითა და უჯერტურობით. კავკასიონზე ტენიანობის მერიდიანული გადატანის პროცესზე კლიმატის მიმდინარე ფლუქტუაციის გავლენის გლობალური დაკვირვების სქემის ერთ-ერთ შემადგენლად შეიძლება განვითილოთ მდინარე არაგვის ჰიდროლოგიური მახასიათებლების მონიტორინგი, რაც საქართვის სიზუსტით არის განხორციელებული ათეული წლების მანძილზე – 1928-2000 წწ., როცა მის აუზში სხვადასხვა დროს ექვსი ჰიდროლოგიური სადგური მოქმედებდა. სამწუხაროდ, 2000-2009 წწ.-ში არაგვის აუზში ჰიდროლოგიური ხასიათის სამუშაოები არ ჩატარებულა. კლიმატის ცვლილებების და მდინარის აუზის ინტენსიური ათვისების, ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარების პირობებში მდინარის ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური მდგომარეობის საკითხი წარმოადგენს მთელი რიგი როგორ პრობლემების ერთობლიობას. უკანასკნელ წლებში ანთროპოგენული ფაქტორების ზემოქმედების გააქტიურების გამო, მათი შესწავლა და შეფასება მნიშვნელოვნად გააძლიდრებს საინფორმაციო ბაზას, რომელიც საჭიროა მდინარე არაგვის აუზში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების კონტროლისა და მართვისათვის. ამიტომ საჭირო გახდა ახალი ოპერატორი დაკვირვების განხორციელება, რაც ნაწილობრივ მაინც შეავსებდა მონიტორინგის ათწლიან დანაკლისს.

ამიტომ 2010 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში შესრულდა საკონტროლო გაზომვები მდინარე არაგვის ჩამონადებზე.

პირველი გასვლა შედგა 30.05.2010 წელს ორ წერტილში მდ. ფშავის არაგვზე – თვალივის ხიდთან პ/ს (X-488636, -4682817) და მდ. არაგვზე სოფ. ციხისძირთან (ანანურთან) პ/ს (X-476443, -4670033). დაკვირვება წარმოებდა ტივტივას მეთოდით.

თვალივის ხიდთან მუშაობის დრო 13.10 – 15.20 სთ; ამინდი: მზანი, ქარი 5-10 მ/წმ.

გაზომვის პირობები: ხიდზე ყოველ 2 მეტრში შეირჩა სიჩქარის საზომი 16 ვერტიკალი. ხიდიდან ქვემოთ მდინარის მიმართულებით 40 მ-ზე გატარდა ჩამკეტი პ/ზ კვეთი, რომლის სიგანე იყო 34 მ. ხიდიდან ყოველ კვეთში თანმიმდევრობით და გარკვეული პერიოდულობით იყრებოდა ტივტივები და მათი გავლის დრო ჩამკეტი კვეთის გადაკვეთამდე წამმზომით ფიქსირდებოდა ორი დამკვირვებლის მიერ (ცხ. 1).

**ცხრილი 1.** მდ. ფშავის არაგვის წყლის ხარჯი - პ/ს თვალივის ხიდი

№	დრო, წმ	სიჩქარე, მ/წმ		სიღრმე, მ		სიგანე, მ <sup>2</sup>	ფართობი, მ	ხარჯი, მ <sup>3</sup> /წმ
		ზედაპი- რული	საშუალო	ვერტი- კალზე	საშუალო			
1	27,2	1,47	0,88	1,0	0,70	2,0	1,4	1,23
2	13,0	3,07	1,84	1,2	1,10	2,0	2,2	4,05
3	12,4	3,22	1,93	1,5	1,35	2,0	2,7	4,86
4	13,3	3,00	1,80	1,8	1,65	2,0	3,3	5,96
5	11,4	3,51	2,11	1,6	1,70	2,0	3,4	7,17
6	11,2	3,57	2,14	1,5	1,55	2,0	3,1	6,63
7	12,9	3,10	1,86	1,5	1,50	2,0	3,2	5,58
8	14,7	2,72	1,63	1,4	1,45	2,0	2,9	4,73
9	15,3	2,61	1,57	1,2	1,30	2,0	2,6	4,08
10	34,1	1,17	0,70	1,0	1,10	2,0	2,2	1,54
11	60,1	0,66	0,40	0,25	0,60	2,0	0,6	0,24
<b>თავთხელი</b>								
16	168	0,23	0,14	0,2	0,14	2,0	0,22	0,03
<b>შულ</b>								46,1

სოფ. ციხისძირის ხიდთან მუშაობის დრო 16.40-17.30 სთ, ამინდი – მზიანი, სუსტი ქარი 5-10 მ/წმ; გაზომვის პირობები: ხიდზე მოინიშნა კვეთის 12 წერტილი, კვეთებს შორის მანძილი 2 მეტრს შეადგენდა. კვეთებზე, წერტილების შესაბამის ვერტიკალებზე იზომებოდა მდინარის სიღრმე. მდინარის აღმა 40 მ-ის მანძილზე გატარდა საწყისი (სასტარტო) კვეთი, სიგანით 328. საწყისი კვეთში, გარკვეული პერიოდულობით და იმის მცდელობით, რომ ხიდის თითოეულ კვეთში გაევლო საქმარისი რაოდენობის ტივტივებს, ხდებოდა დადებითი ცურვადობის საგნების ჩაშვება, რომელთა ჩამკეტ კვეთამდე (ხიდამდე) გავლის დრო წამმზომით ფიქსირდებოდა ორი დამკვირვებლის მიერ. ტივტივების მეთოდით გაზომილი ხარჯის სიზუსტე: 10%. შედეგები მოცემულია ცხრილში 2.

ცხრილი 2. მდ. არაგვის წყლის ხარჯი - პ/ს ციხისძირი (ანანური)

№	დრო, წმ	სიჩქარე, მ/წმ		სიღრმე, მ		სიგანე, მ <sup>2</sup>	ფართობი, მ	ხარჯი, მ <sup>3</sup> /წმ
		ზედაპი- რული	საშუალო	ვერტი- კალებზე	საშუალო			
1	27,8	1,44	1,01	1,3	0,70	2,0	1,4	1,41
2	19,9	2,01	1,21	1,5	1,40	2,0	2,8	3,39
3	11,5	3,48	2,01	1,6	1,55	2,0	3,1	6,23
4	11,8	3,38	2,03	1,8	1,70	2,0	3,4	6,90
5	12,5	3,20	1,92	1,5	1,65	2,0	3,3	6,34
6	19,9	2,01	1,26	1,2	1,35	2,0	2,7	3,40
7	23,6	1,70	1,12	0,9	1,05	2,0	2,1	2,35
8	21,0	1,19	0,98	0,7	0,80	2,0	1,6	1,57
9	31,5	1,27	0,76	0,3	0,50	2,0	1,0	0,76
10	39,0	1,02	0,61	0,2	0,25	2,0	0,5	0,30
11	61,0	0,66	0,42	0,2	0,20	2,0	0,4	0,17
თავთხელი		ტივტივები მოძრაობენ დაყოვნებით კალაპოტის მცირე სიღრმისა და ჩახერგილობის გამო						
17	68,0	0,59	0,35	0,2	0,20	2,0	0,4	0,14
შულ								33,0

მეორე გასვლა შედგა 27.06.10, ორ წერტილში, მდ. ფშავის არაგვზე – თვალივის ხიდთან პ/ს და მდ. არაგვზე სოფ. ციხისძირთან (ანანურთან) პ/ს. დაკვირვება წარმოებდა ინსტრუმენტული მეთოდით. საზომი ინსტრუმენტი – ჰიდრომეტრული ტრიალა Ж-3, სტანდარტული საძირავი ტვირთით (წონა 32 კგ); ელემენტარული ხარჯები გაანგარიშებულია შემდეგი სახის გამოსახულებით:

$$q_i = f_i v_i, \quad (1)$$

ხოლო სრული ხარჯი გამოთვლილია შემდეგი ფორმულით:

$$Q = \sum_{i=1}^n q_i f_i, \quad (2)$$

სადაც,  $q_i$  – ელემენტარული ხარჯი კვეთებს შორის;

$f_i$  – კვეთებს შორის მდინარის კალაპოტის ფართობი;

$v_i$  – საშუალო სიჩქარე კვეთში;

$Q$  – სრული ხარჯი;

$\Sigma$  – ელემენტარული ხარჯების და ფართობების შეკრების აღმნიშვნელი.

თვალივის ხიდთან მუშაობის დრო 13.10 – 15.20 სთ; ამინდი: მზიანი, ქარი 5-10 მ/წმ.

გაზომვის პირობები: მდინარის სიგანე 24,5 მ. ხიდზე ყოველ 4 მეტრში შეირჩა სიღრმის საზომი 7 და სიჩქარის საზომი 4 ვერტიკალი ისე, რომ სიჩქარის ვერტიკალები ემთხვეოდა სიჩქარის II, III, IV და VII ვერტიკალებს. საზომ ვერტიკალებზე გაიზომა მდინარის სიღრმე ცოცხალი კვეთის გაანგარიშების მიზნით, ხოლო სიჩქარის ვერტიკალებზე – ნაკადის სიჩქარე. შედეგები მოცემულია ცხრილში 3.

სოფ. ციხისძირის ხიდთან მუშაობის დრო 17.40 – 20.20 სთ; ამინდი: ღრუბლიანი, მცირე წვიმა, ქარი 7-10 მ/წმ; გაზომვის პირობები: მდინარის სიგანე 33,4 მ. ხიდზე ყოველ 4 მეტრში შეირჩა

სიღრმის საზომი 9 და სიჩქარის საზომი 4 ვერტიკალი ისე, რომ სიჩქარის ვერტიკალები ემთხვეოდა სიჩქარის I, III, V და VI ვერტიკალებს. საზომ ვერტიკალებზე გაიზომა მდინარის სიღრმე ცოცხალი კვეთის გაანგარიშების მიზნით, ხოლო სიჩქარის ვერტიკალებზე ნაკადის სიჩქარე. შედეგები მოცემულია ცხრილში 4.

ცხრილი 3. მდ. ფშავის არაგვის წყლის ხარჯი - პ/ს თვალივის ხიდი

საზომი ვერტ. №	სიღრმე, მ	სიჩქარის ვერტ. №	საზომი დრო, წელი	სიზომი დრო, წელი	სიჩქარე, მ/წმ		სიგანე, მ	ფართობი, მ <sup>2</sup>	ხარჯი, მ <sup>3</sup> /წმ
					ვერტიკალზე	საშუალო, ელემენტარულ კვეთში			
მარჯვ.- ნაპირი	0,0								
I	0,6								
II	1,0	I	121 120	1,66 1,22		1,05	7,8	1,68	1,76
III	1,1	II	120 120	2,22 1,13		1,59	4,0	3,88	6,23
IV	0,5	III	120 122	2,30 1,26		1,73	4,0	4,60	7,96
V	0,8								
VI	0,5								
VII	0,2	IV	120 122	1,63 1,51		1,57	8,7	6,24	10,42
მარცხ.- ნაპირი	0,0								
შულ							16,4	26,4	

ცხრილი 4. მდ. არაგვის წყლის ხარჯი - პ/ს ციხისძირი (ანაზური)

საზომი ვერტ. №	სიღრმე, მ	სიჩქარის ვერტ. №	საზომი დრო, წელი	სიჩქარე, მ/წმ		სიგანე, მ	ფართობი, მ <sup>2</sup>	ხარჯი, მ <sup>3</sup> /წმ
				ვერტიკალზე	საშუალო, ელემენტარულ კვეთში			
მარჯვ.- ნაპირი	0,0							
I	0,6	I	121	1,61	0,97	4,0	1,2	1,2
II	1,0							
III	1,1	II	122 120	2,10 1,45	1,70	8,0	7,6	12,9
IV	0,5							
V	0,8	III	120 122	2,10 1,77	1,86	8,0	5,8	10,8
VI	0,5	IV	122	1,9	1,9	4,0	2,6	
VII	0,2							
VIII	0,1	V	120	1,68	1,33	6,0	1,8	5,0
IX	0,3	VI	124	0,30	0,06	3,4	1,7	2,4
მარცხ.- ნაპირი	0,0							
შულ							20,7	32,3

მესამე საკონტროლო გასვლა შედგა 11.07.10, ორ წერტილში, მდ. ფშავის არაგვი-თვალივის ზღვითან პ/ს და მდ. არაგვზე სოფ. ციხისძირთან (ანანურთან) პ/ს. დაკვირვება წარმოებდა ინსტრუმენტული მეთოდით. საზომი ინსტრუმენტი – ჰიდრომეტრული ტრიალა ჯ-3, სტანდარტული საძირავი ტვირთით (წონა 32 კგ);

თვალივის ზღვითან მუშაობის დრო 13.10 – 15.20 სთ; ამინდი: მზიანი, ქარი 5-10 მ/წმ.

გაზომვის პირობები: მდინარის სიგანე 24,5 მ. ზიდზე ყოველ 4 მეტრში შეირჩა სიღრმის საზომი 7 და სიჩქარის საზომი 4 ვერტიკალი ისე, რომ სიჩქარის ვერტიკალები ემთხვეოდა სიჩქარის II, III, IV და VII ვერტიკალებს. საზომ ვერტიკალებზე გაიზომა მდინარის სიღრმე ცოცხალი კვეთის გაანგარიშების მიზნით, ხოლო სიჩქარის ვერტიკალებზე ნაკადის სიჩქარე.

სოფ. ციხისძირის ზღვითან მუშაობის დრო 17.40 – 20.20 სთ; ამინდი: ღრუბლიანი, მცირე წვიმა, ქარი 7-10 მ/წმ; გაზომვის პირობები: მდინარის სიგანე 33,4 მ. ზიდზე ყოველ 4 მეტრში შეირჩა სიღრმის საზომი 9 და სიჩქარის საზომი 4 ვერტიკალი ისე, რომ სიჩქარის ვერტიკალები ემთხვეოდა სიჩქარის I, III, V და VI ვერტიკალებს. საზომ ვერტიკალებზე გაიზომა მდინარის სიღრმე ცოცხალი კვეთის გაანგარიშების მიზნით, ხოლო სიჩქარის ვერტიკალებზე – ნაკადის სიჩქარე.

**ცხრილი 5.** მდ. ფშავის არაგვის წყლის ხარჯი- პ/ს თვალივის ზღვით

საზომი ვერტ. №	სიღრმე, მ	სიჩქარის ვერტ. №	საზომი დრო, წმ	სიჩქარე, მ/წმ		სიგანე, მ	გართობა, მ <sup>2</sup>	ხარჯი, მ <sup>3</sup> /წმ
				ვერტიკალზე	საშუალო ელემენტარულ კვეთში			
მარჯვ. ნაპირი	0							
I	07	I	121	1.84	1,47	1,0	0,18	0,26
II	0,6	II	120	2.57	1,97	4,0	1,47	2,82
III	1,5	III	120	2.60	2,50	4,0	2,1	5,25
IV	1,2	IV	120 121	2.60 2.26	2,43	6,0	1,35	3,28
V	1,0	V	122	2.80	2,29	8,0	1,65	3,78
VI	0,8	VI	120	2.26	1,86	4,0	2,25	4,18
VII	0,3	VII	120 0	2.04	0,96	6,0	1,6	1,54
მარცხ. ნაპირი	0,0							
შულ							10,6	21,11

**ცხრილი 6.** მდ. არაგვის წყლის ხარჯი - პ/ს ციხისძირი (ანანური)

№ საზომი ვერტ. -	სიღრმე, მ	№ სიჩქარის ვერტ. -	საზომი დრო, წმ	სიჩქარე, მ/წმ		სიგანე, მ	ფართობი, მ <sup>2</sup>	ხარჯი, მ <sup>3</sup> /წმ
				ვერტი- კალზე	საშუალო, ელემენტ- კვეთში			
მარჯვ. ნაპირი	0,0							
I	0,8	I	120	1,98	1,19	5,0	2,5	2,98
II	0,5	II	122	1,54	1,76	8,0	1,3	3,06
III	1,1	III	120	2,83	1,77	6,0	1,9	3,36
IV	1,4	IV	121	2,31	2,57	5,0	1,2	2,96
V	0,4	V	120	2,14	1,90	9,0	3,1	5,89
VI	0,4	VI	122	1,76	1,28	3,0	0,6	0,77
მარცხ. აპირი	0,0							
შულ							10.6	12.92

საქონტროლო გაზომვების შედეგებმა აჩვენა, რომ მდინარეთა წყლის ხარჯების სიდიდეები შესაბამება მათ მრავალწლიურ მონაცემთა სტატისტიკური რიგის 40-60%

უზრუნველყოფის მნიშვნელობებს. შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ შედეგები რეპრეზენტატულია და მიღებული მონაცემებით შესაძლებელია შეფასდეს მდინარის ჩამონადენი და შესაბამისად, მისი სეზონური გარიაცია. თვეებს შორის წყლის ხარჯის ყველაზე დიდი მატებით გამოირჩევა აპრილი-მაისი. შემოდგომის პერიოდისათვის მდინარეს ახასიათებს წყალმცირობა, არასტაბილური, ცვალებადი სასიათო. პიდროლოგიური პარამეტრების სტატისტიკური რიგიდან გამომდინარე, ზრდის ტენდენციის მიახლოებითი პროგნოზის მიხედვით, ჩამონადენი მომატებულია. ნამატის რაოდენობა (30-35%) მომავალ წლებში წარმოადგენს მაღალხარისხოვანი სასმელი წყლის იმ რაოდენობას, რომელსაც შეუძლია დაკმაყოფილოს ქთბილის მოსახლეობის მოთხოვნა.

### ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

- თ. შარაშიძე. მდინარე არაგვის აუზის მონიტორინგი, ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენა და მათი აღკვეთის შესაძლებელი ღონისძიებები. სადოქტორო დისერტაცია, სტუ, 2011, 166 გვ.
- ლ. გვერდწითელი, თ. შარაშიძე, შ. ახდლულაძე. მდინარე არაგვის მონიტორინგის სტრატეგია და შეფასება. საქართველოს ქიმიური უუნალი. ISSN 1512-0686, 2009, № 3, ტ. 9, გვ. 253-254.
- Метревели Г.С., Швангирадзе М.Х. Оценка уязвимости прибрежной зоны Грузии. Рамкаконвенция изменения климата Организации Объединенных Наций. Второе национальное сообщение, Тбилиси, 2009, ст. 55-89.
- Метревели Г.С., Рехвиашвили Ш.Д. Баланс воды жинвальского водохранилища. Тбилиси, 1999, ст. 54.

### RESULTS OF RIVER ARAGVI HYDROLOGICAL REGIME STUDY

Tamar Sharashidze, Giorgi Metreveli, Leila Gverdtsiteli  
Georgian Technical University

#### SUMMARY

Based on the results of the river Aragvi hydrological regime survey the runoff of the river and its seasonal variations are investigated.

### РЕЗУЛЬТАТЫ ИЗУЧЕНИЯ ГИДРОЛОГИЧЕСКОГО РЕЖИМА РЕКИ АРАГВИ

Т.А.Шарашидзе, Г.С.Метревели, Л.В.Гвердцители  
Грузинский технический университет

#### РЕЗЮМЕ

По результатам изучения гидрологического режима реки Арагви установлены сток воды реки и соответственно ее сезонные вариации.

**შიმიური ეკოლოგია****მეცნიერების ნარჩენებიდან შუალედური პროდუქტების გამოყოფა სამკურნალო და პროცესუალური საშუალებების დამზადების მიზნით**

ავთანდილ დოლიძე, გიორგი დავითაია, ირმა მიქაძე, ნინო ქავთარაძე, ნანა წეროძე, რუსულან ურიდია

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

ბუნებრივი წარმოშობის ეფექტური ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მისაღებად ახალი წყაროების მოძიება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. ბუნებრივი ნედლეულის რაციონალური გამოყენებისათვის საყურადღებო ახალი კონკურენტუნარიანი უსაფრთხო ტექნოლოგიების შემუშავება და რეალიზაცია. საკეთი მრეწველობის თხევადი და მყარი ნარჩენების რაოდნობა დღითიდღე იზრდება. ამჟამად, ამ ნარჩენების უტილიზაცია, რომლებიც ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შეიცავს ქმნის გარკვეულ ეკოლოგიური პრობლემებს. ბოლო პერიოდში სასოფლო-სამეურნეო და საკეთი პროდუქტების მწარმოებლები დაინტერესდნენ ამ ნარჩენების სხვადასხვა სასარგებლო პროდუქტებად გადამუშავების საკითხით, კერძოდ ბიოპროდუქტების, ბიოსაწვავისა და საკეთი ინგრედიენტების მისაღებად [1].

ყურძნი მსოფლიო წარმოების ერთერთი ყველაზე გავრცელებული პროდუქტია. ყურძნის საწარმოო გადამუშავების მატებასთან ერთად იზრდება მელვინების მეორადი პროდუქტების მოცულობაც, რაც გადამუშავებული ყურძნის საერთო რაოდნობის 20% შეადგნს და საკამაოდ ძვირფს ნედლეულს წარმოადგინს მთელი რიგი პროდუქტების მისაღებად [2]. “საფერავი” და ყურძნის სხვა ჯიშები ფართოდ გამოიყენება ღვინის წარმოებაში. საქართველოში ამის დიდი ტრადიცია და გარკვეული სამომხმარებლო ბაზარია. საინტერესოა ახალი ტექნოლოგიების განვითარება სხვადასხვა შუალედური პროდუქტების გამოსაყოფად ღვინიდან, ყურძნის კანიდან, წიპწიდან, კლერტიდან და სხვ. [3-4]. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ყურძნის წიპწა შეიცავს 20%-მდე ზეთებს უჯერი ცხიმიანი მჟავების მაღალი შეცველობით, მთრილავ ნივთიერებებს, ფლავანოიდებს, ანტოციანებს, კონტოციანებს და სხვ. ამასთან დაკავშირებით, ყურძნის წიპწა ფართოდ გამოიყენება ცხიმოვნი ზეთებისა და პროცესუანიდური კომპლექსების მისაღებად.

აქტუალურია მცირებულისაუნარი წარმოებების ორგანიზაცია მაღალი ხარისხის შუალედური პროდუქტების მისაღებად, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია დამზადდეს ისეთი სამედიცინო დანიშნულების საშუალებები, რომლებიც გამოიყენებიან სხვადასხვა მიზნით: ეფექტური ანტიოქსიდანტები, გულისისხლმარღვთა სისტემის დაავადებების და ავთვისებიანი სიმსივნეების პროფილაქტიკა-მკურნალობა, სტრესული ზემოქმედების მოხსნა, მხნეობის კომპონიტიების ფორმულაციების შემუშავება, კანის გახალგაზრდავება, სტომატოლოგიური პათოლოგიები და სხვ. [5-9]. ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ფენოლურ ნაერთებს შეუძლიათ საკეთ პროდუქტებში ფერისა და გემოს, ასევე ვიტამინების შენარჩუნება, და რაც მნიშვნელოვანია ცოცხალი თრგანიზმების დაცა უანგვითი დაზიანებებისაგან. სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია ანტიოქსიდანტების უნარი დაიცვან უჯერედი თავისუფალი რადიკალებისაგან და ზოგიერთი დაავადებებისაგან [8]. ამგარად, ყურძნიდან გამოყოფილი ნახევარპროდუქტებიდან შესაძლებელია რიგი ბუნებრივი წარმოშობის პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებების დამზადება.

სამუშაო ჯგუფს ჩატარებული აქვს სასიჯი კვლევები და შემუშავებული აქვს სხვადასხვა სასარგებლო პრეპარატები მევნენახეობისა და მეღვინეობის ნარჩენებიდან. აღსანიშნავია ღვინო “საფერავი”-დან მიღებული კონცენტრატი, რომელიც შესაძლებელია წარმატებით იქნას გამოიყენებული სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დასამზადებლად. ყურძნის წიპწისა და კლერტის დაჭუცმაცემით, კონცენტრირებით, ეთილის სპირტით გარეცხვით და ექსტრაქციით, შემდგომ ვაკუუმირებით გამზღვევის მოცილებით მიღება საკვლევი კატენინების კონცენტრატი, გამოსავალით  $6\div 8\%$ . ყურძნის კანის პომოვნიზაციით, ეთილის სპირტით ექსტრაგირებით, როტორულ-ამაორთქლებელზე გამზღვევის მოცილებით და გაშრობით ვაკუუმზე მიღება პასტის მაგვარი კონცენტრატი კვებითი საღებავის დასამზადებლად. ზემოთ სენტებულ კონცენტრატებთან ერთად შესაძლებელია დანამატის სახით გამოიყენებული იქნას ქონდარიდან მიღებული წყალში ხსნადი ფლავანოიდები, რაც სინერგიულად

მოქმედებს კონცენტრატების ეფექტურობაზე სხვადასხვა დაავადებების პროფილაქტიკის, ანტისტრესული მხარდაჭერისა და პათოლოგიების წინააღმდეგ.

არსებობს ღვინის წარმოების ნარჩენებიდან ნივთიერებების ექსტრაქციის სხვადასხვა ხერხი. უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრაგარებული კონცენტრატის შემადგენლობა და ანტიოქსიდანტური თუ ანტიმიკრობული აქტივობა მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება შერჩეული გამხსნელით [9-10]. თხევადი ფრაქციების კონცენტრირების არსებული მეთოდები, როგორიცაა ლიოფილური გაშრობა, ვაკუუმ აორთქლება და სხვა საჭიროებული შედარებით მაღალ ტემპერატურას ( $100-150^{\circ}\text{C}$ ). ეს იწვევს შემადგენელი კომპონენტების თვისობრივ ცვლილებას და აქტიურ ნივთიერებათა დანაკარგს, ზოგ შემთხვევაში 50%-ზე მეტს. საინტერესო იყო ისეთი ახალი მეთოდის შემუშავება, რომელიც შედარებით რბილ პირობებში უზრუნველყოფდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კონცენტრატის მიღებას შეუცვლელი სახით. ამ მიზნით შემუშავდა სტიმულირებული ბუნებრივი აორთქლებების მეთოდი, სადაც გამოიყენება ტემპერატურა არაუმეტეს  $40-45^{\circ}\text{C}$ , მონაცვლეობითი გაციებით 76-120 სთ-ის განმავლობაში. პროცესის სტიმულაციისათვის გამოყენებულია ბუნებრივი მაკოავულირებელი საშუალებები, რომელიც აჩქარებენ ბუნებრივ დალექვას შედარებით დაბალ ტემპერატურაზე. ამგვარად, ამ მეთოდით მიიღება ბლანტი, პასტის მაგვარი ნალექი, გამოსავალი 2% ღვინის საწყის რაოდნობაზე გადათვლით. ანალიზის სხვადასხვა მეთოდებით დადგნილია, რომ დალექილი კონცენტრატი შეიცავს საწყის ღვინომასალაში არსებულ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს შეუცვლელი სახით.

აღწერილი ტექნოლოგიური პროცესი შედარებით ხანგრძლივია, თუმცა აქვს უპირატესობა – მიიღება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსი ნატიური სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ღვინიდან გამოყოფილი ბიოლოგიურად აქტიური კონცენტრატის რაოდნობრივი და თვისობრივი შედგენილობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორებზე – ფურმნის ჯიშზე, საწყისი ღვინის ხარისხზე, მოსავლის წელს არსებულ კლიმატურ პირობებზე, ნიადაგურ-მკვებავ თვისებებზე, მცენარეთა დაცვის გამოყენებულ საშუალებებზე და სხვ. [11]. მცირეტონაჟიანი წარმოების შემთხვევაში შემუშავებული ახალი ტექნოლოგია – სტიმულირებული ბუნებრივი აორთქლების მეთოდი, გამართლებულია როგორც ეკონომიური, ასევე ეკოლოგიური გარემოებით.

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Makris, D.P., Boskou, G., and Andrikopoulos, N.K. Polyphenolic content and in vitro antioxidant characteristics of wine industry and other agri-food solid waste extracts. Journal Food Computational Analysis, 2007, 20 (2), p.125-132.
2. Nerantzis, E. T.; Tataridis, P. Integrated enology - utilization of winery wastes for the production of high added value products. e-Journal of Science & Technology, 2006, Vol. 1 No. 3 79-89
3. Anastasiadi M., Pratsinis H., Kletsas D., Skaltsounis A., Haroutounian SA. Grape stem extracts: polyphenolic content and assessment of their *in vitro* antioxidant properties. LWT-Food Science and Technology, 2012, v. 48, Is. 2, 316-322
4. Георгиевский, В.П. Биологически активные вещества лекарственных растений. Новосибирск: Наука, 1990, 6-7.
5. Seymour E. M., Singer A. M., Bennink M.R., Parikh R.V., Kirakosyan A., Kaufman P. B., Bolling S. F. Chronic Intake of a Phytochemical-Enriched Diet Reduces Cardiac Fibrosis and Diastolic Dysfunction Caused by Prolonged Salt-Sensitive Hypertension. Journal of Gerontology: Biological Sciences, 2008, v. 63A, N.10, 1034-1042.
6. Kuchukashvili Z., Avaliani N., Mcchedlishvili D., Davitaia G. Antioxidant and radical activity of flavonoid extract from Satureja Hortensis L. J. of Biological physics and chemistry, 2006, v. 6, 2, p. 63-65.
7. Konakhidze M., Davitaia G., Gelashvili R., Suleimanov T. The treatment of periodontitis with new native preparation- “ Phage-Flavonoid”. Scientific works, v. III, p. 227-235, 2011. Educational University of Tbilisi “Gorgasali”.
8. Louli, V., N. Ragoussis, K. Magoulas. Recovery of phenolic antioxidants from wine industry by-products, Bioresource Technology, 2004, 92, 201–208.

9. Casazza A.A., Aliakbarian B., Faveri D.D., Fiori L., Perego P. Antioxidants from winemaking wastes: a study on extraction parameters using response surface methodology. *Journal of Food Biochemistry*, 2012, v.36, Is.1, 28-37
10. Casazza A.A., Aliakbarian B., Mantegna http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0260877410001433 - aff2 S., Cravotto G., Perego P. Extraction of phenolics from *Vitis vinifera* wastes using non-conventional techniques. *Journal of Food Engineering*, 2010, V.100, Is. 1, 50-55.
11. Cheng V., Bekhit A., McConnell M., Mros S., Zhao J. Effect of extraction solvent, waste fraction and grape variety on the antimicrobial and antioxidant activities of extracts from wine residue from cool climate. *Food Chemistry*, 2012, 134 (1), 474-482.
12. Perez-Serradilla J.A., Luque de Castro M.D. Microwave-assisted extraction of phenolic compounds from wine lees and spray-drying of the extract. *Food Chemistry*, 2011, V.124, IS. 4, 1652-1659
13. Ruberto G., Renda A., Daquino C., Amico V., Spatafora C., Tringali C. Polyphenol constituents and antioxidant activity of grape pomace extract from five sicilian red grape cultivars. *Food Chemistry*, 2007, 100, 203-210.

## **PREPARATION OF THE INTERMEDIATES OF VITICULTURE WASTES FOR SUBSEQUENT MANUFACTURE OF THERAPEUTIC AND PROPHYLACTIC MEANS**

Avtandil Dolidze, Giorgi Davitaia, Irma Mikadze, Nino Kavtaradze, Nana Tserodze, Rusudan Uridia  
*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*  
*at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### **SUMMARY**

For the purpose of expansion of raw materials source of production of medical-prophylactic means, alternatives of application of wastes of viticulture and winemaking are studied. For receiving of biologically active components in invariable state, a new method of stimulated natural evaporation is proposed. That allows to obtain thick, pasty concentrate, in an amount of 2 % from the starting material, at temperature 40-45°C , with alternation of cooling and with usage of natural precipitator as priming. In the terms of low-tonnage production the new technology – the method of stimulated natural evaporation is elaborated. it is justified both by economic and environmental factors.

## **ПОЛУЧЕНИЕ ПОЛУПРОДУКТОВ ИЗ ОТХОДОВ ВИНОГРАДАРСТВА С ЦЕЛЬЮ ПОСЛЕДУЮЩЕГО ИЗГОТОВЛЕНИЯ ЛЕЧЕБНО-ПРОФИЛАКТИЧЕСКИХ СРЕДСТВ**

А.В.Долидзе, Г.Ш.Давитая, И.И.Микадзе, Н.А.Кавтарадзе, Н.П.Церодзе, Р.З.Уридия  
*Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили*  
*Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили/*

### **РЕЗЮМЕ**

С целью расширения сырьевой базы выработки лечебно-профилактических средств, изучены альтернативы применения отходов виноградарства и виноделия. Для получения биологически активных компонентов в неизменённом виде, предложен новый метод стимулированного естественного испарения, что позволяет при температуре 40-45°C, с чередованием охлаждения и при применении в качестве затравки природного осадителя получить густой, пастообразный концентрат, в количестве 2 % от исходного материала. В условиях малотоннажного производства разработанная новая технология – метод стимулированного естественного испарения, оправдан как экономическими, так и экологическими факторами.

**CHEMICAL ECOLOGY****ALTERNATIVES OF PESTICIDE RESIDUES NEUTRALIZATION CONSIDERING LOCAL CONDITIONS AND POSSIBILITIES**

Avtandil Dolidze, Irma Mikadze, Nino Kavtaradze, Liparit Dolidze, Rusudan Uridia, Maia Stephanishvili

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*

*of Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

In the second half of the twentieth century due to intensification of agricultural production in many countries wastes of pesticides had been accumulated creating problems for environment. In the countries of the former Soviet Union accumulation of stocks of unfit pesticides was promoted by planned system of managing, and also a lot of other factors, including change of priorities in national policy of the independent states.

Changes had caused destruction of existing system of application and storage of pesticides, and in exchange it was not possible to create efficient system for neutralization of obsolete pesticides and rehabilitation of the polluted soils. In Georgia existing stocks of obsolete pesticides can be divided into 4 groups: 1. Persistent organic pollutants (POPs), prohibited for application; 2. Obsolete chlorinated pesticides, which are rather unstable in soil and do not accumulate in alive tissues; 3. Obsolete not chlorinated pesticides of different composition; 4. Obsolete pesticides containing metals (arsenic, mercury, etc.).

From the forbidden POPs pesticides generally there are various preparative forms DDT, Hexachlorobenzene, etc. These pesticides of first generation are in ten ferroconcrete bunkers in the territory of centralized storage of obsolete pesticides on the mountain Iagluja (Marneuli district). Because of uncontrollable storage, POPs pesticides have been displaced and their separation is impossible. Ferroconcrete bunkers, especially roofs became unfit for use, slipping of its parts and mixing with pesticides have happened (fig. 1, 2).



**Figure 1.**



**Figure 2.**

It is generally accepted that POPs pesticides should be burned in high-temperature incinerators. Such incinerators are located only in a few developed countries. POPs starts decomposition already at 800°C, though in this case formation of dioxins and furans is possible. Therefore such incinerators usually have multistage cleaning (scrubbers, filters, alkaline washing, sorption purification, etc). The Environmental Protection Agency (EPA) of USA recommends - for incinerators of organic pesticides temperature of the combustion chamber 1000 °C, and time of stay 2 seconds. That is important for reduction of formation of incomplete combustion products [1]. According to FAO data during the burning of pesticides gases and fireproof firm particles (ashes and slag) are formed [2]. Gases of combustion contain water, carbon dioxide, some acids, metal oxides, etc, which should be subjected to stepwise cleaning. Approximate cost of combustion in incinerators is 2.5÷4.0 USD per kg.

Such tactic of destruction of POPs pesticides demands analysis, repackaging, transportation, various agreements on export through the third countries and etc. This is very expensive. Besides, separate repackaging of POPs is impossible. Thus, the current situation and storage conditions of POPs don't meet the requirements for burning of pesticides in incinerators of the respective countries. As it seems, it is necessary to find local means for destruction of POPs pesticides.

It should be noted that according to FAO recommendations in case of a large number of stocks of obsolete pesticides the following stages are provided [3]: Inventory of stocks; site arrangement for temporary storage of stocks; liquidation of stocks; prevention of accumulation of obsolete pesticides stocks. Our work considers alternatives of liquidation of obsolete pesticides considering local conditions and possibilities.

In the other countries in similar conditions existing in Georgia, primarily local cement rotary furnaces are used, since it is established that mixing pesticides to 5% doesn't reduce the quality of cement product. The temperature in rotary oven 1400–2000°C is sufficient for decomposition of any pesticides. In addition, formed acid gases and chlorine is absorbed by cement. Thus, entire cleaning process is not required [4]. The cement ovens being in Georgia belong to foreign firms and they aren't ready to carry out such a work.

In the world practice methods of chemical neutralization are partially used (for ex. the mix of polyethyleneglycol and potassium hydroxide) [5,6], but EPA USA doesn't recommend application of this method in case of chloroorganic compounds concentration more than 5% [7]. It should be noted that during chemical neutralization a large amount of the neutralized solutions is formed and their further placements causes additional problems.

In case of small quantities of POPs pesticides (up to 500 tonnes) it is considered that use of small fixed or mobile rotary furnaces with temperature up to 1200°C and capacity 5-10 tonnes per day is rationally. In this case it is necessary to organize the 3-step cleaning system. Also, POPs pesticides will be diluted by other not chlorinated pesticides or inert natural sorbents to decrease the content of chloroorganic compounds in the mix up to 3-5%. It is known that preparative forms of POPs pesticides contains 20-25% of the initial active substances and by dilution is easily to reduce their content below 5%.

Except ten ferroconcrete bunkers containing POPs pesticides, there are 3 open trenches at territory of Iagluja centralized storage. There are located residues of not forbidden pesticides of general use. According to preliminary data the number of pesticides containing chloroorganic compounds does not exceed 2-3% [Fig.3, 4].



**Figure 3.**



**Figure 4.**

Since 2005, EPA USA recognized the reliability of the stimulated bioremediation method when the content of POPs pesticides in the soil is below 5% [8]. During the years, our working group is working in the field of rehabilitation of territory of former military bases contaminated by dangerous substances [9-11]. During the co-work with International organizations, also in reports presented at various conferences new approach is developed, which on the basis of soils "self-purification" processes supposes stimulation of local biological agents (Bacteria, fungi, plant) by creation optimal conditions. At that time for correction of soil acidity together with slaked lime the preparation made from local plant and mineral materials is introduced, which ultimately, by effective and accessible cost makes possible the remediation by environmentally safe method. Thus, in terms of low concentrations of chloroorganic pesticides it is possible to use developed by us stimulated bioremediation method and its varieties for neutralization of obsolete pesticides mixtures.

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Ferguson T.L., Wilkinson R.R. //Treatment and disposal of pesticides wastes. ACS symposium series 259. American Chemical Society, Washington DC, 1984, p.181-191.

2. Food and Agricultural Organization of the United Nations (FAO). Guidelines on disposal of bulk quantities of pesticides in developing countries. FAO, Roma, Italy, 1996.
3. Food and Agricultural Organization of the United Nations (FAO). Pesticides storage and stock control manual. FAO pesticide disposal series 3. FAO, Roma, Italy, 1996.
4. International Group of National Associations of Manufacturers of Agrochemical products (GIFAR). Disposal of unwanted pesticide stock. Brussels, Belgium, 1991.
5. Brunelle D.J., Singleton D.A./Chemosphere, 1985, v. 14, 173-181.
6. Tiernan T.O., Wagel D.J., Garrett J.H., VanNess G.F., Solch L.A./ Chemosphere, 1989, v. 18, 835-841.
7. A citizen's guide to chemical dehalogenation. Technology fast sheet. EPA 542-F-96-004. National Center for Environmental Publications and Information. 1996, Cincinnati, OH.
8. Reference Guide to Non-combustion Technologies for Remediation of Persistent Organic Pollutants in Stockpiles and Soil, EPA=542-R-05-006, 2005, Daramend, p.12-13.
9. N. Barbakadze, I.Mikadze, A.Dolidze. The decontamination of obsolete pesticides burial and former military territories by stimulation of local biological agents. 34<sup>th</sup> AMOP-Technical Seminar on Environmental Contamination and Response, October 4-6, 2011, Banff, Alberta, Canada.
10. Dolidze A., Supatashvili D. Identification of long-term pollution of military airfields with GC/MS. Environmental Forensics, This book was prepared by the organizing Committee of the "Experts Workshop" on Environmental Forensics (Tbilisi,Georgia) 12th-16th September 2011.p.222-226.
11. Dolidze A., SupataShvili D. Demilitarization of obsolete munition and monitoring of polluted territories in Georgia. Symposium NATO/RTA AVT-177 "Munition and Propellant Disposal and its Impact on the Environment" 17-20 October, 2011, Edinburgh, UK. Poster 1.

**პესტიციდების ნარჩენების ნეიტრალიზაციის ალტერნატივები აღგილობრივი  
პირობებისა და შესაძლებლობების ბაზალისტიკით**

ავთანდილ დოლიძე, ირმა მიქაელ, ნინო ქავთარაძე, ლაპარიტ დოლიძე, რუსუდან ურიდია,  
მაია სტეფანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმითს ინსტიტუტი

### **რეზიუმე**

მრავალწლიანი არაკონტროლირებადი შენახვის გამო სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის გაუვარგისებული პესტიციდების ნარჩენები შერეულია იაღლულის სამარხში და მათი დამორება შეუძლებელია. ასეთი ნარევის დაფასოება და გატანა საზღვარგარეთ მაღალტემპერატურულ ინსინერატორში დასაწვავად ნაკლებად სავარაუდოა. მოწოდებულია რამდენიმე აღტერნატივი: მაღალტემპერატურული დაწვა ადგილობრივი ცემენტის ღუმელებში; ჰომოგენიზაციისა და განზღვების შემდეგ დაწვა მცირეტონაჟიან მაღალტემპერატურულ ღუმელებში სამსაფეხურიანი გამწმენდი სისტემით; სტიმულირებული ბიორემედიაციის მეთოდი ადგილობრივი ბიოლოგიური აგენტებისა და ბუნებრივი მასალების გამოყენებით ნიადაგის „თვითგაწმენდის“ პროცესების საფუძველზე.

### **АЛЬТЕРНАТИВЫ НЕЙТРАЛИЗАЦИИ ОСТАТКОВ ПЕСТИЦИДОВ С УЧЕТОМ МЕСТНЫХ УСЛОВИЙ И ВОЗМОЖНОСТЕЙ**

А.В.Долидзе,И. И.Микадзе, Н.А.Кавтарадзе, Л.А.Долидзе, Р.З.Уридия, М.А.Степанишвили  
*Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили/Институт физической и  
органической химии им. П.Г. Меликишвили*

### **РЕЗЮМЕ**

В связи с длительным неконтролированным хранением, остатки непригодных пестицидов с различным химическим составом, в захоронении Яглуджа смешаны и их разделение невозможно. Перефасовка такой смеси и перенос в другие страны для сжигания в высокотемпературных инсинераторах маловероятно. Предложены несколько альтернатив: высокотемпературное сжигание в местных цементных печах; после гомогенизации и разбавления сжигание в малотоннажной высокотемпературной печи трехступенчатой системой очистки; метод стимулированной биоремедиации с использованием местных биологических агентов и природных материалов на основе процессов „самоочищения“ почв.

**პიმიური ტემოლობია****კომიზის პანიდან გუნებრივი საკვები საღებავების მძიმელი სამსტრაჟი**  
**სშაპრპიტიკული ფლუიდებით**

მარიამ ჩხაიძე, ქათევან ებრალიძე, მზა ციცაგი, მირანდა ზაჩიძე, ნანა ჩაგანავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ფერი ის ატრიბუტია, რომელსაც მომხმარებელი თავდაპირველად აღიქვამს როგორც საკვების მნიშვნელოვან მახასიათებელს. კვების მრეწველობაში შესაფერად გამოიყენება როგორც სინთეზური, ასევე ბუნებრივი საღებავები. უკანასკნელ წლებში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბუნებრივი პიგმენტების გამოყოფას, იდენტიფიკაციას და გასუფთავებას მათი საკვებ საღებავებად გამოყენებისა და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებების გამზ. ამასთან სინთეზური სასურსათო საღებავები ბევრ ქვეყანაში აიკრძალა მათი ტოქსიკურობისა და კანცეროგენულობის გამო.

ლიკოპენი და სხვა კაროტინები ბუნებრივი პიგმენტებია, რომლებშიც შეუღლებული ორმაგი ბმების არსებობა განაპირობებს ხილის, ბოსტნეულისა და მცენარეების ბუნებრივ ყვითელ, ნარინჯისფერ და წითელ ფერს. ეპიდემიოლოგიურმა შესწავლამ აჩვენა, რომ კაროტინოდები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს კიბოს, კატარაქტის, გულისისხლძარღვთა და ასაკთან დაკავშირებული დაავადებების პრევენციაში.

პომიდვრის ექსტრაქტის წითელი ფერი განპირობებულია მასში ლიკოპენის ტრანს-იზომერების არსებობით. თუმცა მასში უმნიშვნელო რაოდენობით არის ცის-იზომერებიც. გარდა ლიკოპენისა, პომიდვრის ექსტრაქტი მდიდარია კაროტინოდებით, ფიტოფლუენცით, ფიტოენით, ტოკოფეროლებითა და ბ-კაროტინით. ეს უკანასკნელი ყვითელი ფერის ბუნებრივი საღებავის წყარო. ლიკოპენის ბუნებრივ საკვებ საღებავად გამოიყენება დამვებულია FDA-ს (Food and Drug Administration) მიერ და გამიზნულია რძის პროდუქტების, უალკოჰოლო არომატული სასმელების, მარცვლეულის პროდუქტების, პურისა და პურ-ფუნთუშეულის, პაშტეტების და აგრეთვე საკვები დანამატების შესაფერად. ექსტრაქტში ლიკოპენი სტაბილურობას 37 თვის განმავლობაში ინარჩუნებს, ხოლო შესაღებ პროდუქტებში მისი სტაბილურობა დამოკიდებულია შემადგენლობასა და წარმოების პროცესზე [1].

ევროპაში პომიდვრის წლიური მოსავალი საშუალოდ 10 მილიონ ტონას შეადგენს, საქართველოში სტატისტიკის დეპარატუარების მონაცემებით - 62,6 ათას ტონას, რაც პომიდვრის გადამუშავების შედეგად დარჩენილ მეორად ნედლეულს პერსპექტივულ წყაროდ ხდის ბუნებრივი საკვების საღებავების მისაღებად.

სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქცია თანამედროვე “მწვანე” ტექნოლოგიაა, რომელიც მრავალი უპირატესობის გამო ფართოდ გამოიყენება წარმოების სხვადასხვა სფეროში, ხოლო CO<sub>2</sub> ყველაზე პოპულარული გამხსნელია, რომლიც დაბალი კრიტიკული ტემპერატურის გამო გამოიყენება თერმულად ლაბილური ნივთიერებების ექსტრაქციისთვის [2].

მეორადი ნედლეულის ძირითადი შემადგენელი კომპონენტი პომიდვრის კანია, ამდენად სამუშაოს მიზანი სუპერკრიტიკული CO<sub>2</sub>-ით ლიკოპენისა და ბ-კაროტინების ექსტრაქციის ისეთი ოპერატორული პირობების შერჩევა იყო, რაც ეკოლოგიურად უსაფრთხო მიზნობრივი პროდუქტის მაღალ გამოსავალს განაპირობებდა.

ნედლეულად შეირჩა 2011 წლის მოსავლის პომიდორი, რომელიც შექნილი იქნა ადგილობრივ სავაჭრო ობიექტში. პომიდორს კანი მოსცილდა მექანიკურად. ლიკოპენისა და კაროტინოდებული პიგმენტების სინათლისა და უანგბადისგან დასაცავად მისი გაშრობა მოხდა ვაკუუმ-გამაშრობელში 25°C-ზე 24სთ-ს განმავლობაში. ეს ეტაპი მნიშვნელოვანია ნედლეულის მომზადების პროცესში, რადგან როგორც ლიტერატურიდანაა ცნობილი, სრული გამოშრობა არ არის რეკომენდებული, თუმცა ნიმუშში წყლის სიჭარებმ შეიძლება ექსტრაქცია არაეფექტური გახადოს.

ლიკოპენის გამოყოფის ძირითად პროცედურას მისი ხსნადობა წარმოადგენს, იგი უხსნადია წყალში და კარგად ხსნადია ორგანულ გამხსნელებში (ბენზოლი, ქლოროფორმი, მეთილენქლორიდი). უფრო მეტიც, ლიტერატურაში აღწერილი ექსტრაქციის მეთოდები, მათ შორის სუპერკრიტიკული ფლუიდებით ექსტრაქცია (სფერი) თანაგამხსნელის გარეშე არ იძლევა ლიკოპენის და ბ-კაროტინების მაღალ გამოსავალს, ან მიღებული ექსტრაქტები კვალის სახით შეიცავნ ძლიერ ტოქსიკურ ორგანულ

გამხსნელებს. ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად სუპერკრიტიკულ ექსტრაქციაში თანაგამხსნელის შესარჩევად ტრადიციული ექსტრაქციის მეთოდებით მოისინჯა როგორც ცალკეული გამხსნელები (ქლოროფორმი, ეთანოლი), ასევე გამხსნელთა სისტემები (აცეტონი/ჰექსანი, აცეტონი/ჰეტროლეინის ეთერი, აცეტონი/ას.ეთანოლი/ჰექსანი/ტოლუოლი). დამაგრაფოლილებელი შედეგი აჩვენა ეთანოლით ექსტრაქციამ, საუკეთესო აღმოჩნდა აცეტონ/ჰექსანის სისტემა. აქედან გამომდინარე, თანაგამხსნელად შეირჩა ნაკლებტოქსიკური აცეტონი და ეთანოლი (არაპოლარული გამხსნელის როლს სფე-ში ასრულებს  $\text{CO}_2$ ) [3-5].

სუპერკრიტიკული ექსტრაქცია ჩატარდა წნევის, ტემპერატურისა და საექსტრაქციო დროის ფართო ინტერვალში, ხოლო ნაკადის სიჩქარე განისაზღვრა 2მლ/წ.მ.

თავიდაპირველად პიგმენტის დაშლის თავიდან ასაცილებლად ოპერატორულ ტემპერატურად შეირჩა  $40^{\circ}\text{C}$  თანაგამხსნელის გარეშე. წნევის ზრდის მიუხედავად გამოსავალი მცირე იყო. თანაგამხსნელად ეთანოლის დამატებით კაროტინოდების გამოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა საუკეთესო შედეგი, იგივე ოპერატორულ პირობებში, თანაგამხსნელად აცეტონის გამოყენებამ აჩვენა.

ექსტრაქცია ტარდებოდა 200, 250, 300 ატმ. წნევაზე და  $40, 80^{\circ}\text{C}$ -ის პირობებში. მაღალი წნევის და ტემპერატურის პირობებში ( $30\text{ატმ } 80^{\circ}\text{C}$ ) ბ-კაროტინის გამოსავალი უფრო მაღალი იყო. როგორც შედეგებმა აჩვენა, ტემპერატურის მომატება ზრდის კაროტინოდების ხსნადობას და შესაბამისად მათ გამოსავალს,  $65^{\circ}\text{C}$ - ლიკოპენის გამოსავალი მეტია ბ-კაროტინის გამოსავალზე. რაც შეეხება წნევას, მისი ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ბ-კაროტინისა და ლიკოპენის თანაფარდობაზე ექსტრაქტში.

ამდენად, ოპტიმალურად მიჩნეული იქნა  $65-70^{\circ}\text{C}$  ტემპერატურა, 250-300 ატმ. წნევა, თანაგამხსნელად 5% აცეტონი, სტატიკური ექსტრაქციის დრო - 1 სთ, დინამიური - 2სთ, ნაკადის სიჩქარე - 2მლ/სთ.

ექსტრაქტებში ლიკოპენისა და ბ-კაროტინის ანალიზი ტარდებოდა სპექტროფოტომეტრული მეთოდით 350-550 ნმ საზღვრებში.

მიღებული ექსტრაქტები დაიყო ქრომატოგრაფიულ სვეტზე (მყარი ფაზა სილიკაგელი), არაპოლარული პიგმენტების დასაყოფად ელუსინტად გამოყენებული იქნა სისტემა აცეტონი/ჰექსანი 1:9, პოლარული პიგმენტების დასაყოფად კი – სისტემა აცეტონი/ჰექსანი 1:8

მიღებული პიგმენტების იდენტიფიკაცია მოხდა  $0.7\text{-სპექტროსკოპული}$  ანალიზით ვაზელინის ზეთში. ( $\text{სმ}^{-1}$ )  $3100 \text{ CH(SP}^2\text{)} 2923.1 \text{ CH(SP}^3\text{)} 1640 \text{ C=C (trans) } 1087, 964$

### ექსტრაქტული ნაწილი

**ნედლეულის მომზადება:** 2011 წლის ადგილობრივი წარმოების პომიდვრის კანი მექანიკურად მოვაცილეთ ნაყოფს. კანი 24 სთ-ს განმავლობაში შრებოდა ჰაერზე და შემდგომ ვაკუუმ გამაშრობელში  $35^{\circ}\text{C}$ . გამშრალი კანი დავთქვით ელექტროსაფექვავში 15 წმ-იანი ინტერვალებით ნედლეულის გადახურების თავიდან ასაცილებლად.

**ექსტრაქცია:** 15გ. ნიმუში მოვათავსეთ სოქსლეტის აპარატში. ექსტრაქცია ტარდებოდა 12 სთ-ს განმავლობაში 30 მლ. აცეტონი/ჰექსანის სისტემით თანაფარდობით 1:1.

**სუპერკრიტიკული ექსტრაქცია:** 10გ პომიდვრის კანი, რომელსაც შერეული ჰქონდა მინის ბურთულაკები მოთავსდა სფე-ს დანადგარის ავტოკლავში. მოდიფიკატორად გამოყენებულია 5% აცეტონი. ბალონიდან გამოსული  $\text{CO}_2$  ცივდება  $30^{\circ}\text{C}$ -ის განმავლობაში, რის შემდეგაც ირთვება მაღალი წნევის ტუმბო. 150 ატმ-ს დამყარების შემდეგ იხსნება რეაქტორში შემავალი სარქველი და წნევა შენარჩუნებულია ექსტრაქციის სტატიკური დროის გასვლამდე (1სთ), რის შემდეგაც ხდება წნევის რეგულირება ექსტრაქციის დინამიური პროცესისთვის (250-300 ატმ), იხსნება გამომავალი სარქველი და ექსტრაქტი გროვდება მიმღებში.

**ექსტრაქტის დაყოფა ქრომატოგრაფიულ სვეტზე:** ექსტრაქტიდან ლიპიდების მოცილება ხდება შესაპირის. ექსტრაქტი თბება  $56^{\circ}\text{C}-ზე 45^{\circ}\text{C}$ . განმავლობაში მუდმივი მორევის პირობებში 3მლ. 40%-იან კალიუმის ტუტის მეთანოლის ხსნართან ერთად, რის შემდეგაც ორგანული ფენის გამოყოფის მიზნით ხსნარს ემატება 10%-იანი ნატრიუმის ქლორიდის წყალსნარი. ორგანული ფენა ირცხება  $10\text{მლ} \times 3$  დისტილირებული წყლით და შრება 3გ  $\text{Na}_2\text{SO}_4$ -ზე, კონცენტრირდება ვაკუუმ-ამაროტელებულზე და იყოფა ქრომატოგრაფიულ სვეტზე. არაპოლარული პიგმენტების გამოსაყოფად ელუსინტად გამოიყენება სისტემა აცეტონი/ჰექსანი 1:9, პოლარული პიგმენტების გამოსაყოფად კი სისტემა აცეტონი/ჰექსანი 1:8. ფრაქციების გაერთიანების და ნაკერ ხსნარამდე დაკონცენტრირების შემდეგ

ლიკოპენის და  $\beta$ -კაროტინის გამოყოფის მიზნით  $-3^{\circ}\text{C}$ -ზღვე გაციებულ ხსნარს წვეთ-წვეთობით ემატება ჰექსანი.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Alan Mortensen. Carotenoids and other pigments as natural colorants. Pure Appl. Chem. 2006, v. 78, № 8, p. 1477-1491
2. Facundo Mattea, Angel Martin, Maria Jose Cocero. Carotenoid processing with supercritical fluids. Journal of Food Engineering 2009, №93, p. 255-265
3. Enzo Cadoni, M. Rita De Giorgi, Elena Medda, Gianluca Poma. Supercritical  $\text{CO}_2$  extraction of lycopene and  $\beta$ -carotene from ripe tomatoes Dyes and Pigments. 2000, № 44, p. 27-32
4. Daniele Naviglio, Fabiana Pizzolongo, Lydia Ferrara. Extraction of pure Lycopene from industrial tomato waste in water using the extractor Naviglio. African Journal of Food Science. 2008, v. 2, № 2, p.37-44
5. Baysal T, Ersus S, Starmans DA Supercritical  $\text{CO}_2$  extraction of lycopene and  $\beta$ -carotene from tomato paste waste. J. agric. Food Chem. 2000, v. 48, №11, p. 5507-11

### SUPERCritical FLUID EXTRACTION OF NATURAL FOOD COLORANTS FROM TOMATO SKIN

Mariam Chkhaidze, Mzia Tsitsagi, Ketevan Ebralidze, Miranda Khachidze, Nana Chaganava  
*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry  
at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

#### SUMMARY

The carotenoids are natural pigments that provide the natural yellow, orange and red colors of fruits. According to epidemiological studies carotenoids play an important role in prevention of cancer, cataracts, and aging diseases. Besides some applications of carotinoids for provitamin A activity, they are widely used as colorants in food. This work describes the influence of some operative parameters of supercritical carbon dioxide employed for the isolation of lycopene and  $\beta$ -carotene from the skins of ripe tomato. Optimal operative conditions are  $65\text{-}70^{\circ}\text{C}$  temperature, 250-300 atm pressure, 5% acetone as a co-solvent, static extraction time 1h, dynamic- 2h. flow rate 2ml/min. extracts were analysed by spectrophotometer in the 350-550 nm wavelength range.

### ЭКСТРАКЦИЯ СУПЕРКРИТИЧЕСКИМИ ФЛЮИДАМИ НАТУРАЛЬНЫХ ПИЩЕВЫХ КРАСИТЕЛЕЙ ИЗ КОЖИЦЫ ПОМИДОРОВ

М.Ш.Чхайдзе, М.В.Цицаги, К.Г.Ебралидзе, М.М.Хачидзе, Н.Т.Чаганава  
*Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишивили  
Тбилисского государственного университета им. И.Джавахишвили*

#### РЕЗЮМЕ

Каротиноиды – природные пигменты, окрашивающие фрукты и овощи в натуральный желтый, оранжевый и красный цвет. Согласно эпидемиологическим исследованиям, каротиноиды играют важную роль для превенции катаракты, канцерогенных и возрастных заболеваний. Помимо применения каротиноидов для А провитаминной активности, они широко используются в качестве пищевых красителей. В данной работе описывается влияние некоторых оперативных параметров на экстракцию ликопена и  $\beta$ -каротина суперкритическими флюидами из кожицы спелых помидоров. Установлены оптимальные условия экстракции: температура –  $65\text{-}70^{\circ}\text{C}$ , давление – 250-300 атм., 5% ацетона в качестве модификатора, статическое время экстракции – 1 ч., динамическое – 2 ч., скорость потока – 2 мл/мин. Спектрометрический анализ проведен в длинноволновой области 350-550 нм.

## ქრომ-მანგანუმიანი დუპლექს ფოლადის კოროზიული თვისებები

ეთერ გოზალიშვილი, დალი რამაზაშვილი  
ფერდინანდ .თავაძის მეტალურგიის და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

მაღალი მექანიკური სიმტკიცე, გაუმჯობესებული კოროზიული მახასიათებლები და შედეულებადობა განაპირობებს დუპლექს (ფერიტულ-აუსტენიტური) ფოლადების ფართო გამოყენებას ნავთობის და გაზის საძიებო, მოპოვების და სხვ. წარმოებებში. დუპლექს ფოლადების დაბაბულობის ქვეშ კოროზიული დასკდომისადმი მედეგობა ქლორის იონების შემცველ არებში განსაზღვრავს მათ მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ზღვის ფსკერიდან ნავთობის და გაზის მოპოვების პროცესში [1]. მსოფლიოში ყოველწლიურად გამოყენებული ფოლადების 10%-ს დუპლექს ფოლადები შეადგენს და მათი წილი მუდმივად იზრდება [2].

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ინსტიტუტში შემუშავებული მაღალლეგირებული 08X25Γ15C დუპლექს ფოლადის კოროზიული თვისებების შესწავლა მისი გამოყენების სფეროების დასადგენად და გასაფართოებლად. ამისთვის განსაზღვრულ იქნა მისი მიდრეკილება ლოკალური კოროზისადმი და საერთო კოროზის სიჩქარე 2<sup>2</sup> სრული ფაქტორული ექსპრიმენტის გეგმის [3] მიხედვით შედგენილ მოდელურ სსნარებში, რომლთა შორის იყო აგრესიული გრუნტის [4,5] და შავი ზღვის [6] შესაბამისი სსნარებიც; შესწავლილ იქნა ფოლადის კოროზიული ქცევა 0,5 M NaCl-ის და სხვადასხვა pH-ის მქონე გოგირდმჟავა სსნარებში; დაგენილ იქნა კოროზის დენის სიმკვრივის ლოგარითმის დამოკიდებულება სსნარის pH-ზე და შედგენილ იქნა ხაზოვანი რეგრესიის განტოლება კოროზის სიჩქარეზე სსნარში ქლორის და სულფატის იონების შემცველობის გავლენის ანალიზისთვის.

კოროზის ლოკალური სახეების რისკების პროგნოზირებისთვის გამოვიყენეთ ბოლო ათწლეულის მანძილზე შექმნილი და დახვეწილი პოტენციოდინამიკური ციკლური სკანირების მეთოდიკა [7,8]. ფოლადის ელექტროდებს [9], რომელთა მუშა ზედაპირი არ აღმატებოდა 1 სმ<sup>2</sup>, ვათავსდებდით გამოსაცდელ სსნარში და 24 სთ-იანი დაყოვნების შემდეგ დამყარებული კოროზის პოტენციალიდან 0,4 მვ/წმ სიჩქარით ვიღებდით პოლარიზაციულ მრუდებს დადებითი მიმართულებით და შემდეგ უკუსვლით, ანოდურიდან კათოდურ უბანში. ორივე მიმართულებით მიღწეული მაქსიმალური დენის სიმკვრივე, ზედაპირის ძლიერი ცვლილების თავიდან ასაცილებლად, არ აღმატებოდა 10E-4 ა/სმ<sup>2</sup>. მოდელური სსნარების შედგენილობა შეესაბამებოდა სრული ფაქტორული ექსპრიმენტის 2<sup>2</sup> დაგეგმვის მატრიცას (ცხრ.1).

ცხრილი 1. 2<sup>2</sup> დაგეგმვის მატრიცა, ფაქტორების დონეები და მათი ცვლილების ინტერვალი

სსნარის შედგენილობა, M	X <sub>1</sub> (SO <sub>4</sub> <sup>2-</sup> )	X <sub>2</sub> (Cl <sup>-</sup> )			
ზედა დონე	0,286	0,271			
ქვედა დონე	0,111	0,027			
ნულოვანი დონე	0,198	0,192			
ვარირების ინტერვალი	0,088	0,122			
დაგეგმვის მატრიცა					
სსნარის №	სსნარის შედგენილობა, M	X <sub>0</sub>	X <sub>1</sub>	X <sub>2</sub>	
	SO <sub>4</sub> <sup>2-</sup>	Cl <sup>-</sup>			
1	0,111	0,027	+1	-1	-1
2	0,111	0,271	+1	-1	+1
3	0,286	0,027	+1	+1	-1
4	0,286	0,271	+1	+1	+1


ფოლადის კოროზის სიჩქარეები განსაზღვრული იყო პოტენციოდინამიკური მრუდების ტაფელის დახრების მიხედვით სტანდარტული მეთოდიკის გამოყენებით [8]. კოროზის სიჩქარის გამოთვლისთვის ვიყენებდით სპეციალურ პროგრამას “CORCALC” [10]. გამოვიყენეთ ასევე კოროზის სიჩქარის განსაზღვრის გრავიმეტრული მეთოდი [9], რისთვისაც პრიზმის ელექტროდებს, ზედაპირის ფართით ~10 სმ<sup>2</sup>, ვათავსებდით საკვლევ სსნარში 500 სთ-ის განმავლობაში. სსნარის მოცულობა შეადგენდა ~100 მლ/სმ<sup>2</sup>. სსნარებს ვამზადებდით კალიუმის სულფატის და ნატრიუმის ქლორიდის

ქიმიურად სუფთა რეაქტივებით და გამოხდილი წყალით. ყველგან წარმოდგენილია სამი პარალელური ცდის საშუალო მნიშვნელობები. პოტენციალები მოცემულია სტანდარტული ქლორ-ვერცხლის ელექტროდის მიმართ ( $E_0=0,222\text{V}$ ).

დაგეგმვის მატრიცა და ხსნარების ონური შედგენილობები მოცემულია ცხრ. 1-ში. №1 ხსნარი შეესაბამება აგრესიული გრუნტის შედგენილობას, №4 - შავი ზღვის წყალს. პოტენციოდინამიკური მრუდები თითოეული შედგენილობის შესაბამის ხსნარში წარმოდგენილია ნახ.1-ზე, რომლის მონაცემების მიხედვით განსაზღვრული ლოკალური კოროზის კრიტერიუმები მოცემულია ცხრ.2-ში.

№1 ხსნარში 08X25Γ15C დუპლექს ფოლადის პიტინგის წარმოქმნის პოტენციალი  $\sim 300$  მვ-ით აღმატება შესაბამის კოროზის პოტენციალს და შესაძლო იქნებოდა პიტინგური კოროზის განვითარება, რომ არა რეპასივაციის პოტენციალთან შედარებით კოროზის პოტენციალის ელექტროუარყოფითი

მნიშვნელობა. იგივე დასკვნის გაკეთება შეიძლება ანოდურიდან კათოდური მიმართულებით გადასვლის პოტენციალის კოროზის პოტენციალთან შედარებით უარყოფითი მნიშვნელობის მიხედვით, რაც გვიჩვენებს, რომ ამ გარემოში კოროზის პოტენციალზე წარმოქმნილი პასიური ფენა ძალიან მდგრადია და საერთო კოროზის სიჩქარე იქნება დაბალი. 08X25Γ15C დუპლექს ფოლადის გამოყენება სრულიად შესაძლებელია გრუნტში და ნიადაგებში ლოკალური კოროზის საფრთხის გარეშე, აგრესიული გრუნტის შესაბამისი საერთო კოროზის მაქსიმალური სიჩქარის გათვალისწინებით, რომლის მნიშვნელობა №1 ხსნარში შეადგენს  $0,00$  მმ/წელი.




ნახ.1. 08X25Γ15C დუპლექს ფოლადის პოტენციოდინამიკური მრუდები (გადაღებული პირდაპირი  
— და უკუსვლით - - -) ცხრ. 1-ის მიხედვით შედგენილ მოდელირებულ ხსნარებში

ცხრილი 2. 08X25Γ15C ფოლადის ლოკალური კოროზის კრიტერიუმები

ხსნარი	$E_{\text{კორ}}, \text{V}$	$E_{\text{რეა}}, \text{V}$	პისტერეზისი	$E_{\text{პიტ}}, \text{V}$	$i_{\text{კას.}} \text{მკ/ს}^2$	$E_{\text{ან.კათ.}}, \text{V}$
№1	-0,12	0,06	"-	+0,18	1,87	-0,22
№2	-0,26	-0,16	" "	-	-	-0,2
№3	-0,25	-0,18	" "	-	-	-0,22
№4	-0,27	-0,28	"+"	+0,24	7,94	-0,28
0,5 M NaCl	-0,30,	-0,44	"+"	-0,02	22	-0,44


№2-4 სსნარებში გადაღებული მრუდებიდან განსაზღვრული ლოკალური კოროზიის კრიტერიუმების შედარება და ანალიზი გვიჩვენებს, რომ საერთო მოლურობის გაზრდა ხელს უწყობს ფოლადის ლოკალურ კოროზიას (პიტინგური, წყლულოვანი და ა.შ.) გამჭოლი დაზიანებების მაღალი რისკით. სსნარში იონების ჯამური მოლურობის ზრდა 0,138 M-დან 0,557 M-მდე კოროზიულ რისკებთან არის დაკავშირებული. ვინაიდან ცალკე ქლორ-იონების კონცენტრაციის გაზრდა ათჯერ 0,027 M-დან 0,271 M-მდე, ან მხოლოდ სულფატ-იონების - 0,111 M-დან 0,286 M-მდე არ იძლევა ერთმანეთისგან განსხვავებულ სურათს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნეიტრალურ სსნარებში სხვადასხვა იონების ჯამური კონცენტრაციით 0,138 M შესწავლილი ფოლადი არ არის მიღრებილი ლოკალური კოროზიისადმი.

0,5 M NaCl-ის ხსნარში (ნახ.2, ცხრ.2) პასივაციის დენის საშუალო მნიშვნელობა შეადგენს 22 მკა/სმ<sup>2</sup> და ბევრად აღმატება №4 ხსნარში მიღებულ პასივაციის დენის საშუალო მნიშვნელობას (ცხრ.2, №4). ვინაიდან ფოლადის კოროზიის პიტენციალი 0,5 M NaCl-ის ხსნარში მდებარეობს რეპასივაციის და პიტინგის წარმოქმნის პიტენციალებს შორის, დიდია წყლულოვანი კოროზიის რისკი. ხსნარის საერთო მოლურობის ზრდით გამოწვეული უფექტი შენარჩუნებულია მხოლოდ ქლორის იონების შემცველობის პირობებშიც, ქლორის იონებით გამოწვეული უარყოფითი უფექტი გამოისახება პასივაციის დენის გაზრდილი მნიშვნელობით.



ნახ.2. დუპლექს 08X25Γ15C ფოლადის პიტენციოდინამიკური მრუდი 0,5 M NaCl-ის ხსნარში

კოროზიული პროცესის ახსნის მიზნით შესწავლილი იყო X25Γ15C ფოლადის ელექტროქიმიური ქცევა სხვადასხვა pH-ის მქონე გოგირდმჟავა ხსნარებში. X25Γ15C დუპლექს ფოლადის ელექტროდის ზედაპირის ვიზუალურმა დათვალიერებამ ყველაზე ნაკლები კონცენტრაციის გოგირდმჟავა ხსნარში (pH=1,7) წონასწორული პიტენციალის განსაზღვრისას გამოავლინა პიტინგების ჩანასახები.



ნახ. 3. დუპლექს X25Γ15C ფოლადის პიტენციოდინამიური მრუდები H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის ხსნარებში (ა) და კოროზიის სიჩქარის (i, A/10<sup>2</sup>) ლოგარითმის დამოკიდებულება ხსნარის pH-ზე (ბ)

მიღებული პიტენციოდინამიკური მრუდები მოცემულია ნახ.3 ა. pH-ისგან დამოუკიდებლად მრუდები იმეორებენ ერთმანეთის ფორმას და ხასიათდებიან აქტიურ-პასიური გადასვლის უბნით. გოგირდმჟავა ხსნარებში დუპლექს X25Γ15C ფოლადის პიტენციოდინამიკური მრუდების ფორმა ანალოგიურია X18Γ18Ni2 აუსტენიტური ფოლადისთვის 0,5 M H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის ხსნარში მიღებულის [9]. pH-

ის შემცირებასთან ერთად შეიმჩნევა პასივაციის დენის მნიშვნელობების გაზრდა და პასივაციის პოტენციალის გაკეთილშობილება, რაც დამახასიათებელია რკინისთვის, მაშინ როდესაც ქრომისთვის pH-ის ზრდასთან ერთად აქტიურ-პასიური გადასვლის უბანი გადაადგილდება უფრო ელექტროუარყოფით მნიშვნელობებისკენ ( $E_g = -0.35 + 0.05 \lg[H_2SO_4]$ ) [9]. სხვადასხვა კონცენტრაციის გოგირდმჟავა ხსნარში დუპლექს X25Γ15C ფოლადის პოტენციოლინამიგური მრუდების ტაფელის დახრების მიხედვით გამოთვლილი კოროზიის საშუალო სიჩქარეების ლოგარითმის დამოკიდებულება ხსნარის pH-ზე მოცემულია ნახ.3 ბ; მიღებული დამოკიდებულება  $\lg i - \text{pH}$  სუფთა ქრომის ანომალური გახსნის რეაქციისთვის მიღებულის ანალოგიურია, სადაც pH-ის კოეფიციენტი შეადგენს  $\sim 0.89$  [11].

ცნობილია, რომ მსგავსი ტიპის ფოლადებზე ჩამოყალიბებული პასიური ფენა ძირითადად ფორმირდება Cr და Fe ოქიდებისა და ჰიდროქსიდებისგან [12], პასიური ფენის მთლიანობის მოუხედავად მაღალმანგანუმიანი ფოლადებისთვის გოგირდმჟავა ხსნარში, განურჩევლად მათი სტრუქტურისა (აუსტენიტური თუ მარტენიტული), დამახასიათებელია როგორც საერთო კოროზია, ასევე მჟავა გარემოთი გამოწვეული პიტინგური კოროზია, რომელიც ძლიერდება არალითონური ჩანართებით (მაგ. MnS) [13]. მაღალმანგანუმიანი ფოლადებისთვის დამახასიათებელი შედარებით მეტი კოროზიული მედეგობა [14], აგრესიულ გარემოში ნიველირდება - მანგანუმი ზედაპირული ფენიდან მთლიანად იხსნება [15]. მიუხედავად იმისა, რომ X25Γ15C ფოლადის პასივაციის პოტენციალის მნიშვნელობას ქრომზე მეტად განსაზღვრავს რკინა, ამ ფოლადის პასივაციის პროცესზე ძირითადად პასუხისმგებელია ქრომის შემცველი დამცავი ფენების ჩამოყალიბება, რომელთა მთლიანობა შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

მიღებული შედეგები შემოწმდა გრავიმეტრული მეთოდის გამოყენებით. X25Γ15C დუპლექს ფოლადის 500 სთ-იანი გამოცდების შედეგები მოცემულია ცხრ.7-ში.

**ცხრილი 7. 08X25Γ15C ფოლადის კოროზიის სიჩქარეების ( $c_i$ , მმ/წელი) მნიშვნელობები და შესაბამისი გამოთვლები**

ხსნარი, №	$c_1$	$C_2$	$c_3$	$c_{\text{saS}}$
1	0,0013	0,0005	0,0004	0,0008
2	0,0083	0,0047	0,0051	0,0065
3	0,0010	0,0006	0,0004	0,0007
4	0,0074	0,0058	0,0065	0,0072

$G_\delta = 0,827; G_{\text{Gk}} = 0,906; G_{\text{Gk}} > G_\delta; s_o^2 = 7,195E-07$   
 $c = 3,78E-03 + 1,4E-04X_1 + 3,06E-03X_2$   
(1)

$S_{bi}^2 = S_o^2 / 4 = 7,195E-07 / 4 = 1,798 E-07; S_{bi} = 4,241E-04; f = 4(3-1) = 8; t = 2,31;$   
 $t_0 = 8,92; t_1 = 0,33; t_2 = 7,22$   
 $c = 3,78E-03 + 3,06E-03X_2$   
 $s_{\text{sa}}^2 = 3,05 E-07$  (2)

მივიღეთ ხაზოვანი რეგრესიის (1) განტოლება (ცხრ.7), კოეფიციენტების ნიშნადობის შემოწმების შემდეგ სტიუდენტის კრიტერიუმის მიხედვით, რეგრესიის განტოლებამ მიღო სახე (2). ადეკვატურობის დისპერსია  $s_{\text{ad}}^2 < s_o^2$ . მიღებული განტოლება ადეკვატურად ასახავს კოროზიის სიჩქარის დამოკიდებულებას ხსნარის შედეგნილობაზე. ხანგრძლივი გამოცდების შედეგად აღმოჩნდა, რომ კოროზიის საერთო სიჩქარეზე აისახება მხოლოდ ქლორის იონების გავლენა და არ მოქმედებს ხსნარში სულფატის იონების შემცველობა. ხსნარში ქლორის იონების შემცველობის მატება იწვევს კოროზიის სიჩქარის ზრდას, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც რჩება ძალიან დაბალი -  $< 0,00$  მმ/წელი. ვიზუალური დათვალიერებით №2 და №4 ხსნარში შეიმჩნეოდა უანგისფერი ნალექი, ხოლო №1 ხსნარის გარდა სხვებში ნიმუშების ზედაპირზე წარმოიქმნა მცირე რაოდენობის პიტინგები. გრავიმეტრული გამოცდებით მაღალი მოლურობის ხსნარებისთვის დადასტურდა ლოკალური კოროზიის რისკი.

08X25Γ15C დუპლექს ფოლადის ნეიტრალურ ხსნარებში სულფატის და ქლორის იონების ჯამური კონცენტრაციით 0,138 M ახასიათებს კოროზიის დაბალი სიჩქარე - 0,00 მმ/წელი და არ ახასიათებს ლოკალური კოროზია, ხსნარის ჯამური მოლურობის ზრდა 0,557 M-დე განაპირობებს ლოკალური კოროზიის რისკს. ფოლადის კოროზიულ ქცევას ძირითადად განსაზღვრავს ქრომის შემცველობა. ეს

ფოლადი, ისევე, როგორც ზოგადად მაღალმანგანუმიანი ფოლადები, მუვა გარემოში ხასიათდება პიტინგური კოროზიით.

08X25G15C დუპლექს ფოლადის გამოყენება სრულიად შესაძლებელია მიწისზედა და გრუნტში განლაგებული ლითონებრივსტრუქციების სხვადასხვა დეტალებისთვის ლოკალური კოროზიის საფრთხის გარეშე, თუმცა ზღვის წყალსა და სხვ. აგრესიულ არებში აუცილებელია კოროზიისგან დაცვის მეთოდების დამუშავება და გამოყენება.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Jalal Alsarraf. Hydrogen Embrittlement Susceptibility of Super Duplex Stainless Steels. Thesis.CRANFIELD UNIVERSITY,2010.
2. Iris Alvarez-Armas. Duplex Stainless Steels: Brief History and Some Recent Alloys. Recent Patents on Mechanical Engineering 2008, 1, 51-57 51
3. NIST/SEMATECH e-Handbook of Statistical Methods.[www.itl.nist.gov/div898/handbook/](http://www.itl.nist.gov/div898/handbook/)
4. P.Lambert. Corrosion Protection Association. Steel Reinforced Concrete – Corrosion of the Reinforcing Steel. Monograph 1. 2002.
5. Corrosion Guidelines. Department of Transportation Division of Engineering Services, 2003.
6. შ.სიდამონიძე, გ.სუპატაშვილი, ს.ადამია. ქიმიის მოკლე ცნობარი. თბილისი: “განათლება”, 1976, გვ. 161.
7. D. C. Silverman. Developing and Applying Technologies – Practical Corrosion Prediction.Corrosion, Vol. 64, No. 8, 2008, pp. 627-640.  
<http://www.argentumsolutions.com/publications/CorrHndbkch68.pdf>
8. Ulhig's Corrosion Handbook. Practical Corrosion Prediction Using Electrochemical Techniques. Second Ed., 2000.
9. Г.Кеше. Коррозия металлов, М.,«Металлургия», 399стр.
10. [www. argentumsolutions.com](http://www.argentumsolutions.com). Argentum Solutions, Inc. Sterling guidance on corrosion and materials degradation.
11. D.M.Drazic, J.P.Popic, B.Jegdic, D.Vasiljevic-Radovic. Electrochemistry of active chromium. Part IV. Dissolution of chromium in deaerated sulfuric acid. J.Serb.Chem.Soc.69 (12), 2004. p.p.1099–1110.
12. Zhang Y.S., Zhu X.M., Zhong S.H. Effect of Alloying Elements on the Electrochemical Polarization Behavior And Passive Film of Fe-Mn Base Alloys in Various Aqueous Solutions. Corrosion Science 46, #4, 2004, p.p. 853-876.
13. B.Tcaneva, L.Fachikov, Y.Marcheva, M.Lukacheva, B.Kostadinov. Corrosion of Chromium-Manganese-Nitrogen Steels in Cloride Media. Journal of University of Chemical Technology and metallurgy, 42, 2, 2007, 163-168.
14. Grajcar, S. Kolodziej, W. Krukiewicz. Corrosion resistance of high-manganese austenitic steels. Volume 41 International Scientific Journal of World Academy of Materials and Manufacturing Engineering. Vol.41, Issue 2, February 2010, Pages 77-84.
15. B.Tcaneva, L.Fachikov, Y.Marcheva, M.Lukacheva, B.Kostadinov. Corrosion of Chromium-Manganese-Nitrogen Steels in Cloride Media. Journal of University of Chemical Technology and metallurgy, 42, 2, 2007, 163-168.

### CORROSION PROPERTIES OF CHROME-MANGANESE DUPLEX STEEL

Eter I. Gozalishvili, Dali R. Ramazashvili  
Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science

### SUMMARY

The tendency to local types of corrosion and general corrosion rate of 08X25G15C duplex steel were studied in model solutions composed according to the plan of the full factorial experiment  $2^2$ , in 0.5 M NaCl

solution and sulfuric acid solutions of various concentrations. The solutions imitating aggressive soil and the Black Sea water were included in the compositions of model solutions. Studies were conducted by using electrochemical techniques predicting local types of the corrosion, investigating the dependence of the corrosion rate on the pH of the solution and the gravimetric method determining the general corrosion rate through using statistical methods of data processing and working out the linear regression equation. It was found that the corrosion behavior of 08X25Г15C duplex steel was determined by the formation iron and chromium hydroxides on the surface of the steel under passivity. The steel is not at risk of localized corrosion in a solution simulating aggressive soil ( $0,111\text{ M SO}_4^{2-}$  and  $0,027\text{ M Cl}^-$ ) and is characterized by low value of  $0.00\text{ mm / year}$  general corrosion rate; in solutions with a high total molar concentrations up to  $0.557\text{ M}$ , there is a risk of pitting corrosion and it is necessary to develop and use the corrosion protection.

## КОРРОЗИОННЫЕ СВОЙСТВА ХРОМО-МАРГАНЦЕВОЙ ДУПЛЕКС СТАЛИ

Э.И.Гозалишвили, Д.Р.Рамазашвили

*Институт металлургии и материаловедения им. Ф.Н.Тавадзе*

### РЕЗЮМЕ

Изучены склонность к локальным видам коррозии и общая скорость коррозии 08Х25Г15С дуплекс стали в модельных растворах, составленных согласно плану полного факторного эксперимента  $2^2$ , в растворе  $0,5\text{ M NaCl}$  и в сернокислых растворах различных концентраций. В состав модельных растворов входили растворы имитирующие агрессивный грунт и воду Чёрного моря. Исследования проводились с применением электрохимической техники прогнозирования локальных видов коррозии, изучения зависимости скорости коррозии от pH раствора и гравиметрическим методом определения общей скорости коррозии с применением статистических методов обработки результатов и составления линейного уравнения регрессии. Было установлено, что коррозионное поведение 08Х25Г15С дуплекс стали определяется формированием при пассивации на поверхности стали гидроксидов хрома и железа. Сталь не подвергается риску локальной коррозии в растворе, имитирующем агрессивный грунт ( $0,111\text{ M SO}_4^{2-}$  и  $0,027\text{ M Cl}^-$ ) и характеризуется низким значением  $0,00\text{ mm /год}$  общей скорости коррозии; в растворах с более высокой суммарной молярной концентрацией, вплоть до  $0,557\text{M}$ , существует риск питтинговой коррозии и обязательна разработка и применение антикоррозионной защиты.

**პიმიური ტემოლობია****ტყვიაშემცველი ანტიდეფონეატორების აღმოჩენატიული ორგანული**  
**დანამატების მიღება და კვლევა**

ლეილა ტატიაშვილი, ნინო ნონიკაშვილი, ნინო ქარქაშაძე, მაია სტეფანიშვილი,  
თამარ დგებუაძე, ირმა მიქაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

საქართველოს ნაცობი ძირითადად პარაფინულ-ნაფტნური ბუნებისაა და მისგან პირდაპირი გამოხდით მიღებულ ბენზინურ ფრაქციას აქვს ოქტანური რიცხვის დაბალი მაჩვენებელი. ასეთი ფრაქციდან საავტომობილო საწვავის მიღება გართულებულია, ვინაიდან მხოლოდ რიფორმინგ-პროცესები და მაღალოქტანური დანამატები ვერ უზრუნველყოფებ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საწვავების მიღებას.

სამწუხაოდ, რიგ ქვეყნებში, თანამედროვე მაღალოქტანური ბენზინის მისაღებად აუცილებელი ხდება ზოგიერთი სახითათ დანამატების გამოყენება. გარდა ტყვიაშემცველი ანტიდეტონატორებისა, გამოიყენება მანგანუმის, რკინის და სხვა მძიმე მეტალების შემცველი დანამატებიც.

საქართველოში მიღებულია კანონმდებლობა, რომელიც 2000 წლიდან კრძალავს ტყვიაშემცველი საავტომობილო ბენზინის გამოყენებას.

მაღალოქტანური და ეკოლოგიურად უსაფრთხო საავტომობილო ბენზინის მისაღებად ფართოდ გამოიყენება მრავალფუნქციური დანამატები, რომლებიც გარკვეულწილად აუმჯობესებენ მათ საექსპლუატაციო და ეკოლოგიურ მახასიათებლებს.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში დაგროვილია გამოცდილება იზომერიზაციის რეაქციის შესწავლის დარგში, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ დაბალოქტანურ ნავთობურ ფრაქციებში შემავალი პარაფინული ნახშირწყალბადების ჩონჩხის იზომერიზაციით მაღალოქტანური იზომერიზატები. გარდა ამისა, შესაძლებელია სამხედრო აღჭურვილობის თხევადი რაკეტული საწვავის ზოგიერთი კომპონენტის გამოყოფა და შემდგომში მათი გამოყენება მაღალოქტანური კომპოზიციის მისაღებად.

**ექსპერიმენტული ნაწილი**

ნაშრომის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ნაჯერი ნახშირწყალბადების – ალკანებისა და ციკლოალკანების იზომერიზაციის რეაქციის ოპტიმალური კატალიზატორების შერჩევა.

ალკანების იზომერიზაციის პირველი სამერცხლო პროცესი შესწავლილი იქნა აშშ-ში გასული საუკუნის 40-იან წლებში სამქლორიანი ალუმინის თანაბიძისას. შემდგომ, 50-იან წლებში დაიწყო ალკანების მაღალტემპერატურული იზომერიზაციის პროცესის კვლევა მყარ ბიფუნქციონალურ ალუმინატატების კატალიზატორებზე. ამ ახალი კატალიზატორების გამოყენებამ ხელი შეუწყო ტექნოლოგიის გამარტივებას და მოხსნა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო აპარატურის ძლიერ კოროზიასთან სამქლორიანი ალუმინის მოქმედებით.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა მყარი ეფექტური კატალიზატორების შექმნა ადგილობრივი ნედლეულის მაქსიმალური გამოყენებით, რაც სამუალებას მოგვცემდა აგვემალლებინა პირდაპირი გამოხდის ნაფტას ან მისი წილის ოქტანური რიცხვი [1].

პირველყოვლისა გამოყენებული იყო ახალი კატალიზური სისტემების სარჩევლად ბუნებრივი კლინოპტილოლოიტი. რასაკვირველია, მისი ფორმა სტრუქტურის ზომები მცირეა ჩონჩხის იზომერიციის რეაქციის შედეგად მიღებული პროდუქტებისათვის, მაგრამ სათანადო მოდიფიცირების შედეგად შესაძლო გახდა ეფექტური კატალიზატორების მიღება. მით უმეტეს, რომ ჩვენს ლაბორატორიაში დაგროვდა სამქლორიანი რეანით მოდიფიცირებული კლინოპტილოლოიტის კატალიზატორის დეპილრატაცია-იზომერიზაციის რეაქციაში გამოყენების გამოცდილება.

კატალიზატორი დამზადდა ბუნებრივი ცეოლითის – კლინოპტილოლოიტის საფუძველზე. ეს უკანასკნელი განიცდიდა ფრაქციონირებას. გამოყენებული იქნა 1-2 მმ ფრაქცია და ფხვნილისებური ცეოლითი. კლინოპტილოლოიტის მოდიფიცირებული ფორმები მიიღებოდა ამ უკანასკნელის დამუშავებით შესაბამისი იონის შემცველი მარილის 0,1N ხსნარით.

მაგალითად,  $\text{Fe}^{3+}$  კლინკეტილოლიტის კატალიზატორი მზადდებოდა შემდეგნაირად: 100 სმ<sup>3</sup> ცეოლითის დამუშავება ხდებოდა  $\text{FeCl}_3$ -ის 0,1N ხსნარით მექანიკური სარეველას მეშვეობით. მოცულობითი თანაფარდობა ცეოლითი: ხსნარი – 1 : 6.

პროცესი ტარდებოდა 1 სთ-ის განმავლობაში და მეორდებოდა სამჯერ. ცეოლითი გამოიყენებოდა დისტილირებული წყლით გარეცხვისა და გაშრობის შემდეგ. ანალოგიურად იქნა მიღებული კატალიზატორის შემდეგი ფორმები:  $\text{FeCl}_3$ /კლ;  $(\text{NH}_4)_6\text{Mo}_7\text{O}_{24}$ /კლ;  $\text{H}_7[\text{P}(\text{W}_2\text{O}_7)_6]$ /კლ.

კატალიზატორში რკინის უანგის განსაზღვრამ აჩვენა, რომ მისი შემცველობა ბუნებრივ კლინკეტილოლიტში შეადგენს 1,51 %-ს; ამ უკანასკნელის  $\text{FeCl}_3$ -ის ხსნარით დამუშავების შემდეგ აღწევს 3,04 %-ს მეორადის შემდეგ – 3,36 %-ს, ხოლო მესამედ დამუშავების შემდეგ კი – 3,68 %-ს. კატალიზატორის შემდგომი დამუშავება აღნიშნული ხსნარით შედეგს არ ცვლის. ამიტომ მიზანშეწონლია ოპტიმალურად იქნას მიჩნეული მისი სამჯერადი დამუშავება.

ვინაიდან ჩვენს მიზანს წარმოადგენს ჩინჩხის იზომერიზაცია, ძირითადად უნდა გამოვიყენოთ მჟავური ტიპის კატალიზატორები და შევეცალოთ რეაქციის ჩატარებას მკაცრ პირობებში 200<sup>0</sup> C-ზე მაღლა, თუმცა ასეთ დროს ადგილი ექნება კრეკინგს და პოლიმერიზაციას. ასეთ კატალიზატორებად ძირითადად გამოიყენება ალუმინობლატინის ან ალუმინიალადიუმის კატალიზატორები, რომლებიც პრომოტირებული არიან ჰალოგენებით. ჩვეულებრივ, მეტალებად იყენებენ პლატინას, პალადიუმს, როდიუმს ან მეტალთა უანგულებს (ვოლფრამი, მოლიბდენი) მეავურ ალუმინიუმიკატებთან და ცეოლითებთან. ყველაზე მეტად გავრცელებულია კატალიზატორები, რომლებიც შეიცავენ 0,01-2 %-იან მასურ წილ პლატინას ან პალადიუმს, ხოლო სარჩულად გამოყენებულია ალუმინის უანგი, მაღალსილიციუმიანი ალუმინიუმის ალუმინიუმი. ჩვენს მიერ გამოყენებულია ИП -62 (პლატინის შემცველობა 0,8 %), რომელიც მოდიფიცირებული იყო  $\text{FeCl}_3$ -ით. ასევე დამზადებულია კატალიზატორი კლინკეტილოლიტის საფუძველზე, რომელიც მოდიფიცირებულია  $\text{AlCl}_3$ -ით. ასევე კლინკეტილოლიტის კატალიზატორი, რომელზეც დაფენილი იქნა მანგანუმის უანგი და რკინის უანგი. ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია კობალტის და ნიკელის, მოლიბდენის და ვოლფრამის მარილებიც. აღნიშნული ჰეტეროგენული კატალიზატორები წინასწარ შრებოდა, ხოლო შემდგომ ცდის ტემპერატურაზე ხდებოდა ჰაერის გატარება 1 სთ-ის განმავლობაში. ცდები ტარდებოდა 250-350<sup>0</sup>C-ის პირობებში სხვადასხვა მოცულობითი სიჩქარით 0,2-2 სთ<sup>-1</sup>. მიღებული კატალიზატი გაშრობის შემდეგ ანალიზდებოდა ალურიონიზაციური დეტექტორის მქონე აირთხევად ქრომატოგრაფზე (ჩეხური წარმოების ქრომ-4). ქრომატოგრაფიის სევტად გამოყენებულია 3-4 მ სიგრძის მეტალის მილები, რომლებშიც ჩატვირთულია აპიეზონ L ან აპიეზონ N, დამუშავებული სტანდარტული ჩეხური წარმოების მყარი ფაზები, ძირითადად ქრომოსორბის ტიპის.

რიგ შემთხვევაში ნარევების თვისობრივი ანალიზისათვის გამოიყენებოდა კაპილარული ქრომატოგრაფია და ინფრაწითელი სპექტრალური ანალიზი.

მოსასინჯი ცდები ტარდებოდა ვერტიკალური ტიპის ღუმელში, რომელშიც იყო კვარცის მილი 25 მმ დიამეტრით, კატალიზატორის სვეტის სიმაღლე 5 სმ, მოწოდების დოზირება ხდებოდა მექანიკური ღოზატორით, ხოლო ტემპერატურა რეგულირდებოდა თერმოწყვილით და კონტაქტური რელეს საშუალებით. ტემპერატურის რეგულირების სიზუსტე 2-3<sup>0</sup> C. გამსხვილებული ცდები ტექნოლოგიური რეჟიმის დასაღენად ტარდებოდა მილში, რომელშიც თავსდებოდა 1 ლ-მდე კატალიზატორი. ეს გვაძლევდა შესაძლებლობას მოვეხდინა ტექნოლოგიური რეჟიმების კორექტირება.

### მიღებული შედეგების განსაზღვრა

თანამედროვე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტექნოლოგიური კონფიგურაცია შემდეგია:

ნედლი ნავთობის პირდაპირი გამოხდა, რომლის შედეგადაც მიიღება:

1. ნავთობგაზები;
2. მსუბუქი ნაფტა;
3. მძიმე ნაფტა;
4. ნავთი;
5. დიზელის საწვავი;
6. მაზუთი;
7. ასფალტი.

ნავთობგაზებიდან ხდება გათხევადებული პროპან-ბუტანის მიღება, რომელიც გამოიყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებით,  $C_5 - C_6$  ფრაქცია მსუბუქი ნაფტა იზომერიზაციაზე მაღალოქტანური

იზომერიზატის მიღებით, მძიმე ნაფტა ( $100-200^{\circ}\text{C}$ ) კატალიზურ რიფორმინგზე, სადაც ხდება დეპიდროციკლიზაცია არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის გაზრდით. ნავთი და დიზელის საწვავი მიღის პირდაპირ მომზმარებელთან, ხოლო მაზუთი განიცდის პიდროკრეკინგის პროცესს, საიდანაც ასევე მიღიღება შეუბუქი ნახშირწყალბადები (ნაფტა), ნავთი და დიზელი. როგორც წესი ყველა ქარხანას აქვს შერევის (კომპაუნდირების) საამქრო, სადაც ხდება სხვადასხვა ბენზინური კომპონენტების შერევა იმ ანგარიშით, რომ მიღებული იქნას ოპტიმალური ნახშირწყალბადები შემადგენლობის ბენზინი, რომელიც დაკავშირდიზაციის ნორმებს.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე ტექნოლოგიურ კონფიგურაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იზომერიზაციას, ამ პროცესის მნიშვნელობა იზრდება საქართველოს საბაზოების ხედლი ნავთობის ქიმიურ ბუნებასთან დაკავშირებით. ჩვენი ნავთობების პირდაპირი გამოხდით მიღებული ნაფტას ოქტანური რიცხვი ჩვეულებრივ  $52-56$ -ია, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანის ნაფტენურ-არომატული ბუნების ნავთობების პირდაპირი გამოხდით მიღებული ნაფტას ოქტანური რიცხვია  $62-64$ . დაახლოებით  $8-10$  ოქტანური რიცხვის ნაკლებობა უნდა შეავსოს იზომერიზაციაში, რის შედეგადც ხდება ნორმალური პარაფინული ნახშირწყალბადების ჩონჩხის განტოტვა და შესაბამისად იზრდება ოქტანური რიცხვი.

პარაფინული ნახშირწყალბადების იზომერიზაცია წარმოადგენს შექცევად ქიმიურ რეაქციას. როგორც ჰომოგენური, ასევე ჰეტეროგენური კატალიზური რეაქციები იზომერიზაციის  $400-450^{\circ}\text{C}-\text{ზე}$  გადაანაცვლებენ პროდუქტების გამოსავლებს წონასწორული ნარევების მიღებისაკენ. იზომერიზაციის გზით შესაძლებელია ნორმალური და მცირედგანტოტვილი პარაფინების გარდაქმნა ძლიერ განტოტვილ მაღალოქტანურ კომპონენტებად საერთო მოცულობის შეცვლის გარეშე [2].

ოქტანური რიცხვის გაზრდის ყველაზე ეფექტურ პროცესს წარმოადგენს დაბალტემპერატურული თხევადფაზური იზომერიზაცია ფრიდილ-კრაფტსის კატალიზატორების თანაობისას, რადგან ამ შემთხვევაში ტემპერატურის შემცირებას მივყავართ ნარევში მაღალოქტანური კომპონენტების – დიმეთილბუთანების და იზოპენტანის შემცველობის გაზრდამდე. თუმცა ეს პროცესები მოითხოვნ ძლიერი მჟავების გამოყენებას, რომლებიც იწვევენ აპარატურის კოროზიას, ასევე ისეთი კატალიზატორის გამოყენებას, რომლებიც მგრძნობიარე არიან მინარევებისადმი, რაც მოითხოვს ნედლეულის წინასწარ გაწმენდას.

იზომერიზაცია ჩვეულებრივ მიმდინარეობს დაახლოებით  $400^{\circ}\text{C}-\text{ზე}$ . ბიფუნქციონალური კატალიზატორები (ალუმინიუმის ნაკლებად მგრძნობიარე არიან კატალიზატორების შხამების მიმართ.

პირველი მონაცემები კატალიზური იზომერიზაციის შესახებ ცეოლიტებზე მოცემულია რაბოს და თანამშრომლების ნაშრომებში, რომლებიც იკვლევდნენ პლატინის შემცველი  $\text{X}$  და  $\text{Y}$  ტიპის ცეოლითების აქტივობას. მათ აღმოაჩინეს, რომ პლატინა და ცეოლითების ნატრიუმის ფორმებზე იზომერიზაცია არ მიმდინარეობს. უფრო აქტიურია კალციუმის ფორმები, მაგრამ ყველაზე უფექტური კატალიზატორი აღმოჩნდა  $\text{Y}$  ტიპის დეკათონინირებული ცეოლითი, რომელშიც შეტანილია პლატინა [3].

ვიწრო და ფართო ფორმის ცეოლითების შესწავლაშ აჩვენა, რომ ვიწროფორმიან კატალიზატორებზე იზომერიზაციის პროდუქტები წარმოიქმნებიან მცირე რაოდენობით, ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ იზომერიზაციის მსხვილი მოლეკულები ძნელად დიფუნდირდებიან ვიწრო ფორმებიდან და ხდება მათი პიროვნების პროპრიეტეტების ზომები უნდა იყოს მეტი, ვიდრე იზომერიზაციის პროდუქტებისა და რეაგენტების მოლეკულების კრიტიკული ზომა. ასეთ ცეოლიტებს მიეკუთვნებიან  $\text{X}$ ,  $\text{Y}$ ,  $\text{N}$  და ფართო ფორმის მორდენიტი. შემდგომ რაბომ და თანამშრომლებმა აჩვენეს, რომ პალადიუმშემცველი  $\text{Y}$  ცეოლიტს დეკათონინირებულ ფორმაში  $\text{Al}_2\text{O}_3/\text{SiO}_2 = 5$  შეუძლია ნ-პენტანისა და ნ-ჰექსანის გარდაქმნა პროდუქტებად, სადაც შესაბამისი იზომერები იქნებიან წონასწორულ თანაფარდობაში. მაგალითად, ნ-პენტანი  $350^{\circ}\text{C}$  და მოცულობით სიჩქარით  $2 \text{ სთ}^{-1}$  იზოპენტანში გარდაიქმნება  $65\%$  - ით, მაგრამ იმავე პირობებში უფრო დაბალ ტემპერატურაზე ნ-ჰექსანიდან მიღებულია ნარევი, რომელიც შეიცავდა  $15\%-ზე$  მეტ 2,2-დიმეთილბუტანს, ხოლო დანარჩენი პროდუქტები წარმოდგენილია წონასწორული თანაფარდობით.  $\text{C}_5-\text{C}_6$  ნახშირწყალბადების ნარევი ამავე კატალიზატორებზე გატარების შედეგად  $350^{\circ}\text{C}-ზე$  წარმოქმნას იზომერების ნარევს, რომელიც შეიცავს  $13\%-ს$  2,2-დიმეთილბუტანს და  $13\%-ს$  იზოპენტანს. კატალიზატორის აქტივობა გრძელდება  $1250 \text{ სთ}^{-1}$  მეტი ხნის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობის დამთავრების შემდეგ კატალიზატორებზე არ აღინიშნა კოქსის წარმოქმნა. ასევე გარკვეული იყო გოგირდის გავლენაც. დადგენილია, რომ  $0,3\%$

გოგირდის შემცველობის შემთხვევაში 2500 სთ-ის მუშაობის შემდეგ კატალიზატორის აქტივობა შემცირდა, თუმცა 6-პენტანის გატარების შემდეგ ის აღდგა საწყის დონემდე [4].

აღსანიშნავია, რომ ძალზე მაღალი აქტივობა გამოამდავნა იზომერიზაციის პროცესში მორდენიტმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ H-მოდერნიტი, რომელიც მზადდება მუსური დამუშავებით. ამგვარად, მუსური სის გავლენით ხდება არა მარტო კათიონების მოცილება, არამედ კარკასიდან ალუმინის ნაწილის მოცილებაც, რაც ხელს უწყობს ფორების გამოთავისუფლებას რეაქციის რეაგენტებისა და პროდუქტებისათვის. H-მოდერნიტში პლატინის შეტანა ხელს უწყობს კატალიზატორის დეზაქტივიზაციის შეჩერებას. ფირმა “შელოილ”–მა დაამუშავა იზომერიზაციის გაზოვაზური პროცესი ცეოლიტურ კატალიზატორზე, სადაც გამოიყენება წყალბადი 26-30 ატ. წნევით 260<sup>0</sup> C-ზე. ასეთი დანადგარი აშენდა იტალიაში ქლასპეციას ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. ამ პროცესის კატალიზატორი დამზადებულია ფირმა “Union Carbide” მიერ. ეს კატალიზატორი წარმოადგენს ცეოლიტს მაღალი მუსურინიტის ძალზე დაბალი შემცველობით, რომელშიც დისპერგირებულია კეთილშობილი მეტალი. ამ დროს C<sub>5</sub> – C<sub>6</sub> ფრაქციის იზომერიზაციით მიიღება 75-77 %-იანი თხევადი ბენზინი 12 %-ით უფრო მაღალი ოქტანური რიცხვით, ვიდრე საწყისი ნედლეული. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია გაიზარდოს იზომერიზატების ოქტანური რიცხვი მათი შემდგომი მრავალჯერადი რეცირკულაციით. მაღალგანვითარებული ქვეწყნების წარმოებაში დანერგილია პროცესები, რომლებიც ითვალისწინებენ იზომერული და ნორმალური ნახშირწყალბადების დაყოფას ცეოლიტებზე, შემდგომ მათ განმეორებით იზომერიზაციას და ამ პროცესის რამდენიმეჯერ გამეორებას. ასეთნაირად შესაძლებელი გახდა C<sub>5</sub> – C<sub>6</sub> ფრაქციის ოქტანური რიცხვის გაზრდა არა 12 ერთეულით, არამედ დაახლოებით 20 ერთეულით [5].

ჩვენს მიერ იზომერიზაციისათვის გამოყენებული იქნა ბუნებრივი ცეოლიტი – კლინოპტილოლიტი, რომლის ფორების ზომები ვიწროა იზოპარაფინებისათვის, მაგრამ FeCl<sub>3</sub>-ით დამუშავება შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს, როგორც ფორების ზომა ნატრიუმის გამოდევნის ხარჯზე, ასევე ამაღლდეს იზომერიზატის პოტენციალი Fe<sup>3+</sup> იონების მომატების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ ბუნებრივ ცეოლიტშიც არის რკინის ჟანგი დაახლოებით 1,6%, ხოლო სამჯერადი დამუშავებით მიიღება 4-4,5%.

აღრე ამ ტიპის კატალიზატორზე ჩატარებული იყო ციკლოპექსანოლის დეპიდრატაცია. იზომერიზაციის პროცესი ჩინჩხის იზომერიზაციით და ბენზინური ფრაქციისათვის მისი გამოყენება პრაქტიკულად მივიჩნიეთ. ცდები ჩატარებულია გამსიხვილებულ ლაბორატორიულ დანადგარზე, რომელიც შეიცვდა ვერტიკალურ კატალიზურ მილს სიგრძით 50 სმ. ცდები ტარდებოდა 300-350<sup>0</sup>C-ზე მოცულობითი სიჩქარით 0,2-2 სთ<sup>-1</sup> ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ამ პირობებში იზომერიზაცია მიმდინარეობდა 60-70- %-ით და ხდებოდა ნარევის ოქტანური რიცხვის გაზრდა 4-8 ერთეულით.

საწყის ნედლეულად აღებული იყო საქართველოს საბადოს (პატარძეული) ნედლი ნავთობის პირდაპირი გამოხდით მიღებული ნაფტა (50-200<sup>0</sup> C), ასევე C<sub>5</sub> – C<sub>6</sub> ფრაქცია (50-100<sup>0</sup> C).

უნდა აღინიშნოს, რომ ვიწრო ფრაქციის იზომერიზაციით უფრო მაღალი შედეგებია მიღებული, თუმცა ნაფტას იზომერიზაციის შედეგები საკმაოდ დამაიმედებელია. გარდა ამისა, გამოყენებულია სამრეწველო კატალიზატორი IP-62, რომელიც შეიცავს 0,8 % პლატინას და მისი მოდიფიცირებული ფორმა, რომელიც დამუშავებულია FeCl<sub>3</sub>-ის სინარით. ასევე გამოყენებულია ბუნებრივი ფართოფორმანი მორდენიტი (ახალქალაქი), რომელიც წინასწარ დამუშავებულია მარილმჟავით, ხოლო შემდგვ მოდიფიცირებულია რკინის იონებით, გამოყენებულია მოდიფიცირებისათვის მანგნუმის ჟანგი, პალადიუმის მარილები, ნიკელის მარილები, კობალტის მარილები და სხვ. ამ კატალიზატორების გამოყენებით C<sub>5</sub> – C<sub>6</sub> ფრაქციის და ნაფტას იზომერიზაციის რეაქციაში მიღებულია იზომერიზატის ოქტანური რიცხვის ზრდა 8-12 ერთეულით, რაც უდაოდ პერსპექტიულია.

მიღებული შედეგების საფუძველზე შერჩეულია ოპტიმალური კატალიზატორები და მონაცემები მზადება დაპატენტებისათვის. აგრეთვე შემუშავებულია კომპოზიციები მაღალოქტანური ნარევების მისაღებად. ლაბორატორიაში დამუშავებული მეთოდებით თხევადი რაკეტული საწვავის კომპონენტ – “სამინი”-დან გამოყოფილია არომატული ამინები – ქსილიდინები, რომელთა ოქტანური რიცხვი აღწევს 106 ერთეულს. არაკონდიცირებული რაკეტული საწვავიდან გამოყოფილი ქსილიდინების და კატალიზური იზომერიზაციით მიღებული იზომერიზატების დამატებით შემუშავებულია მაღალოქტანური კომპოზიცია, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მიღებულ იქნას ეკოლოგიურად დამაკმაყოფილებელი თვისებების მქონე მაღალოქტანური საავტომობილო ბენზინი.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Rutenbeck D., Papp H., Ernst H., Investigations on the reaction mechanism of the skeletal isomerization of n- butenes to usobutene: Pat II. Reaction mechanism on ferrierites, Applied Catalysis, 2001, N208, p. 153-161.
2. Watanabe T., Suzuki T., Skeletal isomerization of alkanes and hydroisomerization benzene over solid strong acids and their bifunctional catalysts, Catalysis Today, 2001, N66, p.119-126.
3. Rabo J., Pickert P., Pentane and Hexane Isomerisation, Industrial and Engineering Chemistry, 1961, V.53, N9, p.733-736.
4. Galperin L., Process for the isomerization of paraffins, United States Patent 5905181, 1999.
5. Calemma V., Peratello S., Stroppa F., Giardino R., Perego C., Hydrocracking and Hydroisomerization of Long-Chain n-Paraffins. Reactivity and Reaction Pathway for Base Oil Formation, Ind. Eng. Chem. Res., 2004, V.43, p. 934-940.

**PRODUCTION AND RESEARCH OF ALTERNATIVE ORGANIC ADDITIVES OF LEAD CONTAINING ANTIDETONATORS**

Leila Tatiashvili, Nino Nonikashvili, Nino Karkashadze, Maia Stepanishvili,  
Tamar Dgebuadze, Irma Mikadze

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry  
at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**SUMMARY**

On the basis of achieved results it is possible to select catalytic systems and technological modes, which will provide increasing octane number in gasoline fraction obtained from direct distillation of Georgian oil by 8-12 units. Clinoptilolite modified with trichloride iron provides 60-65% yield of skeleton isomerization at 350° C and natural clinoptilolit modification with different transition metal containing salt increases paraphine isomerization level up to 70%.

**ПРОИЗВОДСТВО И ИССЛЕДОВАНИЕ АЛЬТЕРНАТИВНЫХ СВИНЕЦСОДЕРЖАЩИМ АНТИДЕТОНАТОРАМ ОРГАНИЧЕСКИХ ПРИСАДОК**

Л.Т.Татиашвили, Н.У.Ноникашвили, Н.Г.Каркашадзе, М.А.Степанишвили, Т.Г.Дгебуадзе,  
И.И.Микадзе

*Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишивили  
Тбилисского государственного университета им. И.Джавахишвили*

**РЕЗЮМЕ**

На основе полученных результатов возможно подобрать катализитические системы и технологические режимы, при которых эффективно повышается октановое число на 8-12 единиц в бензиновой фракции, полученной прямой перегонкой грузинской нефти. Клиноптилолит, модифицированный трёххлористым железом, обеспечивает 60-65%-ный выход скелетного изомеризата при 350°C. Вместе с тем, модификация природного клиноптилолита солями разных переходных металлов повышает степень изомеризации до 70%-ов.

**პიმიური ტემოლობია****ეკოლოგიურად უსაფრთხო ორგანული დანამატების შეჩერება  
საავტომობილო ბენზინისათვის**

ლეილა ტატიაშვილი, ნანა წეროძე, ქეთევან ქოჩიაშვილი, მაია ჯაფარიძე, რუსუდან ცისკარიშვილი, ირმა მიქაძე

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

საქართველოში წელიწადში 800-850 ათას ტონამდე საავტომობილო ბენზინი გამოიყენება. ბოლო ხანგბში, უფრო ეფექტური ძრავების კონსტრუქცია ითვალისწინებს მაღალოქტანური ბენზინების გამოყენებას. ეს უკანასკნელი კი მიიღება დანამატების გამოყენებით, რომელთა შემცველობაც თანამედროვე ბენზინებში აღწევს 15-20%-ს. მაღალოქტანური ბენზინების დამზადება წარმოუდგენელია ანტიდეტონაციური დანამატების გარეშე და მათ შორის ტექნიკურად ყველაზე ეფექტური არის ტეტრაეთილტყვია. ტეტრაეთილტყვის გამოყენება დაიწყო აშშ-ში 1923 წლიდან და ბოლო დრომდე სამართლიანად ითვლება ყველაზე მაღალეფექტურ ანტიდეტონატორულ დანამატად. ამასთან ერთად, ტეტრაეთილტყვის მასიურმა გამოყენებამ საავტომობილო ბენზინებში მსოფლიოს წინაშე დააყენა ძალზე მწვავე პრობლემები. ბენზინის გამონაბოლქვი იწვევს ტყვიის დაგროვებას ადამიანის ორგანიზმისა და გარემოში. ყველაზე მეტად ზიანდება მოზარდის ორგანიზმი. დადგნილია, რომ ტყვია მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და იწვევს გონივრულ სიჩქარებს. გარემოში დაგროვილი ტყვია და მისი ნაწარმები არღვევენ ბუნებრივ წონასწორობას და განაპირობებენ ეკოლოგიურ კატაკლიზმებს. მსოფლიო საზოგადოების დაბეჯითებითი მოთხოვნით მკაცრად შეიზღუდა ტყვიის შემცველობა 1 ლ საავტომობილო ბენზინში ჯერ 50, შემდეგ კი - 0,013 გ-მდე. ეს უკანასკნელი დონე მიჩნეულია პრაქტიკულად უსაფრთხო რაოდენობად. ამდენად, თანამედროვე ბენზინებში ტყვიის შესაძლო შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,013 გ/ლ-ზე.

მრავალი წლის განმავლობაში მოტორული საწვავის ერთადერთ დანამატს წარმოადგენს ანტიდეტონატორები. ამჟამადაც ამ სახის დანამატებს ყველაზე მეტი რაოდენობით ამზადებენ. სხვადასხვა ქვეწის მეცნიერები ცდილობენ აამაღლონ ახალი დანამატების საექსპლუატაციო მახასიათებლები. რასაკირველია, ჯერ განხილული იქნება მიმმე მეტალების შემცველი დანამატები, ხოლო შემდგომ უფრო თანამაღროვე ორგანული დანამატები, რომელთა შესახებაც მონაცემები გაცილებით მცირეა.

საავტომობილო ძრავების ეკონომიურობისა და სიმბლავრის გასაზრდელად კონსტრუქტორები სულ უფრო მეტად აღიდებენ შეკუმშვის ხარისხს, რაც თავის მხრივ ითხოვს ბენზინის ოქტანური რიცხვის გაზრდას.

კარბიურატურული ძრავის წვის კამერაში შეკუმშვის შევლელობის დროს მასში არსებობს ჰომოგენური საწვავ-ჰაერის სამუშაო ნარევი, რომელსაც აალებენ ელექტრული ნაპერწკლით. ალი ვრცელდება თანაბარი სიჩქარით და წნევაც ნელ-ნელა იზრდება წვის ბოლოს. ალის ფრონტის გადაადგილებასთან ერთად ფრონტის დაუწველი საწვავ-ჰაერის ნარევში გადაადგილების პარალელურად იზრდება ტემპერატურა და წნევა. იმ შემთხვევაში, თუ საწვავის მდგრადობა თვითაალებაზე საჭარისი არ არის, მაშინ ციკლის რომელიმე მომენტში სამუშაო ნარევის დაუწვევი ნაწილი მყისიერად აალდება; მიმდინარეობს ძალზე სწრაფი წვის რეაქციები, რის გამოც ხდება კამერის კედლების განსაკუთრებული ინტენსიური ვიბრაცია. ამ მოვლენას ეძახიან დეტონაციას.

ბენზინის ოქტანური რიცხვი დამოკიდებულია მის ნახშირწყალბადოვან შემადგენლობაზე. სხვადასხვა ძრავების მიღრეკილება დეტონაციისადმი არ არის ერთნაირი. იგი დამოკიდებულია შეკუმშვის ხარისხზე, აალების წინსწრებაზე, საწვავის ნარევის შემადგენლობაზე, მის ტემპერატურაზე, კარბურატორის რეგულირებაზე და მრავალ სხვა ფაქტორზე. მოცემულ საავტომობილო ძრავში ბენზინის დამაკმაყოფილებელი ანტიდეტონაციური თვისებები მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ოქტანური რიცხვი არ არის მცირე ძრავისთვის საჭირო დონეზე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოქტანური რიცხვის შეკლა არ არის აბსოლუტური, არამედ მხოლოდ ფარდობითია. სხვადასხვა მეოთხებით ადარებენ საკვლევი საწვავის დეტონაციურ მდგრადობას ნარევთან, რომელიც შედგება ნ-პენტანისა და 2,2,4-ტრიმეთილპენტანისგან. სამწუსაროდ, ეს კარამეტრი არ წარმოადგენს ანტიდეტონაციური მდგრადობის აბსოლუტურ კრიტერიუმს, იგი მხოლოდ შედარებითია.

პირველი ანტიდეტონატორი, იოდი, აღმოჩენილი იყო 1916 წელს, ხოლო შეძლგომ, მრავალი ნაერთის კვლევის შედეგად, დადგინდა ტეტრაეთილტყვიის განსაკუთრებული ანტიდეტონაციური ეფექტურობა.

ტეტრაეთილტყვიით დამზადებული ბენზინი პირველად გაიყიდა 1923 წელს ოპაიოს შტატის ქ-დეიტონის ბენზინგასამართ სადგურზე. თითქმის 1960 წლამდე აშშ-ში სამრეწველო მასშტაბით არავითარი სხვა ანტიდეტონატორი არ გამოიყენებოდა. გაუმჯობესებული თვისებების მქონე ანტიდეტონატორების ძებნა მიმდინარეობს ჯერ კიდევ იოდის აღმოჩენის დროიდან. ცხრილში ნაჩვენებია ზოგიერთი ანტიდეტონატორის ეფექტურობა, გამოხატული ანილინის მოლების რიცხვის ანტიდეტონაციური აქტივობით [1-3].

### მეტალორგანული ანტიდეტონატორები

ტეტრაეთილტყვია	118
დიმეთილდიოუნილტყვია	115
ჰექს-ე-ქსილოლდიტყვია	76
ტეტრაფენილტყვია	70
კარბონილრკინა	50
კარბონილნიკელი	35
დიეთილტელური	27
ტრიმეთილბისმუტი	24
დიეთილსელენი	6,9
ტეტრაეთილკალა	4,0
ტრიფენილარსინი	1,6
დიმეთილკადმიუმი	1,2

### ამინები

დიფელამინი	1,5
N – მეთილანილინი	1,4
M – ქსილიდინი	1,4
ანილინი	1,0
N, N – დიმეთილანილინი	0,21
უთილამინი	0,20
ტრიფენილამინი	0,09

თვალინათლივ ჩანს, რომ ტეტრაეთილტყვია ყველაზე ეფექტური ანტიდეტონატორია. ორგანული დანამატები (ამინები) ნაკლებად აქტიურია. ყველა ანტიდეტონატორიდან უფრო ეკონომიურია რკინის პენტაკარბონილი, ის სამრეწველო მასშტაბებით რამოდენიმე წლის განმავლობაში გამოიყენებოდა გერმანიაში და მზადდებოდა ნავთში რკინის პენტაკარბონილის 50%-იანი ხსნარის სახით (ე.წ. “მოტილი”). მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტეტრაეთილტყვიასთან შედარებით რკინის პენტაკარბონილს ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ცვეთის საგრძნობი გაზრდა ძრავაში აპრაზიული თვისებების მქონე რკინის უანგის წარმოქმნის გამო. შეფერხებები გამოიწვია ასევე აალების სანთლების მოკლე ჩართვამ ფაიფურის იზოლატორებზე რკინის ხენჯის  $\text{Fe}_3\text{O}_4$ -ის წარმოქმნის გამო. გარდა ამისა, რკინის პენტაკარბონილი ბენზინში ძალზე სწრაფად იშლება სინათლის ზეგავლენით. 1958 წ-მდე გარდა ტეტრაეთილტყვიისა, ერთადერთ სამრეწველო დეტონატორს წარმოადგენდა ქსილიდინების ნარევი CS (კუმოლის შემცველი). მეორე მსოფლიო ომის დროს ეს ნარევი გამოიყენებოდა დიდ ბრიტანეთში ზოგიერთ საავიაციო ძრავაში [4].

როგორც წესი, ტეტრაეთილტყვიის კონცენტრაციის გაზრდასთან ერთად ბენზინში ყოველი შემდგომი ულუფის ეფექტურობა მცირდება, ამიტომ ტეტრაეთილტყვიის დიდი რაოდენობით დამატებას არა აქვს აზრი. ჯერ კიდევ 1926 წ. აშშ-ის ჯანმრთელობის სამსახურმა შემოიღო ტეტრაეთილტყვიის შეზღუდვა საავტომობილო ბენზინში მის შემცველობაზე 0.795 მლ 1 ლ-ში მისი ტოქსიკურობის გამო. ეს კონცენტრაცია შემდგომში აღარ გაზრდილა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტეტრაეთილტყვიის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული ბენზინის შემადგენლობაზე. ჩვეულებრივ, ტეტრაეთილტყვია უფრო ეფექტურია ინდივიდუალურ პარაფინულ ან ნაფტენურ ნახშირწყალბადებში. ამასთან ერთად, ტეტრაეთილტყვია ძალზე მგრძნობიარეა გოგირდოვანი ნაერთების შემცველობის მიმართ. ცველაზე მეტად ტეტრაეთილტყვიის მიმართ ანტაგონისტები არიან მერკაპტანები და პოლისულფიდები. ჩვეულებრივ გოგირდიანი ნავთობებიდან მიღებული პირდაპირნახადი ბენზინური ფრაქციისათვის ტეტრაეთილტყვიის დამატება ნაკლებად ეფექტურია.

1958 წელს შემუშავებულ იქნა მანგანუმორგანული ანტიდეტონატორი. სამრეწველო მასშტაბით მისი გამოშვება დაიწყო 1959 წლიდან. ეს იყო მანგანუმის მეთოლციკლოპენტადიენილტრიკარბონილი. ამ დანამატის (AK – 33X) შემუშავებას ხელი შეუწყო ფენოცენმა (რკინის ბისციკლოპენტადიენილი), რომელიც წარმოადგენდა პირველ მეტალორგანულ ნაერთის გარდამავალ მეტალთან. ვინაიდნ თანამედროვე საავტომობილო ბენზინები მაღალარომატიზირებულია, ამ დანამატის გამოყენება შედარებით მოკრძალებულია. AK – 33X ძალზე ძვირია, რათა გამოყენებულ იქნას ძირითად ანტიდეტონაციურ დანამატად. უნდა აღინიშნოს, რომ მაღალოქტენური, მაღალარომატული ბენზინებისათვის ტეტრაეთილტყვიაზე უფრო ეფექტურია ტეტრამეთილტყვია. მისი სამრეწველო დამზადება დაიწყო 1960 წელს. თუმცა მანაც ვერ ჰპოვა დიდი გამოყენება ტოქსიკურობის გამო. გამოიყენება ასევე ტყვიის შერეული მეთილ და ეთილალკილები, მაგრამ აქაც არის პრობლემები ტოქსიკურობასთან დაკავშირებით.

### ინფორმაცია ანტიდეტონაციური მოქმედების მექანიზმის შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 80 წელია რაც ბენზინში ანტიდეტონატორული დანამატები გამოიყენება, დეტონაციის დათრგუნვის მექანიზმი მთლიანად ჯერ არ არის ნათელი, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მოსაზრებები.

როგორც აღნიშნეთ, ბენზინურ ძრავებში ნახშირწყალბადოვანი საწვავი ორ საფეხურად იწვის [5]. დგუშის ზემოთ ასვლის დროს ხდება საწვავ-ჰერის ნარევის შეკუმშვა, რომელიც იწვევს წნევისა და ტემპერატურის გაზრდას. შემდგომ ნაპერწყალი აალებს საწვავ-ჰერის ნარევს და ალის ფრონტი, რომელიც ვრცელდება ცილინდრში, როგორც დგუში დამატებით კუმშვას ჯერ კიდევ დაუწვავ ნარევს, სადაც ხდება აალების წინა რეაქციები. თუ ნორმალური ალის ფრონტი თანაბრად გადაადგილდება წვის კამერაში, მაშინ გაზი იწვება დეტონაციის გარეშე. დეტონაცია წარმოიქმნება, თუ მიმდინარეობს წვის ძალზე სწრაფი რეაქციები სამუშაო ნარევის უკანასკნელ ულუფებში, გადაადგილებული ალის ფრონტის წინ. წინააალების რეაქციების პროდუქტები ქმნიან დეტონაციის ხელშემწყობ პირობებს.

ანილინი და მისი ნაწარმები ამუხრუჭებენ ცივი ალის წარმოქმნას. ანილინის ეს თვისება განაპირობებს მის ანტიდეტონაციურ მოქმედებას. თვლიან, რომ არომატული ანტიდეტონატორული მოქმედება თავისი ხასიათით მათ მიერ თხევად- ფაზური დაუანგვის რეაქციის დათრგუნვის ანალოგიურია. ამ შემთხვევაში ამინები მოქმედებს, როგორც დაუანგვის ჯაჭვური რეაქციის გამწვეტები თავისუფალი რადიკალების მოსპობის ხარჯზე. ეს მიიღწევა თავისუფალ რადიკალზე წყალბადის ატომის გადაცემის შედეგად, რომლის დროსაც წარმოიქმნება სტაბილური მოლეკულა და ამინის ნარჩენი, როგორც თავისუფალი რადიკალი, რომელსაც შეუძლია ჯაჭვის გაგრძელება.

ტეტრაეთილტყვიის შემთხვევაში ცნობილია, რომ თავიდან ხდება წვის კამერაში მისი დაშლა და მხოლოდ შედეგ მედანზე ანტიდეტონაციური მოქმედება.

ვინაიდან წვის დროს ხდება ეთილინებულ ბენზინებში არაორგანული პროდუქტების მიღება, ისინი ნამწვის სახით გროვდებიან სანთლებზე, რაც დიდ პრობლემას ქმნის, ამიტომ ტეტრაეთილტყვიასთან ერთად ჩვეულებრივ იყენებენ უწ. გამომტანებს. ეთილინებულ ბენზინს უმატებენ დიქლორ- და დიბრომეთანს. ჩვეულებრივ წინასწარ ამზადებენ ტეტრაეთილტყვიის ნარევს გამომტანებთან და შემდგომ უმატებენ. გამომტანებად იყენებენ ფოსფორის ნაერთებსაც [6-10].

ამჟამად, მსოფლიოში სულ უფრო გაზრდილია მოთხოვნები საავტომობილო ბენზინების ეკოლოგიურ მახასიათებლებზე. განვითარებულ ქვენებში მიღებული სტანდარტებით აკრძალულია ტყვია და მმიმე მეტალების შემცველი დანამატების გამოყენება, ბენზოლის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს – 0.8%-ს, მთლიანი არომატიკა – 25%-ს. შეზღუდულია ასევე უანგბადშემცველი ნაერთებისა და ფოსფორიული დანამატების შემცველობაც. ეს ძალზე მკაცრი მოთხოვნებია და საჭირო ხდება თანამედროვე მაღალოქტანური ბენზინების მისაღებად ბენზინების წარმოების ტექნოლოგიური კონფიგურაციის შეცვლა. ცველაზე მეტად პერსპექტიულად გამოიყურება ბენზინური ფრაქციის მაქსიმალური იზომერიზაცია, განსაკუთრებით C<sub>5</sub> – C<sub>6</sub>, რათა შემდგომ რიფორმინგის ან დისპროპორციონირების პროცესების ჩატარებით მივიღოთ მაღალოქტანური ბაზისური ბენზინი, რომელშიც მაქსიმალურად იქნება შემცირებული ბენზოლი

და ჯამური არომატიკა. შემდგომ ეტაპზე ეკოლოგიურად ნაკლებად სახიფათო ორგანული დანამატების გამოყენებით მიღება მსოფლიო სტანდარტების შესაბამის ბენზინს.

ამდენად, საქართველოს პირობებში მაღალოქტანური ბენზინის მისაღებად საქართველოს საბადოების ნედლი ნავთობის ქიმიური შემადგენლობის გათვალისწინებით აუცილებელი ხდება იზომერიზაციის პროცესის მაქსიმალური გამოყენება, რომელიც ამავე დროს დააგმაყოფილებს თანამედროვე ეკოლოგიურ მოთხოვებს.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Ахметов С.А. Технология глубокой переработки нефти и газа. Уфа: «ГИЛЕМ», 2002, 671с.
2. Капустин В. М. Основные каталитические процессы переработки нефти. – М., 2006, 116 с.
3. Маноян А. К. Технология переработки природных энергоносителей. – М., Химия, 2004, 456 с.
4. Kevin N., Clean air and renewable fuels: the market for fuel ethanol in the US from 1984 to 1993, Energy Economics, 1998, V. 20, P. 325–345.
5. Storcha H., Costa-Cabrala M., Hagnera Ch., Fesera F., Four decades of gasoline lead emissions and control policies in Europe: a retrospective assessment, Science of The Total Environment, 2003, V.311, P. 151–176.
6. Serap E., Gasoline Additives and Public Health, Encyclopedia of Energy, 2004, P. 821–830.
7. Abramova A. V., Panin, A. A., Kliger G. A., Kulikova E. A., Slivinsky E. V., Production of synthetic fuels from alternative petroleum raw material by method of Fischer-Tropsch on zeolite catalyst, Stud. Surf. Sci. Catal., 2005, p.1709-1716.
8. Skjoedt M., Butts R., Assanis D., Bohac S., Effects of oil properties on spark-ignition gasoline engine friction, Tribology International, 2008, V. 41, P. 556–563.
9. Igartua A., Areitioaurtenaa O., Lutherb R., Seyfertb Ch., Biolubricants and triboreactive materials for automotive applications, Tribology International, 2009, V. 42, P.561–568.
10. Stout S, Douglas G, Uhler A., Contaminant Specific Guide, Environmental Forensics, 2005, P. 465–531.

#### ECOLOGICALLY SAFE ORGANIC ADDITIVES FOR CAR GASOLINE

Leila Tatiashvili, Nana Tserodze, Ketevan Kochiashvili, Maia Japaridze, Rusudan Tsiskarishvili, Irma Mikadze  
*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*  
*at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

#### SUMMARY

Crude oil of Georgian oil fields is mainly paraffin-naphthenic. Gasoline fraction, so called naphta, obtained from its direct distillation is law octane. To get a high quality petrol it is necessary to use additional processes and additives. Based on this, it gets important to develop new methods for obtaining organic additives, which are less dangerous than anti-detonators containing heavy metals. Additionally to that, they do not change gasoline oil character.

#### ЭКОЛОГИЧЕСКИ БЕЗОПАСНЫЕ ОРГАНИЧЕСКИЕ ПРИСАДКИ ДЛЯ АВТОМОБИЛЬНОГО ТОПЛИВА

Л.Т.Татиашвили, Н.П.Церодзе, К.Н.Кочиашвили, М.З.Джапаридзе, Р.П.Цискаришвили, И.И.Микадзе  
*Институт физической и органической химии им. П.Г.Меликисвili*  
*Тбилисского государственного университета им. И.Джавахишвили*

#### РЕЗЮМЕ

Сырая нефть грузинских месторождений в основном имеет парафино-нефтяной характер. Бензиновая фракция, полученная прямой перегонкой, так называемая нафта, сравнительно низкооктановая. Для получения высококачественного бензина требуется использовать дополнительные процессы и присадки. Исходя из этого, необходимо разработать методику производства таких органических присадок, которые гораздо менее опасны, чем антидетонаторы, содержащие тяжёлые металлы, при этом не меняя нефтяной характер бензина.

## 06 ფორმაცია ავტორებისათვის

ურნალი “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია” აქვეყნებს სტატიებს ქიმიური მეცნიერების დარგში ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; მიმოხილვებისა და ინფორმაციული ხასიათის მასალების წარმოდგენა შესაძლებელია სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებით. გამოსაქვეყნებელი მასალის მოცულობა, ფორმატი და მისი წარმოდგენის სხვა პირობები შეთანხმებული უნდა იყოს პასუხისმგებელ მდივანთან, ავტორებმა ტექსტი უნდა წარმოადგინონ ელექტრონულ ფორმაში, Microsoft Word ფაილის (\*.doc ან \*.rtf) სახით, ნახაზები და სურათები – შავ-თეთრი გრაფიკული (\*.bmp, \*.dib, \*.jpg, \*.gif და სხვ.) ფაილების სახით. სამეცნიერო სტატიების ავტორების დასახმარებლად რედაქციის მიერ გათვალისწინებულია როგორც სტანდარტული ელექტრონული ფორმატები სამივე ენაზე, ისე სხვა ტექნიკური მომსახურება. Chemical Abstracts-სა (ინგლისურ ენაზე) და საქართველოს რევერსულ უფრნალში (ქართულ და ინგლისურ ენებზე) სტატიის რეფერირებისათვის ავტორი ვალდებულია გათვალისწინოს შინაარსობრივი რეზუმეების მომზადება ორივე ენაზე.

სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებული საფასური უნდა იყოს გადარიცხული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ანგარიშზე “ლიბერთი” ბანკში № GE80LB0121115150495000, საიდენტიფიკაციო კოდი 203851536.

## INFORMATION for AUTHORS

The journal “**Proceedings of the Georgian National Academy of Sciences. Chemical series**” is publishing articles in a field of chemical sciences in Georgian, English, and Russian, reviews and informational/advertising materials may be submitted after consultations with the Editorial Board. Volume, format, and other details of contribution are to be discussed with the Executive Secretary; Authors submit texts of articles in a form of Microsoft Word files (\*\*\*.doc or \*\*\*.rtf), figures and pictures – as monochrome (\* bmp, \*.dib) or black/white (\*.jpg, \*.gif, etc.) files. To help Authors of scientific articles, standard Georgian, English, and Russian formats are provided as well as other technical service and support. For references of the article in the Chemical Abstracts (in English) and in the Georgian Abstracts Journal (in Georgian and in English) authors are obliged to foresight substantial summaries in both languages.

Agreed with the Editorial Board publishing expenses are to be paid at the Liberty Bank on the account of the Georgian National Academy of Sciences No GE80LB0121115150495000, identification code 203851536.

## ИНФОРМАЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

Журнал "Известия Национальной Академии наук Грузии. Серия химическая" публикует статьи и краткие сообщения в области химических наук на грузинском, английском и русском языках; обзорные статьи и материалы информационного характера публикуются по предварительному согласованию с редакционной коллегией. Объем, формат и условия представления материала для публикации следует согласовать с ответственным секретарем; авторы должны представить тексты в виде файлов Microsoft Word (\*\*\*.doc или \*\*\*.rtf), а рисунки, чертежи и фотоснимки – в виде черно-белых графических (\*.bmp, \*.dib, \*.jpg, \*.gif и др.) файлов. Для оказания помощи авторам научных статей, редакция предусматривает стандартные электронные формы на всех трех языках, а также другую техническую поддержку. Для реферирования статьи в Chemical Abstracts (на английском языке) и Грузинском реферативном журнале (на английском и грузинском языках) авторам следует предусмотреть содержательные резюме на обоих языках.

Оплата расходов по публикации производится перечислением согласованной с коллегией суммы на счёт Национальной Академии наук Грузии в банке «Либерти» № GE80LB0121115150495000, идентификационный код 203851536.